ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲚᲘ

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

16 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ **ᲨᲐᲑᲐᲗᲘ** 2011

№ 165 (13462) ᲤᲐᲡᲘ 80 ᲗᲗᲘᲗᲠᲘ

ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲘᲐᲡ ᲒᲐᲕᲘᲡᲬᲣᲛᲠᲔᲗ

A ᲯᲒᲣᲤᲘ

15 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲘᲐ 87:75 (18:15, 17:16, 24:24, 28:20)

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ: ბაქრაძე (19 წთ, 2ქ), ჩიკვილაძე (25 წთ, 9ქ, 4მ), შენგელია (38 წთ, 40 ქ, 16 მ, 3 ჩ, 5 დ), ბოქოლიშვილი (24 წთ, 6ქ), თენიეშვილი (21 წთ, 6ქ), ლეჟავა (21 წთ, 5ქ), სანაძე (24 წთ, 8ქ), რევაზაშვილი (11 წთ, 4ქ), დვალიშვილი (19 წთ, 7ქ).

ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲘᲐ: აპოსტოლოვი (11ქ), ტოდოროვი, დიკოვსკი (6ქ), გაიდადიევი, ოსმანი (20ქ, 9მ, 3ვ), მარკოვსკი (4ქ, 5მ), გუროვსკი (21ქ, 4ვ), დელიპეტროვი (2ქ), პეტროვი (11ქ).

თორნიკე შენგელიამ 40 ქულას 16 მოხსნა და 5 დაფარება დაურთო

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა შვეიცარიის შემდეგ მაკედონიაც დაამარცხა და ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებისკენ სერიოზული ნაბიჯი გადადგა. მართალია, **დავით უსტიაშვილის** შეგირდებს კიდევ სამი მატჩი აქვთ ჩასატარებელი, მაგრამ იმედი უნდა დავიტოვოთ, რომ ჩვენი 20-წლამდელები უფრო მოუმატებენ და ჯგუფში საუკეთესო ორ გუნდს შორის ადგილს არ დათმობენ. ამ საქმეში ქართველებს რუმინელებიც დაეხმარნენ, რომლებმაც მეორე ტურში პოლონეთს სძლიეს...

თუ საწყის ტურში შვეიცარიასთან მწვრთნელმა **თორნიკე შენგელია** 27 წუთი ათამაშა, მაკედონიასთან იგი მხოლოდ 2:12 წუთი დაასვენა და...

შენგელია, როგორც იტყვიან, ნახევარი გუნდი იყო: 40 ქულა, 16 მოხსნა, 5 დაფარება, 3 ჩაჭრა და 1 შედეგიანი გადაცემა მოაგროვა. მასზე მაკედონელები 8-ჯერ დაჯარიმდნენ. თორნიკემ 17-დან 13 ორქულიანი, 12-დან 11 საჯარიმო და 5-დან 1 სამიანი გამოიყენა.

სწორედ მისი დამაჯერებელი თამაში გახდა წარმატების საწინდარი: სირენამდე 5:47 წუთით ადრე ქართველები მხოლოდ 3 ქულის სხვაობით იგებდნენ - 68:65. დარჩენილ დროში შენგელიამ 12 ქულა ჩააგდო... გადამწყვეტ მომენტში ასევე მნიშვნელოვანი იყო **მერაბ ბოქოლიშვილის** სამქულიანი - 73:65...

საყურადღებოა, რომ მაკედონელებს ბოლო წუთებში ვერ დაეხმარნენ ლიდერები (**პეტროვი, გუროსკი, აპოსტოლოვი** და **მარკოვსკი**), რომლებმაც ხუთ-ხუთი ჯარიმა მიიღეს.

დღეს საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებს უფრო სერიოზული მეტოქე ჰყავს - პოლონეთი, რომელმაც პირველ ტურში მაკედონიას მოუგო.

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ-ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ	62:70
ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘ-ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ	91:64

	Თ	Მ	Ნ	Ქ
1. ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘ	2	2	0	4
2. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ	2	2	0	4
3. ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ	2	1	1	3
4. ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ	2	1	1	3
5. ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲘᲐ	2	0	2	2
6. ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ	2	0	2	2

ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ ᲨᲝᲠᲘ ᲒᲖᲐᲡ ᲓᲐᲐᲓᲒᲜᲔᲜ

13

ᲞᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ, ᲞᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲧᲐᲖᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲪ ᲕᲘᲢᲔᲡᲨᲘᲐ

3

ᲠᲝᲓᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲐᲡᲕᲚᲐ

8

ᲓᲦᲔᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲔᲠᲑᲘᲐ: ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ-ᲣᲠᲣᲒᲕᲐᲘ

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ ᲓᲐᲑᲠᲘᲐᲚᲓᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ გაცნობეთ, რომ "დაჩიასთან" შეხვედრისას დაფიქსირებული უწესრიგობების გამო უეფამ "ზესტაფონს" ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩის საკუთარ სტადიონზე ჩატარება აუკრძალა. თითქოს ეს ვერდიქტი ვეღარაფერს უნდა შეეცვალა, მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, არსებობს იმის შანსი, რომ საქართველოს ჩემპიონებმა მომავალ ევრომეტოქეს არა თბილისში, არამედ მშობლიურ არენაზე უმასპინძლონ.

"ზესტაფონი" ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოს გადასარწმუნებლად ძალებს არ იშურებს. უეფაში კლუბმა საგარანტიო წერილი გაგზავნა, სადაც პირობას დებს, რომ უბილეთოები სტადიონზე ვეღარ მოხვდებიან და "დავით აბაშიძეზე" არც სხვა სახის უწესრიგობები მოხდება. საქმეში ჩართულია იმერეთის გუბერნიაც, რომელიც უეფაში გაგზავნილ წერილში პირობას დებს, რომ "ზესტაფონის" საევროთასო მატჩების მაღალ დონეზე ჩასატარებლად ყველა რესურსს გამოიყენებს. შევიტყვეთ ისიც, რომ უეფას თხოვნით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამაც მიმართა.

"ზესტაფონი" მხოლოდ წერილებით არ კმაყოფილდება და ნიონშივე ცდილობს სასურველი შედეგის მიღწევას. შვეიცარიაში იმყოფება კლუბის პრეზიდენტი ილია კოკაია, რომელიც ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო რაუნდის წილისყრას დაესწრო, რის შემდეგაც საშეჯიბრო კომიტეტთან კონსულტაციები წამოიწყო.

დაველოდოთ, რა მოხდება და იმედი დავიტოვოთ, რომ ზესტაფონი დიდი ფეხბურთის გარეშე არ დარჩება.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲯᲐᲜᲔᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲘᲧᲕᲐᲠᲓᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲐᲮᲡᲚᲝᲕᲓᲔᲡ ᲣᲙᲕᲐᲜᲩᲐᲕᲡ ᲜᲣ ᲒᲐᲮᲓᲘ ᲡᲐᲙᲕᲐᲜᲩᲐᲕᲡ!

● U 21

არველაძე 1:0 გაბელია

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები თურქეთში **შოთა არველაძის** „ქაისერისფორს" ესტუმრა და გუშინ მასპინძელთა ბაზაზე ამხანაგურად გაეჯიბრა.

ოთარ გაბელიას გაწვრთნილები 0:1 დამარცხდნენ. პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა, ერთადერთი ბურთი კი არველაძის გუნდმა მეორე ტაიმში გაიტანა – 55-ე წუთზე **ჰასან ალი კალდირიმმა** ზუსტად შეასრულა თერთმეტმეტრიანი.

საქართველო: ზარქუა (ლეგაშვილი), სალარიძე (ფოცხვერია), ტეტუნაშვილი, აფაქიძე, ფარტენაძე (ხარაბაძე), ყაზაიშვილი (ხურციძე), თარხნიშვილი, თ.შონია (ნ.შონია), იოსელიანი (სიხარულიძე), სიხარულია (გვალია), საბანაძე (გაბაშვილი)

"ქაისერის" ძირითადში ითამაშა **ზურაბ ხიზანიშვილმა**, რომელიც არველაძემ მე-60 წუთზე დაასვენა. ახალგაზრდული ნაკრები დღეს დაბრუნდება.

მერაბ მამულაშვილი

● U 19 და...

გიორგი დევდარიანი დინამოში დანიშნეს

ნაკრებს ტურნირზე ხუთი ლიდერი დააკლდება

19-წლამდელთა ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრა 2010 წლის 30 ნოემბერს გაიმართა. საქართველოს ნაკრები მეცხრე ჯგუფში პოლონეთის, თურქეთისა და ლუქსემბურგის გუნდებთან მოხვდა. საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები 2011 წლის ნოემბერში თურქეთში გაიმართება, გათამაშების ფინალური ეტაპი კი - გაისად, მაისში ესტონეთში.

ჩვენი ნაკრები ხანგრძლივი პაუზის შემდეგ პირველად შეიკრება და 23-30 ივლისს ჩრდილოეთ ირლანდიაში Milk Cup-ზე იასპარეზებს. ეს ტრადიციული ტურნირი 1983 წლიდან ტარდება.

ჩვენების განრიგი ასეთია: 25 ივლისი: **საქართველო-მექსიკა; 27 ივლისი: საქართველო-ჩრდილო ირლანდია**

29 ივლისს მოეწყობა პლეი ოფები, იმავე საღამოს კი ფინალიც გაიმართება.

გუნდი 17 ივლისს სასტუმრო „სიმპათიაში" დაბინავდება. ნაკრების მწვრთნელმა **გიორგი დევდარიანმა** შეკრებაზე 22 ფეხბურთელი გამოიძახა: **დავით ლეგაშვილი** („სასკო"), **დავით ხოჭოლავა** („საბურთალო"), **გიორგი პაპავა** („საბურთალო"), **თევდორე კაკულია** („დინამო" თბილისი), **მერაბ გიგაური** („ტორპედო", ქუთაისი), **ლაშა პარუნაშვილი** („საბურთალო"), **სანდრო რეხვიაშვილი** („საბურთალო"), **ვალერი ყაზაიშვილი** („საბურთალო"), **გიორგი ქვილითაია** („სასკო"), **თორნიკე გრიგალაშვილი** („ზესტაფონი"), **ნიკა სანდოხაძე** („დინამო" თბილისი), **გიორგი კალანდია** („ვიტ ჯორჯია"), **ლაშა შინდაგორიძე** („ორჰუსი", დანია), **აკაკი ფარჯიკია** („ბაია", ზუგდიდი), **არჩილ ტვილდიანი** („საბურთალო"), **ოთარ დოლიძე** („საბურთალო"), **რატი იმერლიშვილი** („ზესტაფონი"), **ნოდარ კიკნაველიძე** („ზესტაფონი"), **მალხაზ გაგოშიძე** („ზესტაფონი"), **ბუბა რუხაძე** („დინამო" თბილისი), **გურამ სამუშია** („ბაია", ზუგდიდი), **ვარლამ კილასონია** („სპარტაკი", ცხინვალი).

გიორგი დევდარიანი

გუშინ შევიტყვეთ, რომ 19-წლამდელების მთავარი მწვრთნელი გიორგი დევდარიანი თბილისის „დინამო 2"-ის მთავარ მწვრთნელად დანიშნეს. მისი თქმით ტურნირზე გუნდს რამდენიმე ლიდერი დააკლდება: ყაზაიშვილი და ჭანტურია, "ვიტესის" მთავარ გუნდს შეკრებაზე მიჰყვებიან; სხირტლაძეც "ორჰუსის" ძირითადში გადაიყვანეს და ისიც შეკრებაზეა. ბაჩო არაბული კი საოპერაციაო და გერმანიაში უნდა გაემგზავროს. ქუთაისის "ტორპედოში" ემზადება ცოტნე ხარაბაძე, გაურკვეველი მხოლოდ ხოჭოლავას საკითხია, მას მყესი დაუზიანდა, მაგრამ დევდარიანი იმედოვნებს, რომ ტრავმას გამგზავრებამდე მოიშუშებს.

მერაბ მამულაშვილი

● ევროტურნირების წილისყრა. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი

წილი პო, მაგრამ ჯერ რომ წილადებში ვართ?

გუშინ ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის მესამე რაუნდის წილისყრა გაიმართა და ქართული კლუბების (ყველა განუთესავი იყო) სავარაუდო მეტოქეებიც გაირკვა. სავარაუდო იმიტომ, რომ შემდეგ რაუნდში გასვლა ჯერ არც ჩვენს გუნდებს დაუბევებიათ და პოტენციურ მოწინააღმდეგეთა წყვილებშიც შეიძლება ყველაფერი მოხდეს. თუმცა იმის უფლება ნამდვილად გვაქვს, რომ შესაძლო დაპირისპირებებზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

დავიწყოთ ჩემპიონთა ლიგით, სადაც საქმე ჯერჯერობით ყველაზე შედეგიანად მიგვდის. "ზესტაფონს" კიშინიოვში იოლი გასეირნება ნამდვილად არ ელის, მაგრამ გვწამს, "დაჩიას" ბარიერს აუცილებლად გადალახავს.

საქართველოს ჩემპიონებს ურთიერთობის გარკვევა ავსტრიული "შტურმისა" და უნგრული "ვიდეოტონის" წყვილში გამარჯვებულთან მოუწევთ. რაკი გრაცელებმა პირველი მატჩი შინ 2:0 მოიგეს, მათთან შეხვედრის ალბათობა უფრო დიდია. გამორიცხულია, ამ ეტაპზე სუსტი მეტოქე შეგვხვდეს, მაგრამ წილისყრის შედეგით უკმაყოფილების საბაბი არ უნდა გვქონდეს – სავარაუდო მეტოქეთა შორის ხომ შოტლანდიური "რეინჯერსი", სერბული "პარტიზანი" და ნორვეგიული "რუსენბორგი" იყვნენ. შეგახსენებთ, რომ "რეინჯერსმა" და "პარტიზანმა" შარშანდელი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშეს, "რუსენბორგს" კი იქ ასპარეზობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. "შტურმზე" უკეთესი ვარიანტი ალბათ, მხოლოდ ბელარუსული ბატე შეიძლებოდა ყოფილიყო.

მომავალ მეტოქეებს ვრცლად მაშინ წარმოგიდგენთ, ყველაფერი რომ გაირკვევა, ახლა კი იმას შეგახსენებთ, რომ "შტურმსა" და ქართველებს ერთმანეთთან ბევრი რამ აკავშირებთ. ამ კლუბის შემადგენლობაში წლების განმავლობაში წარმატებით ითამაშეს **დავით მუჯირმა** და **ილია კანდელაკმა**, სულ ცოტა ხნის წინ კი "შტურმში" "ზესტაფონის" ყოფილი მცველი **გიორგი ფოფხაძე** გადავიდა.

თუ გამართლებაზე მსჯელობას გავაგრძელებთ, უპირველესად თბილისის "დინამო" უნდა ვახსენოთ. გადახედეთ სხვა წყვილებს და დარწმუნდებით, რომ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს განთესილთაგან ერთ-ერთი ყველაზე სასურველი მეტოქე, უფრო ზუსტად, წყვილი ერგო.

სლოვაკური "ჟილინა" ისლანდიურ "რეიკიავიკთან" ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ ხუთშაბათს სტუმრად 0:3 განადგურდა და შინ ამხელა ჩამორჩენის გასაბათილებლად იბრძოლებს. ამ ორი გუნდიდან რომელიც უნდა შეგვხვდეს, წილისყრით მაინც კმაყოფილნი უნდა ვიყოთ, თუმცა მანამდე "ლანელის" უნდა მოვუხერხოთ რამე. შეგახსენებთ, "დინამოს" სავარაუდო მეტოქეები ასევე იყვნენ იტალიური "პალერმო", რუმინული "დინამო", უკრაინული "კარპატი" და ლიტვურ "ტაურასსა" და ჰოლანდიურ "დენ ჰააგს" შორის გამარჯვებული.

"ირტიშთან" ვერმოგების მიუხედავად, შემდეგ რაუნდში გასვლის შანსი არც რუსთავის "მეტალურგს" დაუკარგავს. თუ ყაზახეთში სასურველ შედეგს მიაღწიეს, ქვემოქართლელებს ფრანგულ "რენთან" მოუწევთ ბრძოლა. დაგვეთანხმებით, არცთუ იღბლიანი წილისყრაა. იმედია, რუსთაველები "რენზე" სალაპარაკო მიზეზს მოგვცემენ. ფრანგების გარდა, "მეტალურგის" სავარაუდო მოწინააღმდეგეები იყვნენ ებრაული "ჰაპოელი", ბულგარული "ლევსკი", პორტუგალიური "ვიტორია" და ბელარუსულ "მინსკსა" და თურქულ "გაზიანთეფს" შორის გამარჯვებული. "ანორთოსისსა" და "გაგრას" შორის უკეთესი კი სანმარინოული "დოგანასა" და მაკედონიური "რაბოტნიჩკის" წყვილის გამარჯვებულს შეხვდება.

"ზესტაფონი" კი "დაჩიას" საბოლოო ძლევით დაიბევებს იმას, რისთვისაც დანარჩენი ქართული კლუბები იბრძვიან – ფეროლელები ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო რაუნდში რომც დამარცხდნენ, ევროპის ლიგის პლეი ოფში აღმოჩნდებიან, საიდანაც ჯგუფამდე ერთი ნაბიჯია, ხოლო ჩემპიონთა ლიგის მესამე რაუნდის გადალახვა **გია გეგუჩაძის** გუნდს ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპს დაუბევებს.

ლევან ჯანეზაშვილი

ჩემპიონთა ლიგა

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი
26-27 ივლისი და 2-3 აგვისტო

ჩემპიონების ჯგუფი

მოგრენი (ჩერნოგორია)/ლიტეჭსი (ბულგარეთი)-სკონტო (ლატვია)/ვისლა (პოლონეთი)
მაქაბი ჰაიფა (ისრაელი)/ბორაცი (ბოსნია)-მარიბორი (სლოვენია)/დუდელანჟი (ლუქსემბ.)
ჰიკ (ფინეთი)/ბანგორ სიტი (უელსი)-დინამო (ხორვატია)/ნეფთჩი (აზერბაიჯანი)
შკენდერბეუ (ალბანეთი)/აპოელ (კვიპროსი)-სლოვანი (სლოვაკეთი)/ტობოლი (ყაზახეთი)
კოპენჰაგენი (დანია)-შემროკ როვერსი (ირლანდია)/ფლორა (ესტონეთი)
გენკი (ბელგია)-პარტიზანი (სერბეთი)/შკენდია (მაკედონია)
რუსენბორგი (ნორვეგია)/ბრეიდაბლიკი (ისლანდია)-პიუნიკი (სომხეთი)/პლზენი (ჩეხეთი)
ზესტაფონი (საქართველო)/დაჩია (მოლდოვა)-შტურმი (ავსტრია)/ვიდეოტონი (უნგრეთი)
ვალეტა (მალტა)/ეკრანასი (ლიტვა)-ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია)/ბატე (ბელარუსი)
რეინჯერსი (შოტლანდია)-მალმიო (შვედეთი)/ტორსჰავნი (ფარერები)

არაჩემპიონების ჯგუფი

სტანდარდი (ბელგია)-ციურიხი (შვეიცარია)
ტვენტე (ჰოლანდია)-ვასლუი (რუმინეთი)
ბენფიკა (პორტუგალია)-ტრაბზონსპორი (თურქეთი)
დინამო (უკრაინა)-რუბინი (რუსეთი)
ოდენსე (დანია)-პანათინაიკოსი (საბერძნეთი)

ევროპის ლიგა

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი
28 ივლისი და 4 აგვისტო

ატლეტიკო (ესპანეთი)-სტრომგოდსეტი (ნორვეგია)
იანგ ბოიზი (შვეიცარია)-ტურკუ (ფინეთი)/ვესტერლო (ბელგია)
შახტიორი (ბელარუსი)-ვენტსპილსი (ლატვია)/ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)
ალანია (რუსეთი)-კეჩკემეტი (უნგრეთი)/აქტობე (ყაზახეთი)
ფლორიანა (მალტა)/აეკ (კვიპროსი)-ბოლესლავი (ჩეხეთი)
ჟელეზნიჩარი (ბოსნია)/შერიფი (მოლდ.)-მაქაბი თელ ავივი (ისრ.)/ხაზარი (აზერ.)
ალკმაარი (ჰოლანდია)-ფლამურტარი (ალბანეთი)/იაბლონეცი (ჩეხეთი)
ოლიმპია (სლოვენია)/ბოჰემიანი (ირლ.)-რუდარი (ჩერნოგ.)/აუსტრია (ავსტ.)
ბურსასპორი (თურქეთი)-გომელი (ბელარუსი)
ფერენცვაროში (უნგრ.)/ოლესუნდი (ნორვ.)-სუდუვა (ლიტვა)/ელფსბორგი (შვედ.)
მინსკი (ბელარუსი)/გაზიანთეფი (თურქეთი)-ლეგია (პოლონეთი)
ჰაპოელი თ/ავივი (ისრაელი)-ვადუცი (ლიხტენშ.)/ვოივოდინა (სერბეთი)
მეტალურგი (რუსთავი)/ირტიში (ყაზახეთი)-რენი (საფრანგეთი)
ლევსკი (ბულგარეთი)-ტირანა (ალბანეთი)/სპარტაკი (სლოვაკეთი)
ნიუ საინთსი (უელსი)/მიდტილანდი (დანია)-სეტუბალი (პორტუგალია)
დინამო (რუმინეთი)-ისკრა-სტალი (მოლდოვა)/ვარაჟდინი (ხორვატია)
კარპატი (უკრაინა)-შახტიორი (ყაზახეთი)/სენტ პატრიკსი (ირლანდია)
ვლაზნია (ალბანეთი)/თუნი (შვეიცარია)-პალერმო (იტალია)
რეიკიავიკი (ისლანდია)/ჟილინა (სლოვაკეთი)-ლანელი (უელსი)/დინამო (საქართველო)
ომონია (კვიპროსი)-ტაურასი (ლიტვა)/დენ ჰააგი (ჰოლანდია)
მეტალურგსი (ლატვია)/ზალცბურგი (ავსტრია)-სენიცა (სლოვაკეთი)
ბრიუგე (ბელგია)-სტრეიმური (ფარერები)/ყარაბახი (აზერბაიჯანი)
დიფერდანჟი (ლუქს.)/ლევადია (ესტონ.)-რადი (სერბ.)/ოლიმპიაკოს ვოლუ (საბერძ.)
მაინცი (გერმანია)-კუოპიო (ფინეთი)/გაზ მეთანი (რუმინეთი)
სანტ ხულია (ანდორა)/ბნეი იეჰუდა (ისრაელი)-ჰელსინგბორგი (შვედეთი)
სტოკი (ინგლისი)-ჰაიდუკი (ხორვატია)
ანორთოსისი (კვიპროსი)/გაგრა (საქართველო)-დოგანა (სან მარინო)/რაბოტნიჩკი (მაკედონია)
იორებრო (შვედეთი)/სარაევო (ბოსნია)-სპარტა (ჩეხეთი)
გლენტორანი (ჩრ. ირლ.)/ვორსკლა (უკრაინა)-სლიგო როვერსი (ირლან.)
პაკსი (უნგრეთი)/ტრომსო (ნორვეგია)-ჰართსი (შოტლანდია)
მეტალურგი (მაკედ.)/ლოკომოტივი (ბულ.)-ვროცლავი (პოლონ.)/დანდი იუნ. (შოტლ.)
ჰაფნარფიორდური (ისლ.)/ნასიონალი (პორტ.)-ჰაკენი (შვედ.)/ჰონკა (ფინ.)
რიდი (ავსტრია)-ბრონდბიუ (დანია)
პაოკ (საბერძნეთი)-ვალერენგა (ნორვეგია)/მიკა (სომხეთი)
დომჟალე (სლოვენ.)/სპლიტი (ხორვ.)-კრუზეიდერსი (ჩრ.. ირლ.)/ფულჰემი (ინგ.)

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

● ტრანსფერი

ყაზაიშვილი: მესამე ქართველი ვიზესში!

იმ დროს, როდესაც უამრავი სკოლა და მწვრთნელი ვერ ახერხებს ასაკობრივი ნაკრებებისთვის ერთი კანდიდატის გაზარდასაც კი, "საბურთალოს", **გიორგი დევდარიანისა** და **თემურ ფოცხვერიას** ორი აღზრდილი ჰოლანდიის ერედივიზიონის კლუბში იასპარეზებს.

ჰოლანდიაში გაემგზავრება **ვაკო ყაზაიშვილი** - ზემონახსენები საფეხბურთო სკოლის, საქართველოს ახალგაზრდული და 19-წლამდელთა ნაკრებების ნახევარმცველი. **გიორგი ჭანტურიასა** და **გურამ კაშიას** შემდეგ ის მესამე ქართველი იქნება, რომელიც არნემის "ვიტესთან" გააფორმებს კონტრაქტს.

ეს სიახლე 19-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გიორგი დევდარიანმა გვაცნობა:

"ყაზაიშვილის დარი ფეხბურთელებითაა შესაძლებელი სტადიონზე მაყურებლის მოზიდვა. ამიტომაც მსურდა "დინამოში" მისი წამოყვანა, მაგრამ ის 25 ივლისს ჰოლანდიაში უნდა გაემგზავროს და, როგორც ვიცი, "ვიტესთან" კონტრაქტს გააფორმებს.

თუმცა თავი ბედნიერ ადამიანად მიმაჩნია, რადგან ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ლიგაში მიინვიეს ორი ფეხბურთელი, რომლებთანაც წლების განმავლობაში ვმუშაობდი. მჯერა, რომ ჩვენთან კიდევ ბევრი ბავშვია, რომლებიც ასეთსავე მაღალ დონეზე ითამაშებენ" – გვითხრა დევდარიანმა.

მართლაც უჩვეულოა, როცა ფეხბურთელს ჩვენს უმაღლეს ლიგაში ნორმალურად არც უთამაშია და ასეთ პრესტიჟულ ლიგაში საფეხბურთო სკოლის სახელით მიდის.

"ეს ტრანსფერი იმიტომ მახარებს, რომ ერთი თაობიდან ორი მოთამაშე ჰოლანდიაში გავუშვით, ცხრა - თბილისის "დინამოში", რამდენიმე - გორის "დილაში". ჩვენ გაზრდის საშუალებას მწვრთნელებსაც ვაძლევდით. მინდა, მადლობა გადავუხადო გიორგი დევდარიანს გულიანი და პროფესიონალური მუშაობისთვის და "დინამოშიც" წარმატებული საქმიანობა ვუსურვო" – ამბობს "საბურთალოს" პრეზიდენტი **ტარიელ ხეჩიკაშვილი**.

სავარაუდოდ, ყაზაიშვილი "ვიტესთან" ორ ან სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს. შეგახსენებთ, რომ მან 3 ივლისს ხორვატიის ახალგაზრდული ნაკრების წინააღმდეგ სრულად ითამაშა და **ოთარ გაბელიას** გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

მერაბ მამულაშვილი

● საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა

ჩემპიონატის დასრულების შემდეგ პირველი ლიგის კლუბები მკითხაობდნენ: 16 გუნდი იქნება ლიგაში, 20 თუ 22? ამას პასუხი უკვე გაეცა – ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, პირველი ლიგის 2011–12 წლების გათამაშებას 20 გუნდი დაიწყებს და, იმედია, ამდენივე დაამთავრებს.

A ზონა

1. სამტრედია
2. დინამო (ბათუმი)
3. კოლხეთი (ხობი)
4. მეშახტე (ტყიბული)
5. ჩხერიმელა (ხარაგაული)
6. მერცხალი (ოზურგეთი)
7. ჭიათურა
8. ლოკომოტივი (თბილისი)
9. მესხეთი (ახალციხე)
10. სტუ (თბილისი)

B ზონა

1. ჩიხურა (საჩხერე)
2. გურია (ლანჩხუთი)
3. იმერეთი (ხონი)
4. ნორჩი დინამოელი (თბილისი)
5. ადელი (ბათუმი)
6. სამგურალი (წყალტუბო)
7. სძური (წალენჯიხა)
8. ზოოვეტი (თბილისი)
9. სულორი (ვანი)
10. აეტი (სოხუმი)

სავარაუდოდ, პირველი ლიგის კალენდრის კენჭისყრა მომავალი კვირის დასაწყისში გაიმართება, გათამაშება კი 23 აგვისტოს დაიწყება.

აქამდე გაურკვეველი იყო, მისცემდნენ თუ არა მონანილეობის უფლებას "ჭიათურას", თბილისის "ლოკომოტივსა" და სოხუმის "აეტს". მათ საწევრო 20 ათასი ლარი უნდა გადაეხადათ და, რადგან სიაში სამეულიც მოხვდა, გამოდის, ეს პრობლემა მოაგვარეს.

სიახლეებსა და გათამაშების ფორმატზე ფეხბურთის ფედერაციის გენერალური სამდივნოს ხელმძღვანელი **რევაზ შენგელია** გველაპარაკა:

- როგორი სისტემით ჩატარდება გათამაშება?

- 10-10 გუნდი ორ ზონაში 18-18 მატჩს ჩაატარებს, ორი ტური გადმოვა მარტში, შემდეგ კი 2-2 გამარჯვებული და უმაღლესი ლიგის ბოლო 4 გუნდი საუმაღლესო ოთხეულს გაარკვევს.

რაც შეეხება დანარჩენ 16 გუნდს, ისინი 8-8 გუნდად გაიყოფიან. ზონებში ბოლო ადგილებზე გასულები პირველი ლიგიდან ავტომატურად გავარდებიან, ორი საგზურის მფლობელი კი მეშვიდეადგილოსნებისა და რეგიონული ლიგის ორი ზონის მეორეადგილოსნების გადათამაშებებში გაირკვევა. თუ რეგიონული ლიგა სამ ზონად დაკომპლექტდება, მაშინ პირველში პირდაპირ გადავა სამი გამარჯვებული, პლუს მეშვიდეადგილოსნების გადათამაშებაში გამარჯვებული.

ზონები სპორტული პრინციპით შევადგინეთ და შევეცადეთ, თანაბარი სიძლიერის გუნდებით დაგვეკომპლექტებინა.

პირველი ეტაპი ნოემბრის ბოლოს დასრულდება, მხოლოდ ორი ტური გაიმართება გაზაფხულზე. თებერვალი საქართველოში ნალექიანია და მოედნების მდგომარეობის გამო მატჩი ბევრჯერ ჩაშლილა. ამიტომ გადაწყდა, რომ მეორე ეტაპი 11 მარტს დაიწყოს.

წლეულს პირველ ლიგაში სერიოზული ბრძოლებია მოსალოდნელი, რის იმედსაც გასული სეზონის მოულოდნელი შედეგები გვაძლევს – ტურნირის გამარჯვებულმა "გაგრამ" საქართველოს თასი მოიპოვა, საჩხერის "ჩიხურას" უმაღლესში გადმოსასვლელად ცოტა დააკლდა, გორის "დილამ" კი გადათამაშებაში უმაღლესლიგელი "სამტრედია" დაამარცხა, ანუ პირველ ლიგაში ისეთი დაბალი დონეც არ ყოფილა, როგორიც გვეგონა.

ახალი სეზონისთვის არის დაპირება, რომ პირველი ლიგის გუნდებს სახელმწიფო დააფინანსებს - ცხდია, კერძო კლუბების გარდა. ფავორიტები უკვე გამოკვეთილია – **ბიძინა ივანიშვილის** მიერ მოფერიანებულ-ნაპატრონები საჩხერის "ჩიხურა", ყადაღამოხსნილი ლანჩხუთის „გურია" და უმაღლესზე დამიზნებული ბათუმის „დინამო", რომლის აღორძინებასაც მთელი საქართველო გულშემატკივრობს.

საინტერესო გუნდია პირველ ლიგაში აღზევებული სტუ, რომლსაც გარანტირებული აქვს მრავალრიცხოვანი სტუდენტობის მხარადჭერა, ლიგას დაუბრუნდა ახალციხის "მესხეთი", ითამაშებს ბათუმის ორი გუნდი, მაგრამ მათთვის სტადიონი ქობულეთში შენდება, რაც, ცოტა არ იყოს, უცნაურია.

ჯერ კიდევ გასარკვევია "სამტრედიას" დაფინანსების საკითხი. ამბობენ, ახალი წლიდან უფრო სერიოზულად მივხედავთო და იმედია, ასეც მოხდება.

ყველაზე მეტი გუნდი იმერეთს ეყოლება - 8, თბილისს - 4, აჭარას, გურიასა და სამეგრელოს - 2–2, ჯავახეთს და აფხაზეთს – თითო-თითო.

მერაბ მამულაშვილი

● ინფრასტრუქტურა

მოდი, ვნახოთ...

მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის რეკონსტრუქცია გრძელდება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, გუშინ იქ მიმდინარე სამუშაოებს ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** და საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **თემურ ქეცბაია** გაეცნენ. სიჭინავამ ქეცბაიას დაწვრილებით განუმარტა სტადიონის რეკონსტრუქციის გეგმა, შემდეგ კი დაათვალიერეს არენა და გვერდით მდებარე სათადარიგო მოედანი.

უკვე დასრულებულია სადრენაჟო სისტემის კეთილმოწყობა. მოედანზე მიწის მეორე ფენის დაყრა მიმდინარეობს, რისი დასრულების შემდეგაც ბერძნული კომპანია მინდვრის საფრის დაგებას დაიწყებს.

დაიწყო კაპიტალური რემონტი გასახდელების ბლოკში, რომელიც თითქმის მთლიანად შეიცვლის იერსახეს და, ფედერაციის პრეზიდენტის თქმით, მზად აგვისტოს შუა რიცხვებისთვის იქნება. რამდენიმე დღეში დაიწყება კაფეებისა და საპირფარეშოების მშენებლობა, რაც უეფას ვარსკვლავების მისაღებადაა აუცილებელი.

სტადიონის მინისქვეშა სივრცეში მოეწყობა ავტოსადგომი, რომელიც დაახლოებით 400 მანქანაზე იქნება გათვლილი. რემონტი უტარდება პრესლოჟასა და ვიპლოჟასაც.

სტადიონის სარეკონსტრუქციო სამუშაოების მთავარი ეტაპის დასრულება 1 სექტემბრისთვის იგეგმება – საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ესპანელებს განახლებულ "მიხეილ მესხზე" უნდა უმასპინძლოს.

რაც შეეხება სათადარიგო მოედანს, სიჭინავას თქმით, ბუნებრივი საფარი შეიცვლება ხელოვნურით. აშენდება გასახდელები და მსაჯთა ოთახი, რის შემდეგაც სათადარიგო მოედნის გამოყენება ეროვნული ჩემპიონატის მატჩებისთვისაც იქნება შესაძლებელი.

ლევან ჯანეზაშვილი

● სიტუაცია

ფიფამ, სხვაგან ა-პა-პა-პაო

დავები? მხოლოდ საფეხბურთო არბიტრაჟში!

ვერა და ვერ დასრულდა მეკარე **გრიგოლ ჭანტურიასა** და "ზესტაფონის" დავა, რომელმაც ფეხბურთის ფედერაციაც ჩაითრია. ამ საქმეზე კამათი ფედერაციის ბოლო ყრილობაზეც გაგრძელდა, სადაც კლუბისა და ფედერაციის პრეზიდენტებმა, **ილია კოკაიამ** და **ზვიად სიჭინავამ** საკმაოდ საფუძვლიანად იკამათეს იმაზე, შეუძლია თუ არა ფედერაციის დაარსებულ საფეხბურთო არბიტრაჟს ამ და სხვა საფეხბურთო დავების განხილვა.

გუშინ ფეხბურთის ფედერაციამ ამ საკითხთან დაკავშირებით ფიფას პასუხი გამოაქვეყნა.

საფეხბურთო დავები მხოლოდ საფეხბურთო არბიტრაჟმა უნდა განიხილოს!

საფეხბურთო საზოგადოებისთვის ცნობილია "ზესტაფონსა" და ფეხბურთელ გიორგი ჭანტურიას შორის მიმდინარე დავის შესახებ. როგორც მოგეხსენებათ, საფეხბურთო არბიტრაჟმა ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე იმსჯელა და გამოიტანა საბოლოო გადაწყვეტილება, რომელსაც კლუბი არ ეთანხმება.

საფეხბურთო კლუბმა „ზესტაფონმა" საფეხბურთო არბიტრაჟის გადაწყვეტილება სამოქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა.

ფეხბურთის ფედერაციამ სიტუაციაში გასარკვევად ფიფას იურიდიულ ორგანოებს მიმართა. ფიფასგან მიღებულ წერილში გარკვევით არის აღნიშნული, რომ კლუბს არ ჰქონდა უფლება საფეხბურთო დავის განსახილველად სამოქალაქო სასამართლოსათვის მიემართა.

მერაბ მამულაშვილი

● ლეგიონერი

მერებაშვილი ერთია

ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი სამი ქართული კლუბიდან ერთმაც ვერ მოიგო და დიდად ვერც ლეგიონერები გამოირჩნენ. ერთადერთი ქართველი, რომლის კლუბმაც გასულ ხუთშაბათს ევროპის ლიგაზე გაიმარჯვა, **გიორგი მერებაშვილია**. მისმა "ვოივოდინამ" სტუმრად ლიხტენშტაინური "ვადუცი" 2:0 დაამარცხა. სერბთა ქართველი ნახევარმცველი ძირითად შემადგენლობაში იყო და 59-ე წუთზე შეცვალეს.

რუმინულმა "გაზ მეთანმა" ფინეთში "კუოპიოსთან" 0:1 წააგო. "გაზ მეთანის" ქართველმა მცველმა **აკაკი ხუბუტიამ** თამაში თავიდანვე დაიწყო, მაგრამ 42-ე წუთზე შეცვალეს.

ტირასპოლის "შერიფი" ბოსნიაში "ჟელეზნიჩართან" 0:1 დამარცხდა. **ვაჟა თარხნიშვილი** მოლდოველების სათადარიგოთა სკამზე იჯდა, რაც მისი ასაკის გათვალისწინებით გასაკვირი არ უნდა იყოს. კიდევ ერთი მოლდოვური კლუბი, "ისკრა-სტალი" შინ ხორვატიულ "ვარაჟდინთან" 1:1-ს დასჯერდა. მასპინძლების სათადარიგოთა სკამზე იჯდა **სანდრო შუღლაძე**.

აგდამის "ყარაბახმა" ფარერებზე "სტრეიმურს" ვერ სძლია – 1:1. აზერბაიჯანელთა შემადგენლობაში **გიორგი ადამიამ** შეუცვლელად ითამაშა.

ლევან ჯანეზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველები რუსეთის პრემიერლიგაში

რუსებმა ცა მოიჭედეს

ვარსკვლავები ცალობით და ბითუმად

რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატი მართლაც განსაკუთრებულია: სეზონი წლეულს, მარტში დაიწყო და... მომავალი წლის გაზაფხულზე დასრულდება. უცნაურია გათამაშების ფორმატიც: 16 გუნდი წლეულს ორ წრედ იასპარეზებს, შემდეგ I-VIII ადგილებზე გასულები გაისად, გაზაფხულზე ევროტურნირების საგზურებისთვის იბრძოლებენ, IX-XVI-ადგილოსნები კი ასევე ერთ წრედ ითამაშებენ პრემიერლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად.

სამწრიანი ჩემპიონატი რუსებს იმიტომ დასჭირდათ, გათამაშების ახალ სისტემაზე რომ გადასულიყვნენ: მომავალი წლიდან რუსული პრემიერლიგა „შემოდგომა-გაზაფხულის“ პრინციპით ჩატარდება. ამ სიახლის გარდა, წლევანდელი ჩემპიონატი იმითაც არის განსაკუთრებული, რომ გუნდების უმრავლესობას ფინანსური პრობლემა არ აწუხებს და რუსულ პრემიერლიგაში არა მხოლოდ „ჩამოწერილ ვარსკვლავებს“, არამედ გამორჩეულ ფეხბურთელსაც არაერთს შეხვდებით. რობერტო კარლოსი, ანდრეი ვორონინი, კევინ კურანი, კეისუკე ჰონდა, ვაგნერ ლავი, დიეგო ტარდელი, დანი, ბრუნო ალვეში, კრისტიან ნობოა, სალვატორე ბოკეტი, — ეს უცხოელი ვარსკვლავები პირველ წრეში ასპარეზობდნენ და ვიდრე ჩემპიონატში შესვენებაა, ცნობილ ლეგიონერთა რიცხვი კიდევ გაიზარდა. ასე, მაგალითად: „ანჟიმ“ 14,5 მილიონ ევროდ ჰოლანდიური პსვ-სა და უნგრეთის ნაკრების შემტევი ნახევარმცველი, 24 წლის ბალაშ ჯუჯაკი გაიფორმა; 11 მილიონი ევრო დაუჯდა სანკტ-პეტერბურგის „ზენიტს“ იტალიური „ჯენოას“ მარცხენა მცველის, 24 წლის დომენიკო კრიშიტოს ტრანსფერი; „სპარტაკში“ გამოცდილი ჰოლანდიელი მცველი, 28 წლის დემი დე ზეუვი ჩაირიცხა; „ლოკომოტივში“ — ნიგერიელი ფორვარდი, 24 წლის ვიქტორ ობინა და პორტუგალიელი მცველი, 25 წლის მანუელ და კოშტა. თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისია: ამ ზაფხულს რუსეთში ისეთ ფეხბურთელებსაც ელოდებიან, რომლებიც არიან 24 წლის სედარ ტასკი (გერმანია), 33 წლის დანიელ ვან ბუიტენი (ბელგია), 33 წლის გაბრიელ ჰაინცე (არგენტინა), 24 წლის ანდრეა კარაჩოლო (იტალია), 28 წლის ლისანდრო ლოპესი (არგენტინა), 22 წლის მაურისო ისლა (ჩილე) და სხვანი. ეგ კი არა, „ანჟის“ ყოვლისშემძლე პატრონებს „პორტუს“ ბრაზილიელი თავდამსხმელის ჰალკის შეძენა უნდათ და წლიურ გასამრჯელოდ... 10 მილიონ ევროს ჰპირდებიან! თუმცა, ნურავის გაუკვირდეს, ბრაზილიური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი, 19 წლის ნეიმარიც... „ანჟიში“ რომ აღმოჩნდეს; ყოველ შემთხვევაში, ბრაზილიური „სანტოსის“ ვარსკვლავბიჭუნას შესაძენად საჭირო 45 მილიონი ევრო „ანჟის“ პატრონებისთვის პრობლემას არ წარმოადგენს. ისე, მართლაც უცნაურია: ნეიმარმა არჩევანი „რეალს“, „ბარსელონას“, „მანჩესტერ სიტის“, „ჩელსისა“ და ... „ანჟის“ შორის უნდა გააკეთოს.

ოთარ მარცვალაძე

ნუკრი რევიშვილი

ალექსანდრე ამისულაშვილი

11 გამორჩეული ქართველი

შესაშური ფინანსური გარემო, გამართული ინფრასტრუქტურა, სავსე სტადიონები — რუსულ პრემიერლიგაში ფეხბურთის დონე წლიდან წლამდე იზრდება და უცხოელი ვარსკვლავების მოზღვავებაც ამას უნდა მივაწეროთ. თუმცა ჩვენთვის მნიშვნელოვანი ის უფრო არის, რუსულ პრემიერლიგაში მოასპარეზე თითქმის ყველა ქართველი ფეხბურთელი კარიერაში გამორჩეულ სეზონს რომ ატარებს. მართლაც ასეა: თითქმის ყველა ჩვენიანი თავისი კლუბის ერთ-ერთ ლიდერად მიიჩნევა და ტური არ გავა, რომელიმე სხვადასხვა გამოცემის სიმბოლურ ნაკრებში არ მოხვდეს.

რუსული სეზონი 17 ივლისს სათასო მატჩებით განახლდება. პრემიერლიგის გუნდები 1/16 ფინალიდან ერთვებიან გათამაშებაში და თექვსმეტივე სტუმრად ითამაშებს. თუმცა ისევ ჩვენებურთა მონაგარს დავუბრუნდეთ და სატურნირო ცხრილს „გავყვეთ“. ამ სეზონის ერთ-ერთი მთავარი მოულოდნელობა მახაჩყალის „ანჟის“ დამაჯერებელი ასპარეზობაა — გამოცდილი სპეციალისტის, **გაჯი გაჯიევის** ხელმძღვანელობით გუნდი მედლების მოპოვების ერთ-ერთი რეალური კანდიდატია და ამაში ლომის წილი საქართველოს ნაკრების მეკარემ, 24 წლის **ნუკრი რევიშვილმა** დაიდო. რევიშვილი „ანჟის“ ძირითადი მეკარეა (მხოლოდ ორი მატჩი გამოტოვა) და არცთუ ურიგო შედეგითაც მოიწონებს თავს — 14 შეხვედრაში 12 ბურთი აქვს გაშვებული. რუსული მედია ამ სეზონის საუკეთესო მეკარეებში **იგორ აკინფეევისა** (ცსკა) და **ვიაჩესლავ მალაფეევის** („ზენიტი“) გვერდით ნუკრი რევიშვილი ხშირად ასახელებს.

სამწუხაროდ, ტრავმის გამო ძალიან ბევრი გაუცდა ქართული ფეხბურთის იმედს, 18 წლის **ჯანო ანანიძეს** — მოსკოვის „სპარტაკის“ უნიჭიერესმა შემტევმა მხოლოდ 6 მატჩი ჩაატარა; თუმცა ანანიძეს ჩინებული დაბრუნება გამოუვიდა: „ლოკომოტივთან“ და „როსტოვთან“ მოგებულ შეხვედრებში თავადაც გაიტანა, მეტოქის მცველს ავტოგოლიც გაატანინა და საგოლე პასებიც, ჩვეულებისამებრ, არაერთი „ჩამოარიგა“.

რუსულ პრემიერლიგაში გუნდის კაპიტნად ქართველს რომ დანიშნავენ (გნებავთ, აირჩევენ), ესე იგი, განსაკუთრებული ავტორიტეტიც უნდა ჰქონდეს. სწორედ ასე მოხდა **ალექსანდრე ამისულაშვილის** შემთხვევაში — 28 წლის მცველი „კრასნოდარში“ სეზონის დაწყების წინ ჩაირიცხა და მაშინათვე კაპიტნის სამკლავურიც უბოძეს! ტრავმის გამო ამისულაშვილს 4 მატჩის გამოტოვება მოუხდა, დანარჩენ შეხვედრებში მუდამ ძირითადში იყო და სიმბოლურ ნაკრებშიც არაერთხელ მოხვდა. საზაფხულო შესვენების შემდეგ ამისულაშვილის გვერდით „კრასნოდარში“ კიდევ ერთი ქართველი ითამაშებს — 26 წლის **ოთარ მარცვალაძე,** რომელიც პირველი ეტაპის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი გახლდათ არა მხოლოდ თავის ყოფილ კლუბში („ვოლგა“), არამედ, საერთოდ, რუსულ პრემიერლიგაში. „ვოლგას“ შემადგენლობაში მარცვალაძემ 13 მატჩი ჩაატარა და 5 გოლი გაიტანა, თუმცა ბოლო ტურში, „ტომთან“ მართლაც ბენეფისი მოიწყო: ერთიმეორეზე უკეთესი ორი ბურთი ხომ გაიტანა, მერე საგოლე პასიც მიითვალა. მარცვლაძემ იმდენად შთამბეჭდავად ითამაშა, რომ რუსული მედია ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელადაც აღიარებს...

რუსული პრემიერლიგის ყველაზე „ქართული“ გუნდი ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგაა“, სადაც მარცვალაძის გარდა ხუთი ჩვენი თანამემამულე თამაშობდა. ამათგან ყველაზე გამოცდილი 29 წლის **ლაშა სალუქვაძეა** — საქართველოს ნაკრების მცველმა 13 მატჩი ჩაატარა (ყველა — ძირითადში) და ერთი გოლი გაიტანა. ასევე ძირითადის შეუცვლელი ნევრია 21 წლის უნივერსალი მცველი **გია გრიგალავა,** რომელსაც ამას წინათ საქართველოს ნაკრებში ჰქონდა დებიუტი. სამწუხაროდ, ტრავმის გამო ბევრი გაუცდა 26 წლის ნახევარმცველ **გოჩა ხოჯავას**. არადა, ამ ნიჭიერმა გამთამაშებელმა სეზონი ჩინებულად დაიწყო (5 მატჩი, 2 გოლი), მაგრამ 23 აპრილს „ყუბანთან“ მატჩში დაშავდა და თანაგუნდელებს ვერ ეხმარებოდა. „ვოლგას“ წარმატება-ნარუმატებლობა დიდად არის დამოკიდებული კიდევ ერთ ჩვენებურზე, 27 წლის **გოგიტა გოგუაზე,** ვინც პირველ ეტაპზე 12 მატჩი ჩაატარა. გოგუასგან განსხვავებით, რუსეთში სადებიუტო სეზონს ატარებს 22 წლის **მათე ვანაძე,** რომელსაც თავიდან უფრო ნაკლები სათამაშო დრო ჰქონდა, შემდეგ კი ძირითადშიც ხშირად ჩნდებოდა და დღესდღეობით მისი მონაგარი 9 მატჩში გატანილი 1 გოლია. მარცვალაძის „კრასნოდარში“ გადასვლით ვანაძის ძირითადში დამკვიდრების შანსი უფრო იზრდება და ახალგაზრდა ქართველ ფორვარდს ბოსნიელ **მერსუდინ ახმეტოვიჩთან**, აზერბაიჯანელ **ვაგიფ ჯავადოვთან** და რუს **ანტონ ხაზოვთან** მოუწევს კონკურენცია.

მწვრთნელის შეცვლამ აშკარად არგო გროზნოს "ტერეკის" 30 წლის ნახევარმცველ **ლევან გვაზავას** — ბოლო ტურებში თამაშს ძირითადში იწყებდა. სამწუხაროდ, არა და არ დაადგა საშველი გვაზავასთვის ორმაგი მოქალაქეობის პრობლემის გადაჭრას, არადა, ეს გამოცდილი ნახევარმცველი საქართველოს ნაკრებს უდავოდ გამოადგებოდა. სამწვრთნელო საკითხი არანაკლებ აქტუალური იყო ნალჩიკის „სპარტაკშიც“ — ყაბარდო-ბალყარელთა გუნდმა წინა სეზონი VI ადგილზე დაამთავრა და ეს წარმატება გუნდის ქართველი ლეგიონერის **დავით სირაძის** დამსახურებაც იყო. თუმცა სეზონის დაწყების წინ ნალჩიკელთა მთავარი მწვრთნელი **იური კრასნოჟანი** მოსკოვის „ლოკომოტივში“ გადავიდა, მის ნაცვლად მისულმა **ვლადიმერ ეშტრეკოვმა** კი სრული კრახი განიცადა. პირველი ეტაპის დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე ეშტრეკოვი გაათავისუფლეს, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ნალჩიკელებს სერიოზული ბრძოლა მოუწევთ პრემიერლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად. ჩვენთვის დამაიმედებელი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ახალი მწვრთნელი **სერგეი ტაშუევი** გუნდის ერთ-ერთ ლიდერად 29 წლის დავით სირაძეს მოიაზრებს...

ნაცნობ-უცნობი ფეხბურთელები

ზემოთ ნახსენები ქართველი ფეხბურთელების გარდა რუსული პრემიერლიგის გუნდების განაცხადში სხვა ჩვენებურებიც ირიცხებიან, ოღონდ, ისინი ჯერ დუბლიორთა ტურნირში მონაწილეობენ. ასეა თუ ისე, სეზონის ბოლომდე ამათგან რამდენიმეს ძირითადში გამოჩენასაც უნდა ველოდოთ; მით უფრო, რომ ყაზანის „რუბინის“ 19 წლის მცველი **საბა კვირკველია** რამდენჯერმე ძირითადის 18-კაციან განაცხადშიც მოხვდა. კვირკველიამ „რუბინის“ დუბლებში 14 მატჩი ჩაატარა, მისმა თანატოლმა **ავთანდილ ბრაჭულმა** (ისიც მცველია) კი 7 შეხვედრაში 1 გოლი გაიტანა. ასევე ორი ქართველი თამაშობს მახაჩყალის „ანჟის“ დუბლშემადგენლობაშიც: 19 წლის ფორვარდმა **გიორგი ილურიძემ** 13 მატჩი ჩაატარა და 3 გოლი გაიტანა, მასზე ბევრად გამოცდილმა **ირაკლი კლიმიაშვილმა** კი 12 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ 23 წლის კლიმიაშვილს ტრავმამაც შეუშალა ხელი, თორემ ამ ასაკის ფეხბურთელს „ანჟის“ მსგავს ამბიციურ გუნდში მხოლოდ დუბლიორად არავინ მიიწვევდა.

ბოლოს ის ახალგაზრდა ფეხბურთელებიც უნდა ვახსენოთ, ქართული გვარსახელები რომ აქვთ და რუსეთის მოქალაქეები არიან. ამათგან ძირითადში მხოლოდ „ზენიტის“ 20 წლის მცველმა **იგორ ჩემინავამ** ითამაშა; დანარჩენები კი დუბლებში არიან: 18 წლის **დავით ხურციძე** (ცსკა), 18 წლის **მერაბ ურიდია,** 18 წლის **მიხეილ გორელიშვილი** (ორივე-„რუბინი“), 19 წლის **ირაკლი ჭეჟია,** 17 წლის **თემურ ბუკია** (ორივე — „სპარტაკი“, მოსკოვი), 18 წლის **კახა ხალვაში** („ყუბანი“), 18 წლის **ასლან ტოხოსაშვილი** („ტერეკი“), 18 წლის **დავით კოხია** („ვოლგა“). და კიდევ ერთ ახალგაზრდა ფეხბურთელზეც: მოსკოვის „ლოკომოტივის“ დუბლშემადგენლობაში 17 წლის **სანდრო ცვეიბა** თამაშობს, თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელის, **ახრიკ ცვეიბას** ვაჟი...

გია ფუხაშვილი

ოთხთა ტურნირი

ორგანიზაციის პროცესის კვალდაკვალ

როგორც ცნობილია, საქართველოს კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და საქმიანი ურთიერთობების საერთაშორისო ფონდი (თავმჯდომარე **ნიკო პატარქალიშვილი**) წლეულს, ნოემბერში თბილისში გეგმავს ფეხბურთში ოთხთა ამხანაგურ, საქველმოქმედო საერთაშორისო ტურნირს არგენტინის, ბრაზილიის, ურუგვაისა და საქართველოს 21-წლამდელა ნაკრები გუნდების მონაწილეობით.

საორგანიზაციო საკითხების მოგვარების ფარგლებში გუშინ გაიმართა საქმიანი შეხვედრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ამ ორგანიზაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას,** საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ **თემურ ქეცბაიასა** და ნიკო პატარქალიშვილს შორის.

შეთანხმდნენ, რომ სფფ მიესალმება საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მონაწილეობას ზემოაღნიშნულ ტურნირში. ვინაიდან ტურნირი ემთხვევა საქართველოს 23-ე ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის XV ტურისა და დავით ყიფიანის თასის გათამაშების მატჩებს, ნ. პატარქალიშვილმა წამოაყენა კალენდრის კორექტირების საკითხი და ამასთან დაკავშირებით ზ. სიჭინავას დავალებით შეხვდა სფფ-ის შესაბამისი სტრუქტურების ხელმძღვანელებს.

დავძენთ, რომ ტურნირზე იგეგმება თვით **პელეს** სტუმრობა, რაზეც მასთან წინასწარი მოლაპარაკება უკვე შედგა. ზემოხსენებულ შეხვედრაზე ტურნირის ორგანიზატორმა ნ. პატარქალიშვილმა ისიც თქვა, რომ იმ საფეხბურთო ზეიმის დღეებში თბილისში იგეგმება 1965 წელს მოსკოვში სსრ კავშირ-ბრაზილიის მატჩის შემდეგ ქართველი ფეხბურთელების, **მიხეილ მესხის, სლავა მეტრეველის, გიორგი სიჭინავას** და **ანზორ კავაზაშვილის** პელესთან გადაღებული ცნობილი სურათის მიხედვით შექმნილი ხუთფიგურიანი კომპოზიციის გახსნა.

თენგიზ თომაშვილი

მარცხნიდან: გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, პელე, ანზორ კავაზაშვილი, მიხეილ მესხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინტერვიუ. ილქაი გიუნდოგანი

იურგენ კლოპი და ილქაი გიუნდოგანი

დორტმუნდში ფეხბურთი სხვანაირია

არც შაჰინს ბაძავს და არც იოზილს, გიუნდოგანს თავისი გზა აქვს გასავლელი

გერმანიის ჩემპიონი დორტმუნდის „ბორუსია“ გასული სეზონის დასრულების შემდეგ იძულებული გახდა, უმთავრესი ფეხბურთელი ნური შაჰინი მადრიდის „რეალისთვის“ დაეთმო. არადა, შაჰინი გასული სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი და „ბორუსიას“ ჩემპიონობის უმთავრესი შემოქმედი გახლდათ. ეს უკანასკნელი BVB-ში ასევე თურქული წარმოშობის ნახევარმცველმა, 20 წლის ილქაი გიუნდოგანმა უნდა შეცვალოს, რომელიც დორტმუნდელებმა „ნიურნბერგიდან“ გადაიბირეს. გიუნდოგანმა „ფრანკებში“ ძალიან კარგი სეზონი ჩაატარა და თავის მხრივ „ნიურნბერგის“ ლიდერი იყო. „ბორუსიას“ თავკაცი იურგენ კლოპი დარწმუნებულია, რომ ილქაი „დორტმუნდში“ შაჰინს ღირსეულად შეცვლის. „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ახალგაზრდა და ძალიან პერსპექტიული საყრდენი ნახევარმცველი სწორედ იმაზე საუბრობს, რამდენად შეუძლია შაჰინის შეცვლა. ილქაის უდიდესი კონკურენციის არ ეშინია და „ბორუსიაში“ უდიდეს პერსპექტივას ხედავს.

- ამას წინათ, 100-მეტრიანი დისტანცია 11.6 წამში გაირბინეთ. ჰერ გიუნდოგან, თუ ახლაც ასეთ ფორმაში ხართ, გამოდის, რომ დორტმუნდის „ბორუსიაში“ ერთადერთი თანაგუნდელი, კერძოდ, იაკუბ ბლაშჩიკოვსკი გაგასწრებთ...

- მას მერე წონაში ცოტათი მოვიმატე, მაგრამ ზედმეტ კილოგრამებს მალევე დავაგდებ. ბლაშჩიკოვსკი მართლაც უსწრაფესი ფეხბურთელია და მასთან გაჯიბრებას არ ვაპირებ, ზოგადად კი ვფიქრობ, რომ ფეხბურთში აზროვნების სისწრაფე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, თუ ვინ რამდენ ხანში გარბის 100 მეტრს. დავიდ ოდონკორზე სწრაფი ფეხბურთელი მთელ მსოფლიოში არ მეგულება, მაგრამ ეს უკანასკნელი უკვე აღარავის ახსოვს – მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთს დღემდე თამაშობს.

- ბუნდესლიგის არცერთი კლუბის ნახევარდაცვაში არ არის ისეთი დიდი კონკურენცია, როგორიც „დორტმუნდში“. ამას წინათ თქვით, თუ ვითამაშებ, მხოლოდ ნახევარდაცვის ცენტრშიო. კონკურენტების ახლოს გაცნობის შემდეგ აზრი არ შეგიცვლიათ?

- „ექვსიანის“ ან „რვიანის“ ადგილზე თავს ყველაზე კარგად ვგრძნობ და სხვათა შორის, ძალიან მიხარია ისიც, რომ „ბორუსიაში“ ამ პოზიციებზე თამაში სხვა პოზიციის წარმომადგენლებსაც შეუძლიათ. ჯანსაღი კონკურენცია თითოეულ ფეხბურთელზე მხოლოდ კარგად მოქმედებს და ამ მხრივ გამონაკლისი არც მე ვიქნები. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველანი ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ, ძირითად შემადგენლობაში კი საუკეთესოები მოხვდებიან.

- დარწმუნებული ხართ, რომ საუკეთესოებში იქნებით?

- რატომ არ უნდა ვიყო? ჩემი მიზანი სწორედ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა და იქ ადგილის დამკვიდრებაა. ზემოთ დასმულ შეკითხვას რომ დავუბრუნდე: დიახ, მე ვფიქრობ, რომ გუნდს ყველაზე დიდ სარგებელს სწორედ ცენტრიდან მოვუტან, თუმცა თუ მწვრთნელი ფლანგზე გამამწესებს, თავს არც გარემარბის პოზიციაზე დავზოგავ.

- დღესდღეობით, ექსპერტები ფიქრობენ, რომ 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში, იდეალური საყრდენები თქვენ და სვენ ბენდერი ხართ. რაკი ეს უკანასკნელი ახლა ტრავმირებულია, ტესტ-მატჩებში კლოპი უმეტესად მის მხარეს, მემარჯვენე საყრდენად გათამაშებდათ...

- ბენდერი ძალიან კარგი ფეხბურთელია და მის მხარდამხარ თამაში დიდი სიამოვნებაა, მაგრამ ჩემი აზრით, მთავარი ის კი არ არის, ვინ ვისთან ერთად ითამაშებს, არამედ ის, რომ მოცემულ სიტუაციაში ორივე საყრდენი ძალიან კარგ ფორმაში უნდა იყოს. თუკი ასე იქნება, მნიშვნელობა აღარ ექნება, რომელი ფეხბურთელები ითამაშებენ – კელი, ბენდერი, გიუნდოგანი, და სილვა თუ ვინმე სხვა. აზრი არ აქვს დისკუსიას იმის შესახებ, ვინ ვის უხდება და ვინ ვის არა – კარგი იქნებოდა, ყველა ყველას რომ უხდებოდეს.

- სხვა ჟურნალისტებმა ალბათ გული გაგიწყალეს იმაზე საუბრით, რომ თქვენ ძალიან გავხართ ნური შაჰინს და რომ „ბორუსიაში“ სწორედ ეს უკანასკნელი უნდა შეცვალოთ...

- ყველანაირად ვცდილობ, რომ ჩემსკენ წამოსული ნნეხი თავიდან ავირიდო. ჩემი მიზანი ის არის, რომ „ბორუსიაში“ თავი ისე დავიმკვიდრო, როგორც ილქაი გიუნდოგანმა და არა როგორც შაჰინის შემცვლელმა. არ მომეწონება, თუ მომავალში ხშირად ისაუბრებენ იმის შესახებ, ნურის დროს ასე და ასე იყოო. წარსულზე ლაპარაკი არაფერს მოგვიტანს.

- თქვენმა ყოფილმა თანაგუნდელმა ანდრეას ვოლფმა თქვა, გიუნდოგანი მესუთ იოზილზე დიდი ფეხბურთელი გახდებაო...

- თუ სწორად მახსოვს, მან თქვა, თუ ასე გააგრძელებს, შეუძლია, იოზილზე უკეთესი გახდესო. განსხვავებას ხომ ხედავთ?

- მაშინ ასე გკითხავთ: რამდენად რეალურია ის, რომ მესუთზე უკეთესი გახდეთ?

- სხვათა შორის, იოზილთან შედარებაც ისევე მიშლის ნერვებს, როგორც შაჰინთან შედარება. ცხადია, ძალიან მინდა, რომ უმაღლესო დონის ფეხბურთელად ჩამოვყალიბდე, მაგრამ არავის ვეჯიბრები - მე ჩემი გზა მაქვს გასავლელი.

- „ბორუსიას“ სტილს უკვე შეეგუეთ?

- ვფიქრობ, რომ ძალიან ბეჯითი მოწაფე ვარ და არა მგონია, კლოპის დავალებების შესრულება გამიჭირდეს. „დორტმუნდის“ კონცეფცია ჩემთვის აბსოლუტურად გასაგებია: სწრაფი გადართვა დაცვიდან თავდასხმაში, ყველა ბურთზე დაუნდობელი ბრძოლა და ძალიან ბევრი სირბილი. მზად ვარ, ეს კონცეფცია გავითავისო.

- ამისათვის თქვენი სტილის ან საფეხბურთო აზროვნების შეცვლა მოგიწევთ?

- რა თქმა უნდა! იმიტომ, რომ დორტმუნდში ფეხბურთი სულ სხვანაირია. ვფიქრობ, „ბორუსიას“ იდეალურად მოვერგები. სირბილიც შემიძლია და საკმარისად ტექნიკურიც ვარ. სრულყოფილებამდე კი, ჯერ ბევრი მაკლია და იმედი მაქვს, რომ ამას დორტმუნდში მივაღწევ. „ბორუსიას“ ფეხბურთელი 90 წუთის მანძილზე დაუღალავად უნდა დარბოდეს, რაც მართალია, ჩემთვის სიახლეა, მაგრამ მე მიყვარს ასეთი სიახლეები. ერთი სიტყვით, ამ ასაკში „ბორუსიაზე“ უკეთესი ვერაფერი დამემართებოდა!

- ღამე, უკიდურესად დაღლილს მკვდარივით გძინავთ?

- რაც არ უნდა დაღლილი ვიყო, დღის ბოლოს მეგობრებსა და ოჯახის წევრებს ყოველთვის ვეკონტაქტები ხოლმე. ხანდახან კი, ახალ თანაგუნდელებთან ერთად პინგ-პონგს ან დარტსს ვთამაშობ. ორშაბათს ფელიპე სანტანასთან და რობერტ ლევანდოვსკისთან ძალიან დაძაბული მატჩები მქონდა.

- დარტსს აუცილებლად სანტანა მოგიგებდათ, რადგან ძალიან გრძელი ხელები აქვს...

- არა, თქვენ წარმოიდგინეთ, დარტსის აზრზე არაა!

- სულ აცილებდა?

- რამდენჯერმე მოარტყა, მაგრამ იმ შემთხვევებშიც გაუმართლა...

● შალკე

13-მილიონიანი ხურადო ტრანსფერზე!

რანგნიკს შტუტგარტიდან გამოგდებული მარიკა მოსწონს

ერთადერთი რამ, რითაც „შალკეს“ ვარჯიშებზე (გელზენკირხენული კლუბი ახალი სეზონისთვის მოსამზადებელ შეკრებას ავსტრიაში გადის) 25 წლის ესპანელი გამთამაშებელი **ხოსე მანუელ ხურადო** გამოირჩევა, მისი 200-ევროიანი ჭრელი ბუცებია. ერთი წლის წინ 13 მილიონ ევროდ ნაყიდი ნახევარმცველი საფეხბურთო თვალსაზრისით ისეთს ვერაფერს ახერხებს, მთავარი მწვრთნელის, **რალფ რანგნიკის** გული რომ მოიგოს. 53 წლის „პროფესორი რალფი“ აქცენტს პრესინგის დამუშავებაზე, აგრესიულ სირბილზე აკეთებს და როგორც ჩანს, ხურადოს ეს ყველაფერი მაგრად ეზარება.

ჩვენი გერმანელი კოლეგები ამიტომაც ვარაუდობენ, რომ რანგნიკი ხურადოს ტრანსფერზე დაყენებას აპირებს. ამას წინათ „შალკეს“ მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** გულახდილად თქვა, ხურადოსგან ყველანი გაცილებით მეტს ველითო. თუკი პირველ სეზონში ესპანელმა ოფიციალურ მატჩებში მხოლოდ 8 გოლი გაიტანა, ჰელდტმა და რანგნიკმა ასეთი მოკრძალებული შედეგი იმით გაამართლეს, რომ ის სეზონი ხურადოსთვის სადებიუტო იყო და ბუნდესლიგასთან შეგუება სჭირდებოდა, ახლა კი ესპანელს გაცილებით მეტს სთხოვენ – მინიმუმ იმდენს, რომ მასში გადახდილი 13 მილიონი გაამართლოს.

ყველაზე ცუდი ის არის, რომ ხურადო არაფერს ცდილობს და ამ ეტაპზე მასზე უკეთესად 17 წლის **იულიან დრაქსლერი** გამოიყურება. რანგნიკი 4-2-3-1 ტაქტიკური სქემით თამაშს აპირებს და შემტევი ნახევარმცველების ტრიოს პოზიციებზე ამ ეტაპზე **ჯეფერსონ ფარფანს** და დრაქსლერს (მარჯვნივ), **რაულს** (ცენტრში) და **ლუის ჰოლტბის** (მარცხნივ) ანიჭებს უპირატესობას.

„ბილდი“ ირწმუნება, რომ „შალკე“ მზადაა, ხურადო პირველივე მსურველს მიჰყიდოს, თუკი ვინმე 9.5 მილიონს გადაიხდის. ესპანელის ფასი არცთუ კარგი სეზონის შემდეგ სწორედ 3.5 მილიონით დაეცა. მიუხედავად ამისა, 9.5 მილიონი ევროს გადახდა სადღეისოდ არავის უნდა.

ამასობაში, „ბილდი“ წერს, რომ „შალკეს“ ძალიან აინტერესებს რუმინელი თავდამსხმელი **ჩიპრიან მარიკა**, რომელიც ორიოდე დღის წინ „შტუტგარტიდან“ დაითხოვეს და ახლა უფასო აგენტია. ჰელდტი, რომელიც „შტუტგარტის“ ყოფილი მენეჯერია, არ მალავს, რომ მარიკასთვის კონტრაქტის შეთავაზებაზე სერიოზულად ფიქრობს – ეს არის თავდამსხმელი, რომელიც ყოველთვის მომწონდაო. 2007 წელს მარიკა დონეცკის „შახტარიდან“ „შტუტგარტში“ სწორედ ჰელდტმა გადაიყვანა.

პაპადოპულოსი 2015 წლამდე!

„შალკემ“ 19 წლის ბერძენ მცველ **კირიაკოს პაპადოპულოსს** ახალი კონტრაქტი გაუფორმა, რომელსაც ვადა 2015 წლამდე აქვს. მართალია, ამ ფეხბურთელს ხელშეკრულების ვადა 2014 წლამდე არ ენურებოდა, მაგრამ პაპადოპულოსმა რანგნიკს თავი იმდენად მოანონა, რომ რალფმა მისთვის ახალი კონტრაქტის გაფორმება ბრძანა, რომლის მიხედვითაც ნიჭიერი ბერძენი უკანახაზელი გაზრდილ ხელფასს მიიღებს და 2015 წლამდე მას დაბალ ფასად ვერავინ იყიდის. პაპადოპულოსის შემდეგ, გელზენკირხენელებს ახალი კონტრაქტის გაფორმება ფარფანთანაც სურთ, რომლის ხელშეკრულებას ვადა 2012 წელს გასდის.



ხოსე მანუელ ხურადო

● ამბები

სკიელბრედი ჰამბურგელია

ნორვეგიელი **პერ ჩილიან სკიელბრედი** „ჰამბურგში“ დაგეგმილზე ადრე, ახლავე გადადის. ჩრდილოგერმანული კლუბის ხელმძღვანელები ტრონჰეიმის „რუსენბორგს“ ტრანსფერზე შეუთანხმდნენ და 23 წლის გამთამაშებელს ახლავე გადაიბირებენ. „ჰამბურგის“ სპორტული დირექტორის, **ფრანკ არნესენის** თქმით, სკიელბრედი ჰამბურგში 3 ან 4 აგვისტოს ჩავა.

ულოზე ლაციოს გმირია!

33 წლის **მიროსლავ კლოზემ** რომის „ლაციოს“ და ზოგადად იტალიურ ფეხბურთს ალლო ძალიან სწრაფად აუღო. „სელეციონე კადორესთან“ ტესტ-მატჩში მირომ მოედანზე მხოლოდ 45 წუთი გაატარა და ამ დროში 5 გოლის გატანა შეძლო – მატჩი კი „ლაციომ“ 16:0 მოიგო. პარასკევს „გაძეტა დელო სპორტი“ წერდა, „ლაციოს“ ფანები მიროს უკვე ალმერთებენო.

ვეტერანი გერმანელი გოლეადორით რომაელთა თავკაცი **ედი რეიაც** ძალიან კმაყოფილია: „კლოზეს სახით უძლიერესი თავდამსხმელი გადმოვიბირეთ. დარწმუნებული ვარ, რომ მირო იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის წოდებისთვის იბრძოლებს,“ - ამბობს „ლაციალეს“ 65 წლის მწვრთნელი.

ჰსვ-ს მცველი შტუტგარტში

მატიო დელპიერის უმძიმესი ტრავმის შემდეგ, „შტუტგარტის“ ხელმძღვანელები სატრანსფერო ბაზარზე გააქტიურდნენ და „ჰსვ ეინდჰოვენის“ დაცვის ბურჯი, 29 წლის მექსიკელი **ფრანსისკო ხავიერ როდრიგეს პინედო** (მოკლე სახელი: **მასა**) გადაიბირეს. ამ უკანასკნელმა შვაბურ კლუბთან კონტრაქტი 2014 წლამდე გააფორმა. სატრანსფერო თანხა არ გახმაურებულა.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● პორტუ

ფალკაო დარჩა

"პორტუს" კოლუმბიელი თავდამსხმელი **რადამელ ფალკაო გარსია** "ჩელსიში" აღარ გადავა, რადგან 25 წლის ფეხბურთელმა კლუბთან მოქმედი ხელშეკრულება გაახანგრძლივა, - წერს ფიფას ოფიციალური საიტი. ცენტრალურმა თავდამსხმელმა ახალი ხელშეკრულება 2015 წლამდე გააფორმა, რომლის წყალობითაც კლუბმა ზუსტად განსაზღვრა ის თანხა, რომელიც მისმა მსურველმა კლუბმა უნდა გადაიხადოს - ლაპარაკია 45 მილიონ ევროზე. ძველ ხელშეკრულებაში ეს თანხა 30 მილიონით იყო განსაზღვრული. არადა "ჩელსის" გარდა ფეხბურთელით დაინტერესებულნი იყვნენ "მანჩესტერ სიტი" და მადრიდის "ატლეტიკო", რომელიც იმედოვნებდა, რომ კოლუმბიელის შესაძენი ფული **სერხიო აგუეროს** გაყიდვის შემდეგ გაუჩნდებოდა. რადამელმა "ესტადიუ დუ დრაგაუზე" 2 წელიწადი გაატარა და 85 მატჩში 73 გოლი გაიტანა, რაც, დაგვეთანხმებით, ფანტასტიკური შედეგია. თავდამსხმელმა მარტო ევროპის ლიგის ბოლო გათამაშებაში 17 გოლი გაიტანა, რითიც ევროთასების ყველა დროის რეკორდის ავტორი გახდა. ამდენი გოლი იქამდე ერთ გათამაშებაში არავის გაეტანა. საუკეთესო შედეგი იქამდე 1995/96 წლების უეფას თასის გათამაშების საუკეთესო ბომბარდირ **იურგენ კლინსმანს** ეკუთვნოდა 15 გოლით.

"პორტუმ" ბრაზილიურ "სანტოსთან" შეთანხმებას მიაღწია და უახლოეს ხანებში 20 წლის მარცხენა მცველ **ალექს სანდროსთან** 5-წლიან კონტრაქტს გააფორმებს. "დრაკონებს" პერსპექტიული შემტევი სტილის მცველის დაბევება 9,5 მილიონი ევრო დაუჯდათ. ფეხბურთელი ბრაზილიის 20-წლამდელთა ნაკრების წევრია და მალე გუნდთან ერთად კოლუმბიაში გასამართ თანატოლთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გაემგზავრება. სანდროს შეძენა "პორტუს" გარდა სურდა ინგლისური პრემიერლიგის ორიოდე გუნდს და ასევე ლისაბონის "ბენფიკას".

რახან "ბენფიკა" ვახსენეთ, აქვე გეტყვით, რომ დედაქალაქელებმა გუშინწინ საღამოს საბოლოოდ გაინაღდეს ბელგიის ნაკრების ამომავალი ვარსკვლავის, 22 წლის ცენტრალური ნახევარმცველის **აქსელ ვიტსელის** შეძენა. როგორც ლიეჟის "სტანდარდის" გენერალური დირექტორი **პიერ ფრანსუა** აცხადებს, აქსელი ლისაბონში 5 წლით დარჩება. კონკრეტული სატრანსფერო თანხა არ სახელდება, მაგრამ ვარაუდობენ, რომ "ბენფიკას" ეს სიამოვნება 6,5-დან 8 მილიონ ევრომდე დაუჯდებოდა.

ლევან ბიბილაშვილი

რადამელ ფალკაო გარსია პოტუში რჩება

● ვარსკვლავები

ვიეირა წავიდა, სიგანიც

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **პატრიკ ვიეირა** ფეხბურთიდან წავიდა. მოგეხსენებათ, უკანასკნელი კლუბი, სადაც ის თამაშობდა, "მანჩესტერ სიტი" იყო. ისტლენდელებმა დამსახურებულ ვეტერანს კლუბის სტრუქტურაში ერთ-ერთი ადმინისტრაციული თანამდებობა შესთავაზეს. პატრიკის ახალი სტატუსი ასე გამოითქმის: ფეხბურთის განვითარების, სოციალური პროექტებისა და პარტნიორებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი. "ვფიქრობ, ჩემთვის დიდი პატივია, რომ კლუბმა ასეთი თანამდებობა შემომთავაზა. ბუნებრივია, მე ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამის სწავლა მომიწევს, მაგრამ კლუბში დასაქმებული გამოცდილი ხალხის იმედი ყოველთვის მექნება. ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ ყოველთვის რაღაც ახალ როლზე ვოცნებობდი ამ სფეროში, რადგან ფეხბურთის სამუდამოდ მიტოვება არც მიფიქრია," – განაცხადა ვიეირამ.

ყველაფრის მომგები პატრიკ ვიეირა ფეხბურთიდან წავიდა

პატრიკ ვიეირა 1976 წლის 23 ივნისს სენეგალში დაიბადა. მისი დედა საფრანგეთში საცხოვრებლად მაშინ გადმოვიდა, როცა პატრიკი 8 წლის იყო. საფეხბურთო ანა-ბანა ფეხბურთელმა "კანში" ისწავლა. მას კარიერის განმავლობაში უთამაშია ასევე "მილანში", "არსენალში", "იუვენტუსში", "ინტერსა" და "მანჩესტერ სიტიში". ვიეირას სამჯერ აქვს მოგებული ინგლისის ჩემპიონატი, 5-ჯერ ამ ქვეყნის თასი, 4-ჯერ იტალიის ჩემპიონატის ოქროს დაეუფლა, საფრანგეთის ნაკრებში კი 107 შეხვედრა ჩაატარა და 6 გოლი გაიტანა. ზემოთაც მოგახსენეთ, რომ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონია, ამას დაუმატეთ, რომ ორჯერ აქვს მოგებული კონფედერაციის თასი. მოკლედ, სანაკრებო თუ საკლუბო დონეზე უმდიდრესი კარიერა ჰქონდა.

აქვე გეტყვით, რომ ფეხბურთელის კარიერის დასრულების შესახებ განცხადება გააკეთა ასევე პატრიკ ვიეირას ყოფილმა თანაგუნდელმა "არსენალში", 37 წლის **პასკალ სიგანმა**. აღნიშნულ ინფორმაციას "ფრანს ფუტბოლი" გვაწვდის. ვეტერანს განზრახული აქვს, რომ უახლოეს ხანებში სამწვრთნელო ლიცენზია მოიპოვოს და ფეხბურთში მოღვაწეობა ამ მხრივ განაგრძოს.

სიგანმა კარიერა მაშინ ძალზე მოკრძალებული შესაძლებლობების "ლილში" დაიწყო, საიდანაც "არსენალში" გადავიდა. ლონდონიდან მან თავი "ვილიარეალში" ამოყო, აქედან კი სეგუნდა დივიზიონის "კარტახენაში" წავიდა, სადაც დაასრულა კიდეც კარიერა.

ლევან ბიბილაშვილი

● პარი სენ-ჟერმენი

30 მილიონი განსოში

მალე ადელ ტაარაბტი კარიერას პსჟ-ში განაგრძობს

"პარი სენ-ჟერმენი" მზადაა, "სანტოსს" 21 წლის ნახევარმცველ **პაულო ენრიკე განსოში** 30 მილიონი ევრო გადაუხადოსო, - წერს "პარიზიენი". თუ ტრანსფერი მართლა შედგა, პარიზელებს ფეხბურთელის გადაბირება სულ 50 მილიონი დაუჯდებათ, რადგან ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებების 40% მისი აგენტების ხელშია. ისინი შესაბამისად 20-მილიონ ევროს მიიღებენ. ფეხბურთელი "სანტოსში" 2008 წლიდან თამაშობს, იქამდე ის საფეხბურთო კლუბ "ტუნა ლუზოს" სკოლის აკადემიაში თამაშობდა. ამ პერიოდში განსომ კლუბში 45 შეხვედრა ჩაატარა და 8 გოლი გაიტანა. ბრაზილიური პრესის მტკიცებით, ახალგაზრდა ფეხბურთელით დაინტერესებულნი არიან ასევე "მილანი", "ინტერი" და მახაჩყალის "ანჟი". თუ განსოს გადაბირება არ გამოვიდა, სათადარიგო ვარიანტად "ლურჯ-წითლები" ინგლისური "ქუინზ პარკ რეინჯერსიდან" 22 წლის მაროკოელი **ადელ ტაარაბტის** კანდიდატურას განიხილავენ. ამ ვარიანტს მხარს უჭერს პარიზელთა ახლადგამომცხვარი სპორტული დირექტორი **ლეონარდო**. გეტყვით იმასაც, რომ ტაარაბტის ტრანსფერის შანსებს ფრანგული წყაროები ძალიან რეალურად მიიჩნევენ, მეტიც, მათი მტკიცებით, განსოსადმი ინტერესის დაფიქსირება მხოლოდ პიარია და მეტი არაფერი, რეალურად კი დასავლეთლონდონელებთან ისინი უკვე შეთანხმებულები არიან. გეტყვით, რომ ტაარაბტმა ინგლისის ჩემპიონშიპის ბოლო სეზონში 44 შეხვედრაში 19 გოლის გარდა 16 საგოლე გადაცემა გააკეთა, რითიც ის დიდად დაეხმარა კლუბს პრემიერლიგის საგზურის მოპოვებაში.

ლეონარდო ვახსენეთ და არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ის ძალიან პოპულარული პერსონა გახდა ბოლო დღეებში. ბრაზილიელს დღეში ათობით ჟურნალისტი ურეკავს, რათა მისგან ინტერვიუ აიღოს. ჩინოვნიკმა უეფას ვებგვერდს შემდეგი საინტერესო რამ უთხრა: *"პარიზი ალბათ ერთადერთი ევროპული დედაქალაქია, რომელსაც არ ჰყავს ძლიერი კლუბი. გასაგებია, რომ ასეა, მაგრამ ამის გამოსასწორებლად ჩვენ პოტენციალი ნამდვილად გვაქვს. მოხარული ვარ, რომ უკვე "პარი სენ-ჟერმენში" ვარ".*

ლევან ბიბილაშვილი

● სავარაუდო ტრანსფერი

ძამპარინი: პასტორე 99%-ით ექს-პალერმოელია

ხავიერ პასტორეს

ხავიერ პასტორეს „პალერმოდან" სხვა გუნდში შესაძლო გადაბარგების ამბავი აქტუალობას არ კარგავს - დღე არ გავა, რომ 21 წლის არგენტინელი შემტევის შესახებ საინტერესო ინფორმაცია არ გავიგოთ. გუშინ „გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტი სიცილიური კლუბის პრეზიდენტს გაესაუბრა და სწორედ ამ საკითხზე ჩამოუგდო სიტყვა. **მაურიციო ძამპარინიმ** შემდეგი განაცხადა:

„რა ხდება პასტორესთან დაკავშირებით? - არგენტინელზე დიდი მოთხოვნაა და სავარაუდოდ მასთან განშორება მოგვიწევს. თუ მკითხავთ, რამდენი პროცენტია იმის შანსი, რომ ხავიერი ჩვენთან დარჩეს, ჩემი პასუხი იქნება: ერთი. დიახ, 99% პასტორე ევროპული ფეხბურთის რომელიმე გრანდში გადავა, ჩვენი ბიუჯეტი კი მინიმუმ 50 მილიონი ევროთი გაიზრდება. ეს თანხა ისევ კლუბის განვითარებისთვის გვჭირდება, ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ პრობლემებს გადავჭრით და შემადგენლობასაც გვარიანად გავაძლიერებთ. ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ ხავიერი გუნდის საუკეთესო ფეხბურთელია და მასთან განშორება ჩემთვის რთული იქნება, სავარაუდოდ, სწორედ ასე მოხდება".

ძამპარინის 50 მილიონი ევრო უნდა და ამ თანხის სანაცვლოდ პასტორეს ეშმაკსაც მიჰყიდის - თუმცა, თავად ფეხბურთელს ყველაზე მეტად „მილანის" ვარიანტი ხიბლავს. აი, რას ამბობს არგენტინელი პლეიმეიქერი: *„სიმართლე გითხრათ, ზუსტ ინფორმაციას არ ვფლობ თუ რომელი გუნდები არიან ჩემით დაინტერესებულნი; მით უმეტეს, ნაკლებად მაინტერესებს ვინ რამდენს იხდის. სიცილიაში თავს კარგად ვგრძნობ და დარჩენაც რომ მომიწიოს, წინააღმდეგი არ ვიქნები. თუმცა, კარგად მესმის, რომ ამის შანსი საკმაოდ მცირეა და სავარაუდოდ, კარიერის სხვა გუნდში გაგრძელება მომიწევს. ჩემი ნება რომ იყოს, დიდი სიამოვნებით გადავიდოდი „მილანში", სადაც ყველა პირობაა იმისთვის, რომ განვითარდე და ტიტულები მოიგო. თანაც, „როსონერის" აშკარად აკლია ტიპური პლეიმეიქერი, ამ პოზიციაზე ალეგრომ არაერთი მოთამაშე გამოსცადა დაწყებული კევინ პრინც ბოატენგიდან, დამთავრებული რობინიოთი. მოკლედ, „სან სირო" ის სტადიონია, სადაც სიამოვნებით ჩავატარებდი საშინაო შეხვედრებს".*

პასტორემ არ დამალა, რომ მისთვის ყველაზე სასურველი „მილანში" გადაბარგება იქნება. მაგრამ, არიან კი მზად ლომბარდიელები საიმისოდ, რომ სიცილიური კლუბის ბიუჯეტში 50 მილიონი ევრო გადარიცხონ? - შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ **სილვიო ბერლუსკონის** კომპანიას იტალიის სასამართლომ 560 მილიონი ევრო ჯარიმა დააკისრა, რამაც „მილანის" პრეზიდენტის ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად გააუარესა. მართალია, უკვე არაერთხელ ითქვა, რომ კომპანია „მონდანდორის" პრობლემები „როსონერის" სატრანსფერო პოლიტიკაზე ასახვას არ ჰპოვებს, მაგრამ მაინც ნაკლებად სავარაუდოა, რომ ასეთი ვითარებაში დონ სილვიომ ერთ ფეხბურთელში ხუთი ათეული მილიონი ევრო გაიღოს.

ლაშა წიკლაური

● მილანი

მექსე: ზლატანთან პრობლემები არ მაქვს

მექსე და იბრაჰიმოვიჩი

ფილიპ მექსე და **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** წლების განმავლობაში ერთმანეთის მეტოქეები იყვნენ და ბედმა კი ისე ინება, რომ მომდევნო სეზონიდან მხარდამხარ მოუწევთ ასპარეზობა. ამაში უჩვეულო არაფერია, მაგრამ ეგაა, რომ ამ ორ მოთამაშეს ერთმანეთთან არც თუ თბილი და მეგობრული წარსული აკავშირებთ. ზლატანი ჯერ კიდევ „ინტერში" თამაშობდა, როდესაც იტალიის თასის ფინალურ პაექრობაში რომაელ მექსეს ზედ მოედანზე წაეკიდა და საქმე კინაღამ ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. მას შემდეგ, სადაც კი ეს ორი მოთამაშე ერთმანეთს გადაეყდა, ყველგან კინკლაობას და განევ-გამონევას ჰქონდა ადგილი. ჰოდა, საინტერესოა როგორ აპირებენ მექსე და იბრაჰიმოვიჩი ერთ გუნდში ასპარეზობას... სწორედ ამ საკითხზე ისაუბრა „გაძეტა დელო სპორტთან" ფრანგმა უკანახაზელმა:

„ყველამ კარგად იცის, რომ იბრაჰიმოვიჩთან მოედანზე მუდამ კონფლიქტები მქონდა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასთან რაიმე პრობლემები შემექმნება. პირიქით, შვედს დიდ პატივს ვცემ და დარწმუნებული ვარ, რომ ერთმანეთს კარგად გავუგებთ. ზლატანი საოცარი შესაძლებლობების ფეხბურთელია, ჩემსავით შეუპოვარი. გულშემატკივრებს შეუძლიათ მშვიდად იყონ, ჩვენ შორის ყველანაირი გაუგებრობა გამორიცხულია".

ლაშა წიკლაური

მენეზი მარსელში

თითქმის გადაწყვეტილია, რომ "რომას" 24 წლის ნახევარმცველი **ჟერემი მენეზი** კარიერას მარსელის "ოლიმპიკში" გააგრძელებს. goal.com-ის ინფორმაციით, ოფიციალურად ხელშეკრულების გაფორმების შესახებ ორშაბათს გამოცხადდება. პროვანსელთა გარდა ფეხბურთელის გადაბირება მათ დაუძინებელ მტერ "პარი სენ-ჟერმენსაც" ხურდა. გადამწყვეტი სიტყვა თავად ფეხბურთელმა თქვა. ჟერემი "რომაში" 2008 წლიდან თამაშობდა, სადაც 73 შეხვედრაში 8 გოლის გატანა მოახერხა.

"ოლიმპიკის" სპორტულმა დირექტორმა **ჟოზე ანიგომ** განაცხადა, რომ გუნდის 30 წლის ნახევარმცველმა **ლუჩო გონსალესმა** მათ პირდაპირ განუცხადა, რომ კარიერის "მალაგაში" გაგრძელება სურს. თავის მხრივ მან განაცხადა, რომ ძალიან უნდა საკითხის მაქსიმალურად სწრაფად მოგვარება. "მალაგა" ვეტერან არგენტინელში 6 მილიონ ევროს იხდის.

ლევან ბიბილაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● არსენალი

ვენგერის კოშმარული ნელინადი

არსენ ვენგერმა თქვა, რომ გასული სეზონი მის კარიერაში ყველაზე მძიმე იყო. შეგახსენებთ: „არსენალი“ ერთბაშად ოთხ შეჯიბრებაში გამარჯვებას უმიზნებდა, მაგრამ ხელცარიელი დარჩა. „მეთოფეთა“ თაკაცმა თქვა:

„ის, რაც გაზაფხულზე მოხდა, ჩემი კარიერის ყველაზე მძიმე მონაკვეთი იყო. ემოციურად ამის გადატანა რთული აღმოჩნდა. კალაპოტიდან სრულიად ამოვარდნილებმა სამი თუ ოთხი კვირა კოშმარში გავატარეთ“.

გეხსომებათ, რომ ჩრდილოლონდონელთა იმედიანი სვლა „ქარლინგის თასის“ ფინალში, „ბირმინგემ სიტისთან“ დამარცხებამ დაასრულა. საქმე მერე აირია და გუნდმა ბოლო 15 შეხვედრიდან მხოლოდ სამი მოიგო. საბოლოოდ, „არსენალი“ პრემიერლიგის ცხრილში მეოთხე ადგილზე გავიდა და პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში ვეღარ მოხვდა — აგვისტოში შესარჩევი ეტაპი ელის.

დღეს ფრანგი მწვრთნელის სახეზე უკვე დაძაბულობა იკითხება. ის ამბობს:

„რაღაც მომენტში ვიგრძენი, რომ ჩემს გუნდს ყველაფრის მოგება შეეძლო. ძალიან დიდი იმედი მქონდა, რომ განსაკუთრებულ შედეგს მივაღწევდით. ნოემბერსა და დეკემბერში ისე ვთამაშობდით, რომ შეუძლებელი იყო რაიმე სერიოზულზე არ გვქონოდა პრეტენზია. წარმატება მართლაც ხელის ერთ გაწვდენაზე ჩანდა“.

მაგრამ, როგორც ვთქვით, ეს ყველაფერი ქარმა წაიღო და დღეს ვენგერი უკვე მომავალზეა გადართული. ის იმედოვნებს, რომ მომავალ სეზონში მაინც გამოასწორებს საქმეს. „არსენალს“ ხომ ექვსი წელიწადია ერთი ჯილდოც კი არ მოუგია.

ვენგერი განაგრძობს: *„მწამს, რომ ამ გუნდს დიდი გამარჯვებები ელის. თავად ბიჭებმაც ხომ ჩემზე არანაკლებ იცოდნენ, თუ რა ახლოს იყვნენ ოცნების ასრულებასთან. ასეთ დროს უნდა თქვა: რაც არის, არის, შანსი ხელიდან გავუშვით, მაგრამ ახლა ძალ-ღონეს მოვიკრებთ და მაინც მივაღწევთ იმას, რასაც ვიმსახურებთ. ამისი გულწრფელად მჯერა, რადგან ძალიან ახალგაზრდული გუნდი გვყავს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ წინ მხოლოდ პროგრესია. სწორედ ამის დამტკიცებას ვაპირებთ მომდევნო სეზონში“.*

„არსენალის“ ფანებს ახალი შენაძენის, „ლილისგან“ 13 მილიონ ევროდ ნაყიდი 24 წლის კოტდ'ივუარელი **ჟერვინიოს** იმედი აქვთ. ის თავდამსხმელია. გარემარბობაც შეუძლია.

„ამ ბიჭს ძალიან საინტერესო თვისებები აქვს. დარწმუნებული ვარ ფანებს აღაფრთოვანებს და მათი საყვარელი ფეხბურთელი გახდება. ბურთის გარეშე დიდებულად გადაადგილდება, პოზიციებს ეძებს და იცვლის. სწრაფია, შეტევა მარჯვნიდანაც შეუძლია და თავდასხმის ცენტრშიც კარგად გრძნობს თავს. ჟერვინიოს გოლების გატანა თავადაც ეხერხება და ასისტენტობაშიც ყოჩაღია. საფრანგეთის ჩემპიონატის სტატისტიკას თუ ჩავხედავთ, ვნახავთ, რომ ყველაზე მეტი გოლი სწორედ მისი გადაცემის წყალობით გავიდა. ერთი სიტყვით, ჟერვინიო „არსენალის“ შეტევას ძალიან გააძლიერებს“.

ეს ყველაფერი ვენგერმა ჩინეთში თქვა, სადაც მის გუნდს ათასობით თაყვანისმცემელი დახვდა. „მეთოფეთა“ მწვრთნელმა აღიარა, რომ არ ელოდა ინგლისიდან ასე შორს ამდენი მხარდამჭერი თუ ეყოლებოდა. ის ჩინელ ფანებს ლამაზ ფეხბურთს და გამარჯვებებს დაჰპირდა.

● ტოტენჰემი

მოდრიჩის დამღლელი ამბავი

„ტოტენჰემ ჰოთსპურის“ თავკაცი **ჰარი რედნაპი** იმედოვნებს, რომ 13 აგვისტოს, როდესაც ახალი სეზონი დაიწყება, 25 წლის ხორვატი, **ლუკა მოდრიჩი** კვლავ მისი გუნდის ფეხბურთელი იქნება.

შეგახსენებთ, რომ მოდრიჩს „ჩელსიში“ უნდა გადასვლა. დასავლეთლონდონელები ჩრდილოელ თანაქალაქელებს მის ნაცვლად 27 მილიონ ფუნტს სთავაზობენ, თავად ფეხბურთელს კი კვირაში 150 ათასი ფუნტის დანიშვნას ჰპირდებიან. მოდრიჩმა „სფურზს“ გათავისუფლება მოსთხოვა — თავიდან სიტყვით, შემდეგ კი ოფიციალური განცხადებაც დაწერა. თუმცა, რედნაპი, რომელიც თავის გუნდს სამხრეთ აფრიკულ შეკრებაზე კვირას შეუერთდება, ამბობს:

„მჯერა, რომ ლუკა სეზონის დასაწყისში ისევ ჩვენს გუნდში იქნება. თავმჯდომარე დენიელ ლივიმ გასაგებად თქვა, რომ მის გაყიდვას არანაირ ფასად არ აპირებს. ამასთან, ლუკა დიდებული ადამიანია. ის ძალიან კეთილი პიროვნებაა და ცხადია, პრობლემებს არავის შეუქმნის.

მეორე მხრივ, მოდრიჩი გრძნობს, რომ მას აქვს შანსი ითამაშოს გუნდში, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის მოგება შეუძლია. თან, ეს გუნდი დიდძალ ფულსაც ჰპირდება. არადა, მე ახალი „სფურზის“ აშენებას მის გარშემო ვაპირებ“.

ამასობაში, „ტოტენჰემის“ ბრაზილიელი ნახევარმცველი **სანდრო** ოპერაციას იკეთებს. 22 წლის ნახევარმცველი მოედანზე სექტემბერში დაბრუნდება.

ლუკა მოდრიჩი

● ასტონ ვილა

პარკერის მოგზაცება

სკოტ პარკერი

„ასტონ ვილა“ გათავხედდა: ფულის ტომრად აღიარებულ „ჩელსის“ „ვესტ ჰემისგან“ 30 წლის ნახევარმცველის, **სკოტ პარკერის** ქირაობა უნდა, ის კი ეჩხირება და მოთამაშის ყიდვას აპირებს — ფაქტობრივად, ცხვირწინ სტაცებს. კიდევ, ბირმინგემელთა თავკაც **ალექს მაკლიშს**, ამ ზაფხულს გაყიდულების, **სტიუარტ დაუნინგისა** და **ეშლი იანგის** ნაცვლად **შონ რაიტ-ფილიპსისა** და **შარლ ნ'ზოგბიას** შეძენა სურს. მოგეხსენებათ, 29 წლის რაიტ-ფილიპსი „მანჩესტერ სიტის“ წევრია, 25 წლის ნ'ზოგბია კი „უიგანის“.

თუმცა, დავუბრუნდეთ „ჩელსისა“ და პარკერს. დასავლეთლონდონელები კვირას მალაიზიას მიეშურებიან. ახალ მწვრთნელ **ანდრე ვილაშ-ბოაშს** სურს, ნახევარმცველი აეროპორტში გამგზავრებამდე უკვე მათი მოთამაშე იყოს. მოგეხსენებათ, „ლურჯებს“ პრობლემა აქვთ: **მიკაელ ესიენი** ვარჯიშზე დაშავდა და ოპერაციის შემდეგ მოედანზე დასაბრუნებლად ექვსი თვე სჭირდება. ამ დროის გადასაგორებლად პარკერი „ჩელსისთვის“ შესანიშნავი გამოსავალია, თუმცა „დიდ ეკს“ ანუ „ასტონ ვილას“ მწვრთნელ მაკლიშს ჯიბეში 8 მილიონი ფუნტი უდევს და „აპტონ პარკის“ შეფებს გამომწვევად უტრიალებს.

აღსანიშნავია, რომ ჩემპიონშიპში გავარდნილი „ვესტ ჰემის“ ვარსკვლავი გუნდთან ერთად შვეიცარიაში იმყოფებოდა, მაგრამ საკუთარი ბედ-იღბლის რაც შეიძლება მალე გასარკვევად ამ დღეებში ინგლისში დაბრუნდა. ცნობისათვის: საფეხბურთო ჟურნალისტთა გამოკითხვის მიხედვით გასული სეზონის საუკეთესო ინგლისელი ფეხბურთელი სწორედ პარკერი გახდა.

მისი ტრანსფერის საქმე ასე იყო: პარკერს, რასაკვირველია, იმთავითვე „ჩელსიში“ გადასვლა ერჩივნა, მაგრამ დასავლეთლონდონელებს ამ ფეხბურთელის იჯარისთვის 4,5 მილიონი არ ემეტებოდათ და არც კვირაში 65 ათასის ხელფასად გადახდა სურდათ. სამაგიეროდ, „ვილას“ გაუჩნდა ფული — დაუნინგისა და იანგის გაყიდვით შემოსული თანხა აქვს დასახარჯი. დიდი ეკი „ჩელსის“ ჯიბეზე ხელის გაკვრაში, რასაკვირველია, ვერ შეეჯიბრება, მაგრამ მზადაა მისთვის სასურველ ფეხბურთელებში სატრანსფერო თანხაც გადაიხადოს და არც ხელფასზე დაიხიოს უკან.

● პრემიერლიგა

წესი შეიცვალა

იან ჰოლოუეი

პრემიერლიგის მწვრთნელები ახალი სეზონიდან შვებით ამოისუნთქავენ — მათ ნება ეძლევათ თამაშიდან თამაშამდე შემადგენლობა ცვალონ და ამის გამო არავინ დასჯით. მიხვდით, რაზეც არის ლაპარაკი? აქამდე, თუ გუნდი წინა შეხვედრასთან შედარებით თერთმეტეულს მნიშვნელოვნად შეცვლიდა, მას აჯარიმებდნენ. ითვლებოდა, რომ მწვრთნელმა უპატივცემულობა გამოამჟღავნა და ვიღაცას, ვიღაცისგან განსხვავებით შესუსტებული შემადგენლობით ეთამაშა. ახლა ასე აღარ იქნება. თუკი გადასხვაფერებული შემადგენლობის წევრები რეგისტრირებული 25 კაციდან იქნებიან, აუგი არავის დასცდება.

ამ კანონის შემოღება უპირველეს ყოვლისა იმ კლუბებს გაუხარდებოდათ, რომელთაც ევროპულ შეჯიბრებებში უნევთ გამოსვლა. მათ ფეხბურთელების დასვენება შეეძლებათ, მაგრამ რაღა ეშველება სანყალ, პრემიერლიგიდან გავარდნილ „ბლექპულს“? გახსოვთ, ამ სიმპათიური გუნდის მწვრთნელმა, **იან ჰოლოუეიმ**, შუა კვირაში, „ვესტ ჰემთან“ თამაშამდე სამი დღით ადრე, „ასტონ ვილასთან“ ათი ფეხბურთელით სახეცვლილი შემადგენლობა რომ ათამაშა და ამის გამო 25 ათასი ფუნტი დააკისრეს? მაშინ ჰოლოუეი ძალიან გაბრაზდა. ის მწვრთნელობიდან წასვლით იმუქრებოდა და ამბობდა, ვისი რა საქმეა, როგორ შემადგენლობას ათამაშებს ამა თუ იმ შეხვედრაში, თუკი თერთმეტ კაცში პირველი გუნდის რეგისტრირებული წევრები იქნებიან?

„რა უფლებით მიკრძალავენ გავაკეთო ის, რაც მინდა? — მრისხანებდა მაშინ ჰოლოუეი — *ვინ ოხრები არიან ის ადამიანები, რომლებიც მიმტკიცებენ, რომ ჩემი გუნდიდან ეს თუ ვათამაშე, მოედანზე ძლიერი შემადგენლობა გამიყვანია, ხოლო ის თუ ვათამაშე, სუსტი?“*

თუმცა, ამ გაბრაზებამ „ბლექპულს“ არაფერი უშველა. ახალ სეზონში ეს გუნდი ჩემპიონშიპში ითამაშებს, თუმცა პრემიერლიგელ კოლეგებს ხმა „დაბლიდანაც“ მოაწვდინა. კლუბის მდივანმა **მეტ უილიამსმა** თქვა: *„რასაკვირველია, არც 25 ათას ფუნტს დაგვიბრუნებს ვინმე და არც ბოდიშს მოგვიხდის, მაგრამ საღი აზრის გამარჯვება მაინც სასიამოვნოა. ჩვენმა შემთხვევამ მართლაც მოაშიშვლა ძველი წესის მახინჯი სახე“.*

საინტერესოა, რომ პრემიერლიგის ჩინოვნიკებს საკითხის ორთვიანი შესწავლა დასჭირდათ, დაესკვნათ, ჰოლოუეიმ „ასტონ ვილასთან“ შესუსტებული შემადგენლობა ათამაშა თუ არა.

ასეთივე შემთხვევა იყო 2009-10 წლების ჩემპიონატში, როდესაც „ვულვერჰემპტონმა“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ერთი შემადგენლობა ათამაშა (3:0 წააგო), „ბარნლისთან“ კი მეორე და 2:0 მოიგო. თუმცა, გულწრფელები რომ ვიყოთ, რასაკვირველია, **მიკ მაკარტიმ** „იუნაიტედთან“ საუკეთესო შემადგენლობა დაასვენა — მაინც წააგებდა და ფეხბურთელები ტყუილად უნდა დაღლილიყვნენ — ოღონდ აქ კიდევ ერთი რამ არის გასათვალისწინებელი: „ვულვზის“ დროს პირველი გუნდის 25 კაციანი განაცხადი არ არსებობდა. მაშინ ნებისმიერ კლუბს შეეძლო გუნდში ფეხბურთელების შეუზღუდავი რაოდენობა ჰყოლოდა და თერთმეტი კაცი რეზერვის რეზერვიდან შეერჩია.

● მანჩესტერ სიტი

სიტიში ერთმანეთს ამცვრევენ

„არსენალიდან“ „მანჩესტერ სიტიში“ გადასული **გაელ კლიში** პირველივე ვარჯიშებზე სახტად დარჩა — ის არ ელოდა, თანაგუნდელები, ერთმანეთის წინააღმდეგ, ასეთ ძალისმიერ ხერხებს თუ მიმართავდნენ. 25 წლის ფრანგზე, რომელიც ლონდონიდან მანჩესტერის ისტლენდზე 7 მილიონ ფუნტად გადავიდა, სან ფრანცისკოში, შეკრების დროს გამართულ პრესკონფერენციაზე, მისმა ახალმა თანაგუნდელმა და თანატოლმა **ჯეიმს მილნერმა** ილაპარაკა.

„გაელი ჩვენთან სულ ახალი მოსულია, მაგრამ რამდენიმე ისეთი ორთაბრძოლა ნახა, რომ გაოცდა. ეს გაოცება იმან გამოიწვია, რომ „არსენალში“, სადაც ის აქამდე გამოდიოდა, ვარჯიშებზე შეტაკებებს ერიდებიან. ჩვენთან სხვანაირად არის, როგორც ვთამაშობთ, ისევე ვვარჯიშობთ. რასაკვირველია, დამთავრდება თუ არა წვრთნა, ყველანი კვლავ მეგობრები ვხდებით.

ფიზიკური მომზადების ასამაღლებლად, შეკრებაზე უცხოეთში გამგზავრება, რასაკვირველია, ძალიან სასარგებლოა. ტურნე, აგრეთვე, ძალიან სასარგებლოა ახალი ბიჭებისთვის, რომლებსაც გარემოს გაცნობა და მასთან შეგუება სჭირდებათ. ისინი აქ გაცილებით მალე შეიტყობენ, რაც აინტერესებთ „სიტის“ შესახებ, ვიდრე სამშობლოში, ვარჯიშებზე სახლიდან სიარულით“.

გეი კლიში

● მანჩესტერ იუნაიტედი

დე ხეა ახალგაზრდაა



დავიდ დე ხეა

20 წლის ესპანელ მეკარე **დავიდ დე ხეაზე** ამბობენ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ კარში ჩასადგომად ჯერ ძალიან ახალგაზრდა არისო, მაგრამ ინგლისის ჩემპიონთა მწვრთნელმა, სერ **ალექს ფერგიუსონმა** კრიტიკოსებს უპასუხა:

„მახსოვს, თავის დროზე პეტრ ჩეხის სანახავად ჩავედი და გავიფიქრე, ეს ჯერ ძალიან ახალგაზრდაა-მეთქი. იმ სეზონის ბოლოს ის „ჩელსიმ“ 7 მილიონად იყიდა და მას მერე დგას და დგას ლონდონელების კარში. სხვა სიტყვებით, როდესაც პეტრ ჩეხის ან დავიდ დე ხეას მონაცემების მქონე ადამიანზეა ლაპარაკი, ასაკი არაფერ შუაშია“.

გოლკიპერმა, რომელშიც „იუნაიტედმა“ 18 მილიონი ფუნტი (20,4 მილიონი ევრო) გადაიხადა, „ატლეტიკოს“ შემადგენლობაში მხოლოდ ერთი სრული სეზონი ითამაშა, მაგრამ ფერგიუსონს ეს პრობლემად არ მიაჩნია:

„დავიდი ახალგაზრდაა, სწრაფია, ყურადღებას წამით არ კარგავს, აუღელვებელია და ბურთის მოგერიების შესანიშნავ ტექნიკას ფლობს“.

დე ხეა „მანჩესტერ იუნაიტედს“ ამერიკულ ტურნეზე კვირას შეუერთდება. როგორც 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის მონაწილე, აქამდე ის ისვენებდა.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

კოპა ამერიკა 2011

COPA AMERICA ARGENTINA 2011

ერთიანი ბიბლიოთეკა

COPA AMERICA ARGENTINA 2011

სტატისტიკა

სანამ ნაღდი კოპა დაიწყება



კოპა ამერიკის ჯგუფური ეტაპი დასრულებულია. პირდაპირ ვიტყვით, რომ ტურნირის ამ ნაწილმა მსოფლიო ფეხბურთის ძნელად თუ რამე შეაშფოთა, მოსაწყენი და უინტერესო თამაშები მოგვიმრავლდა, ჯეროვნად ვერ ითამაშეს ფავორიტებმა და ვერც მათმა ვერსაკულავებმა გასტრნეს. თუმცა სანამ ვიტყოდეთ, ნლევანდელმა კოპამ არ გაამართლაო, სჯობს, პლეი ოფებს დაველოდოთ. თანაც რა მატჩები გველოდება იქ - მეოთხეფინალში მასპინძელი არგენტინა მუდმივი მოქიშპის ურუგვაის წინააღმდეგ ითამაშებს!

მანამდე კი გთავაზობთ საშხრეთ ამერიკის ჩემპიონატის I ნაწილის სტატისტიკურ ანალიზს. საშუალო სტატისტიკურ „კოპურ“ მატჩში 624 სწორი და 78 არაზუსტი პასი სრულდებოდა, გუნდები საშუალოდ 7-ჯერ აწოდებდნენ ზუსტად, 25-ჯერ კი ორც ფსე, მხოლოდ 34 შორეული პასი აღწევდა ადრესატამდე, 64 კი გზაში იკარგებოდა, კაცის მოტყუებას საშუალოდ 17-ჯერ ვნახულობდით თამაშში, კარში ზუსტად საშუალოდ 9 დარტყმა მიდიოდა, 33 ჯარიმა ინიშნებოდა და თითქმის 4 თამაშგარე მდგომარეობა ფიქსირდებოდა.

ინდივიდუალური სტატისტიკა

გოლები

3	სერხიო აგუერო (არგენტინა)
2	ნეიმარი (ბრაზილია)
2	პაულო გერერო (პერუ)
2	ალეშანდრე პატო (ბრაზილია)
2	ფელიპე კაისედო (ეკვადორი)
2	ალვარო პერეირა (ურუგვაი)
2	რადამელ ფალკაო (კოლუმბია)

ზუსტი პასი

202	ანდრე სანტოსი (ბრაზილია)
197	ლუკას ლეივა (ბრაზილია)
185	ხავიერ მასკერანო (არგენტინა)
171	პაბლო არმერო (კოლუმბია)
168	გაბრიელ მილიტო (არგენტინა)
167	ტიაგო სილვა (ბრაზილია)
153	ლიონელ მესი (არგენტინა)
151	კამილო ცუნიგა (კოლუმბია)
148	დანიელ ალვეში (ბრაზილია)
143	რამირესი (ბრაზილია)

ჩანოდებები

21	აურელიანო ტორესი (პარაგვაი)
18	დიეგო ფორლანი (ურუგვაი)
17	ჟასმანი კამპოსი (ბოლივია)
17	პაბლო არმერო (კოლუმბია)
13	მარკო ესტიგარიბია (პარაგვაი)
12	ალექსის სანჩესი (ჩილე)
12	მაურისიო ისლა (ჩილე)
10	ხუან კარლოს არსე (ბოლივია)
10	ვალტერ აიოვი (ეკვადორი)
10	გაბრიელ ჩიჩერო (ვენესუელა)

შორეული პასები

29	ლუის პერეა (კოლუმბია)
26	პაულო და სილვა (პარაგვაი)
26	აურელიანო ტორესი (პარაგვაი)
26	ლორხიო ალვარესი (ბოლივია)
25	დიეგო ლუგანო (ურუგვაი)
23	დარვინ ჩავესი (მექსიკა)
23	ტიაგო სილვა (ბრაზილია)
22	ვალდო პონსე (ჩილე)
22	ნიკოლას ბურდისო (არგენტინა)
21	ოსვალდო ვისკარონდო (ვენეს.)

დრიბლინგი

35	ნეიმარი (ბრაზილია)
23	ლიონელ მესი (არგენტინა)
13	კამილო ცუნიგა (კოლუმბია)
12	ვილიამ ჩიროკე (პერუ)
11	მარსელო ესტიგარიბია (პარაგვ.)
9	ადრიან რამოსი (კოლუმბია)
9	ალექსის სანჩესი (ჩილე)
9	როზინიო (ბრაზილია)
8	ვალტერ აიოვი (ეკვადორი)
8	ლუის სუარესი (ურუგვაი)

მოგებული ორთაბრძოლა

19	ლუკას ლეივა (ბრაზილია)
19	ხავიერ მასკერანო (არგენტინა)
18	პაულო და სილვა (პარაგვაი)
16	რონალდ რალდესი (ბოლივია)
15	ნორბერტო არაუხო (ეკვადორი)
15	კრისტიან რივეროსი (პარაგვაი)
15	გაბრიელ მილიტო (არგენტინა)
15	კარლოს სანჩესი (კოლუმბია)
14	ვალტერ ვილჩესი (პერუ)
14	რამირესი (ბრაზილია)

კარისკენ დარტყმა

16	დიეგო ფორლანი (ურუგვაი)
14	პაულო გერერო (პერუ)
11	რადამელ ფალკაო (კოლუმბია)
11	ადრიან რამოსი (კოლუმბია)
10	ლიონელ მესი (არგენტინა)
10	სერხიო აგუერო (არგენტინა)
9	გონსალო იგუაინი (არგენტინა)
8	ალეშანდრე პატო (ბრაზილია)
8	ფრედი გუარინი (კოლუმბია)
8	ლუის სუარესი (ურუგვაი)

ჯარიმა

13	ხავიერ მასკერანო (არგენტინა)
12	ფრედი გუარინი (კოლუმბია)
12	ჟასმანი კამპოსი (ბოლივია)
12	დიეგო პერესი (ურუგვაი)
9	არტურო ვიდალი (ჩილე)
9	ალვარო პერეირა (ურუგვაი)
9	დანიელ ალვეში (ბრაზილია)
9	მარსელო მორენო (ბოლივია)
8	განსო (ბრაზილია)
7	დიეგო ლუგანო (ურუგვაი)

ჯარიმა (მასზე)

14	ალექსის სანჩესი (ჩილე)
13	დიეგო მადრიგალი (კოსტა რიკა)
12	მაძსი პერეირა (ურუგვაი)
11	ლუის სუარესი (ურუგვაი)
11	მარსელო ესტიგარიბია (პარაგ.)
10	ფრედი გუარინი (კოლუმბია)
10	ლიონელ მესი (არგენტინა)
9	ჟასმანი კამპოსი (ბოლივია)
9	ხუან კარლოს არსე (ბოლივია)
9	ჯონი აკოსტა (კოსტა რიკა)

თამაშგარე

6	რაფაელ მარკეს ლუგო (მექსიკა)
5	ჯოვანი დოს სანტოსი (მექსიკა)
5	ლუკას გარიოსი (პარაგვაი)
4	ალეშანდრე პატო (ბრაზილია)
4	ესეკიელ ლავეცი (არგენტინა)
3	უმბერტო სუასო (ჩილე)
2	დიეგო ფორლანი (ურუგვაი)
2	ფელიპე კაისედო (ეკვადორი)
2	კარლოს ტევესი (არგენტინა)
2	ეინერ მორა (კოსტა რიკა)

ბურთის ართმევა

34	პაულო და სილვა (პარაგვაი)
31	დიეგო ლუგანო (ურუგვაი)
26	ნორბერტო არაუხო (ეკვადორი)
23	დარიო ვერონი (პარაგვაი)
20	ექტორ რეინოსო (მექსიკა)
20	ვალდო პონსე (ჩილე)
19	ოსვალდო ვისკარონდო (ვენეს.)
19	ფრიქსონ ერასო (ეკვადორი)
19	ლუსიო (ბრაზილია)
18	ტიაგო სილვა (ბრაზილია)

გუნდური სტატისტიკა

(საშუალოდ)

ჩანოდება

22,67	ჩილე
19,33	პარაგვაი
19,33	ურუგვაი
19,33	ბოლივია
17,67	კოლუმბია

ორთაბრძოლა

38,00	პარაგვაი
32,33	ბრაზილია
29,33	ვენესუელა
26,67	არგენტინა
26,33	ბოლივია

დრიბლინგი

27,67	ბრაზილია
19,67	არგენტინა
13,00	პერუ
13,00	კოლუმბია
11,67	ჩილე

კარისკენ დარტყმა

17,67	კოლუმბია
17,67	არგენტინა
14,67	ურუგვაი
14,33	ჩილე
14,33	ეკვადორი

თამაშგარე

3,67	პერუ
3,00	არგენტინა
2,67	ბრაზილია
2,67	პარაგვაი
2,33	ჩილე

პასი

553	ბრაზილია
538	არგენტინა
464	ჩილე
452	კოლუმბია
345	ეკვადორი

ბურთის ართმევა

33,00	პარაგვაი
28,67	მექსიკა
28,00	ურუგვაი
24,33	კოსტა რიკა
24,00	პერუ

ჯგუფური დასკვნები

არგენტინა იმედგაცრუებაა, ურუგვაი ბერდება, ბრაზილია იღვიძებს

ჯგუფური ეტაპი დასრულებულია. მოდი, შევაფასოთ კოპას მონაწილე 12-ივე გუნდი. 12-დან 4-ისთვის ეს საბოლოო შეფასება იქნება, რადგან კოსტა რიკის, ბოლივიის, ეკვადორისა და მექსიკის ნაკრებებმა უკვე დატოვეს ტურნირი

A ჯგუფი

კოლუმბია

კოლუმბიელებმა ჯგუფი მოიგეს, თუმცა ეს მათ კარგად თამაშის გარეშე მოახერხეს. „კაფეტეროსს“ ძალიან უჭირს გოლების გატანა. ეს კარგად გამოჩნდა არგენტინასთან მატჩში, როდესაც მათ ორი აშკარა საგოლე მომენტი გაანიავეს. კოლუმბიამ გააკეთა ის, რასაც ისედაც ელოდნენ მისგან - მოუგო ბოლივიასა და კოსტა რიკას. ერთადერთი შოკისმომგვრელი არგენტინასთან ფრე იყო, მაგრამ აქ უფრო არგენტინელთა „დამსახურებას“ ვხედავთ. **ფალკაო** სერიოზული ძალაა, გუნდი, რომელიც ამ ფორვარდს გაანეიტრალებს, გაანეიტრალებს კოლუმბიასაც.

არგენტინა

ფავორიტთაგან ყველაზე დიდი იმედგაცრუება არგენტინამ შემოგვთავაზა. ბოლივიასთან და კოლუმბიასთან ფრის „მიღწევას“ მოხერხება უნდა. და ბოლოს, როგორ ჩავუთვალოთ გუნდს აქტივში კოსტა რიკის 22-წლამდელთა ნაკრებთან გამარჯვება? არგენტინა ძალიან არასტაბილური იყო და პირდაპირ დამოკიდებული იყო **ლეო მესის** თამაშზე. რაც უნდა მოხდეს შემდგომში, არგენტინა მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპის წინ გვესუსტება. შეიძლება, სწორედ ამის გამო მწვრთნელი გამოცვალონ და ბოლოს და ბოლოს ნამდვილი სპეციალისტი დანიშნონ.

კოსტა რიკა

არავინ ელოდა, რომ ცენტრალური ამერიკის შვილები ბოლივიას მოუგებდნენ. არცთუ ცუდია ახალგაზრდული გუნდისთვის.

ბოლივია

პირველი შოკი ბოლივიისაა - მათ არგენტინას ქულები დააკარგვინეს, ის კი არა, უგებდნენ კიდეც. შემდეგმა მატჩებმა კი აჩვენა, რომ ამ გუნდს ძალიან ბევრი უკლია სრულყოფილებამდე. კოპაზე ბოლივიაზე უარესი მხოლოდ ერთი ნაკრები შევნიშნეთ.

B ჯგუფი

ბრაზილია

ორი მიზეზია, რის გამოც ბრაზილიელთა წაფორხიელება ისე დრამატულად არ აღიქმება, როგორც - არგენტინელების. პირველი, ბრაზილია არ არის ტურნირის მასპინძელი, მეორე - არგენტინა სუსტ ნაკრებებს შეხვდა, ბრაზილია კი - ძლიერებს. ჩვენი აზრით, ამ ჯგუფში მესამე ადგილზე გასული პარაგვაი კოლუმბიასაც სჯობს, მით უფრო ბოლივიასა და კოსტა რიკას. ეკვადორის 4:2 დამარცხების შემდეგ, ისე ჩანს, რომ ბრაზილიამ გაიღვიძა. გავითვალისწინოთ, რომ ახალგაზრდებს, **ნეიმარსა** და **განსოს** დრო ესაჭიროებოდათ უფრო გამოცდილ თანაგუნდელებთან შესათამაშებლად. შესაძლოა, ბრაზილიის პრობლემაც მხოლოდ ეს იყო, შესაძლოა - არა. ამას პლეი ოფი გვიჩვენებს.

პატომ და ნეიმარმა მხოლოდ ბოლო ტურში გაიბრწყინეს

ვენესუელა

ბრავო - გუნდი ყველას იოლი საკბილო ეგონა ბრაზილიისთვის და პარაგვაისთვის, მაგრამ რაც მოხდა, ყველამ ნახა. სამხრეთ ამერიკაში სუსტი ნაკრები აღარ არის, ამის თქმა ვენესუელელთა პროგრესის შემდეგ შეგვიძლია. სხვათა შორის, საკმაოდ ძლიერი დაცვის ხაზი აქვთ.

პარაგვაი

ძლიერი დაცვა პარაგვაის საფირმო ნიშანია, მაგრამ შეტევაში მოსამატებელი აქვთ. ბრაზილიასთან რე-მატჩი მათთვის ფინალივითაა.

ეკვადორი

ეს არის მაღალმთიანეთის გუნდი, საკმარისია ეკვადორი მშობლიურ მთებს მოაშორო, რომ კონკურენტუნარიანობას კარგავს.

C ჯგუფი

ჩილე

ჩილელთა ორი უპირატესობა სხვა ქვეყნის ნაკრებებზე გუნდური თამაში და პრესინგია. ეს არის ძალიან კარგად შეთამაშებული ნაკრები. მაგრამ დავინახეთ სისუსტეებიც, თუნდაც პერუსთან მატჩში, ჩილემ მხოლოდ ბოლო წუთზე, ბრმა გოლის წყალობით მოიგო და ჩილე ერთადერთი ნაკრებია, რომელსაც უსუსტესმა მექსიკამ გოლი გაუტანა.

ურუგვაი

ურუგვაის ნაკრები კვლავ სოლიდური გუნდია, მაგრამ ის ბერდება. **დიეგო ფორლანმა** 2010 მუნდიალზე დატოვა ჯადოსნური ჯოხი, მას მარტის შემდეგ გოლი არ გაუტანია. რაც ჩვენ ვნახეთ, ურუგვაის მეტი პოტენციალი აქვს შეტევაში, ვიდრე არგენტინას, დაცვა კი ძალიან კარგია. ერთადერთი, სახიფათოა მათი ხელოვნური თამაშგარეები, ერთხელაც თავად არ გაებან ამ მახეში.

პერუ

ამ გუნდში პაოლო გერერო და ხუან ვარგასი ბრწყინავდნენ. ძნელი სათქმელია, რა იქნება მომავალში, თუმცა პერუ მეტად სერიოზული მეტოქეა.

მექსიკა

უსუსტესი ნაკრები ტურნირზე, შედეგები თავად მეტყველებენ ყველაფერზე. იქნებ, მომავალში მექსიკის ნაკრები აღარ დაპატიჟონ კოპაზე, ან ამ ქვეყანაში სერიოზულად მოეკიდონ კოპას და დისციპლინას ეროვნულ გუნდში. იქნებ, იქნებ...

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ფეხბურთელების ცოლები

ვიქტორია ქეროლაინ ადამსი

დაბადების თარიღი: 1974 წლის 17 აპრილი
დაბადების ადგილი: ჰარვიჩი, ინგლისი
სიმაღლე: 1,73 სმ
თვალის ფერი: ნაცრისფერი
თმის ფერი: თაფლისფერი
ეროვნება: ინგლისელი ფეხბურთელის დევიდ ბექჰემის მეუღლე - მომღერალი, მოდელი, დიზაინერი და მსახიობი.

ბექჰემების ოჯახში ნანატრი ქალიშვილი დაიბადა

პატარა ვიკი

ელექტროინჟინერ ანტონიოსა და ჟაკლინ ადამსების ქალიშვილი **ვიქტორია** პრინცესა ალექსანდრას სახელობის საავადმყოფოში დაიბადა. მათ ოჯახში კიდევ ორი ბავშვი ლუისი და კრისტიანი აღიზარდნენ. პატარა ვიქტორია ცეკვას ბავშვობიდან დაეუფლა. მოგვიანებით მოდელად მუშაობას სიმღერაც შეუთავსა.

ვარსკვლავებიჭუნა

1997 წელს ვიქტორია ერთ-ერთი საფეხბურთო შეხვედრის შემდეგ მისთვის უცნობ ახალგაზრდას და ამავე დროს ამომავალ საფეხბურთო ვარსკვლავს **დევიდ ბექჰემს** შეხვდა. მაშინ ვიკიმ განაცხადა: *„ნამდვილად არ ვიცოდი ვინ იყო, რადგან ფეხბურთით არასოდეს დავინტერესებულვარ“*. 1998 წელს წყვილმა თავიანთი სიყვარულის შესახებ ოფიციალურად განაცხადეს, ხოლო 1999 წლის 4 ივლისს დაქორწინდნენ. საქორწინო ცერემონიალს მედიის წარმომადგენლები არ დასწრებიან. ვიკის თავზე ბარეტის საიუველირო სახლის მიერ დამზადებული გვირგვინი ამშვენებდა. ახალდაქორწინებულები მდიდრულ სახლში დაბინავდნენ. მათ ქორწინებიდან სამი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავთ. 1999 წლის 4 მარტს ლონდონში **ბრუკლინი** დაიბადა, 2002 წლის პირველ სექტემბერს **რომეო,** 2005 წლის 20 თებერვალს **კრუზ დევიდი** მადრიდში, ხოლო მათი ქალიშვილი **ჰარპერ სევენი** 2011 წლის ივლისში ლოს ანჯელესში მოევლინა ქვეყანას. ვიკისა და დევიდის ბავშვების ბრუკლინისა და რომეოს ნათლიები **ელტონ ჯონი, ელიზაბეტ ჰურლი** და პროდიუსერი **დევიდ პურნიში** არიან.

ოჯახი ხიფათშია

2000 წელს სკოტლანდ იარდის დეტექტივებმა ვიკი და მისი ვაჟები გატაცებისგან იხსნეს და შინ მშვიდობიანად დააბრუნეს. მომხდარი ამბიდან ორი წლის შემდეგ პოლიციელებმა გამტაცებლების დაკავება შეძლეს. მას შემდეგ, რაც დევიდი ფეხბურთის სათამაშოდ ამერიკაში გადავიდა, ბექჰემების ოჯახი, გულშემატკივრებისა და ჟურნალისტებისგან თავის დაცვის მიზნით, იძულებული გახდა დაცვა გაეძლიერებინა.

კოსმიური გოგონები

1994 წელს გოგონებმა - **გერიმ, ემამ, მელანიამ, ვიქტორიამ** და **მელანია ბრაუნმა** შეძლეს მსოფლიოს ყურადღება მიეპყროთ. მათ მიერ შესრულებულ სიმღერებზე ინგლისელმა კრიტიკოსმა **დავიდ სინკლაირმა** განაცხადა: „მფრთხალები, ყოჩაღნი, ჩინებულნი, ეშხიანები და ბავშვურები - ესაა გუნდი შეკრული და გრანდიოზული“. 2000 წლის აგვისტოში ჯგუფ Spice Girls-ის ბოლო ალბომის გამოსვლის შემდეგ გოგონებმა სიმღერა ცალ-ცალკე დაიწყეს. 2005 წელს ვიკიმ მეუღლესთან ერთად ჯინსებს ხაზი სამარკო ნიშნით „VB Rocks“ შექმნა. ჯინსებსა და სუნამოსთან ერთად მან გამოსცა წიგნი რჩევებით სილამაზესთან და მოდასთან დაკავშირებით. წიგნმა დიდ ბრიტანეთში დიდი მოწონება დაიმსახურა. ვიკი ერთხანს სცენასაც დაუბრუნდა და თავის ყოფილ კოლეგებთან ერთად ტურნეშიც გაეგზავრა.

სამაგალითო ოჯახი

ილგლიანი შვიდი

36 წლის დევიდსა და 37 წლის ვიკის ოცნება ახდა. რამდენიმე დღის წინ მათი ქალიშვილი ჰარპერ სევენი უფროსი ძმის მსგავსად საკეისრო კვეთით დაიბადა. პატარა ჰარპერი მეშვიდე თვეს, შვიდ საათზე, კვირის მეშვიდე დღეს მოევლინა ქვეყანას. აღსანიშნავია ისიც, რომ დევიდს „მანჩესტერ იუნაიტედში“ შვიდნომრიანი მაისურით არაერთი წარმატებული საფეხბურთო სეზონი აქვს ჩატარებული.

დევიდი: *„ქალიშვილის დაბადებით ვამაყობ. საბედნიეროდ, ვიქტორია და ბავშვი თავს კარგად გრძნობენ. ჩემს მსგავსად ბიჭებიც ხარობენ დის დაბადებით“*. ჟურნალისტები იმასაც დასძენენ, რომ ქალიშვილის დაბადების შემდეგ დევიდი სიხარულსგან ტიროდა.

სალომე ხარატიშვილი



საირმეს ღაბაღებს 40 წლის შემდეგ

განახლებული კურორტი საირმე!

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, მიმდინარე წლის ივლისში განახლებული კურორტი საირმე უკვე პირველ დამსვენებლებს მიიღებს. სამკურნალო, მინერალური და თერმული წყლებით მდიდარი საბადოები, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები, მთის კლიმატი – ეს ყველაფერი ერთად გვხვდება ბალნეოლოგიურ კურორტ საირმეში, რაც მას მთელ ევროპაში გამოარჩევს და უნიკალურს ხდის.

3-ვარსკვლავიანი კომფორტული სასტუმრო, რომელიც მსოფლიო სტანდარტებს პასუხობს, ველა ნომერში არის ტელეფონი, საკაბელო ტელევიზია, სწრაფი ინტერნეტი და სრული საყოფაცხოვრებო კომფორტი, თანამედროვე ავეჯით.

ბუნებრივი თერმული წყლების კურორტი უდაბნო - ევროპული სტანდარტების სპა ცენტრი.

უფრო მეტს, საირმის განახლებული კომპლექსის შესახებ ვებგვერდის:
www.sairme.com.ge
შეიტყობთ.

● ჭლაჟის ჭიდაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი

ევროპა თბილისში ჩაბარდება?



მოგეხსენებათ, ბათუმში დღეს საპლაჟო ჭიდაობაში მსოფლიოს პირველობა იწყება (აქამდე ხუთი ამგვარი შეჯიბრება გაიმართა, თუმცა ერთი არაოფიციალური სტატუსისა იყო). ამ ტურნირთან დაკავშირებით ზღვისპირა ქალაქში ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (FILA) მთელი ხელმძღვანელობაა ჩამოსული - პრეზიდენტი **რაფაელ მარტინეტი**, გენერალური მდივანი **მიშელ დოუსონი**, ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარე **სტეფან კაზარიანი**... გუშინ მათ საქმიანი შეხვედრა გამართეს მასპინძლებთან, სადაც ერთ მნიშვნელოვან საკითხზეც იმსჯელეს. საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არაა მიღებული, მაგრამ ლაპარაკია 2013 წელს თბილისში ევროპის ჩემპიონატის გამართვაზე უფროსთა შორის. სავარაუდოდ, ყველაფერი სექტემბერში სტამბოლში, მსოფლიოს პირველობაზე გადაწყდება, თუმცა მანამდე მარტინეტი გვაამედებს, რომ ამ მნიშვნელოვან შეჯიბრებას თბილისი უმასპინძლებს.



თავად საპლაჟო ჭიდაობაში 11 ნაკრები იასპარეზებს: საქართველო, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ნორვეგია, ყაზახეთი, ესტონეთი, შვედეთი, ინდოეთი, უკრაინა, უნგრეთი... მათგან ყაზახეთი სულაც ბათუმში ემზადებოდა შეჯიბრებისთვის, შვედები და სომხები კი გუშინ ჩამოფრინდნენ თბილისში.

ჩემპიონატი ვაჟთა და ქალთა შორის ერთმანეთის პარალელურად ტარდება. თანაც, სამივე ასაკობრივ ჯგუფში - ჭაბუკებში, ახალგაზრდებსა და უფროსებში. ტურნირი გუშინ უნდა გახსნილიყო ჭაბუკთა ასპარეზობით, თუმცა უცხოელებს ამ ასაკის მონაწილეთა გუნდები არ ჩამოუყვანიათ. ამიტომ სადღეისოდ გადმოიტანეს, მაგრამ თუ მონაწილენი ისევ არ იქნებიან, მაშინ კვლავაც მხოლოდ საჩვენებელი გამოსვლები გაიმართება.

დღესვე იჭიდავებენ ახალგაზრდებიც, სადაც საქართველოს ღირსებას **რამაზ სურმანიძე, იოსებ ივანიშვილი** (ორივე - 60), **ირაკლი მოსიძე, ირაკლი მეკეიძე** (ორივე - 70), **ჯონი ქადიძე, რევაზ ივანიშვილი, სანდრო ამინაშვილი** (სამივე - 80) და **გიორგი გოგრიჭიანი** (+80) დაიცავენ. ამ წონაში **გიორგი ასლანიშვილსაც** უნდა ეჭიდავა, მაგრამ ტრავმა აწუხებს და სათადარიგოთი ჩაანაცვლებენ, ოღონდ კონკრეტული ფალავანი დღეს გაირკვევა.

უფროსები ხვალ იასპარეზებენ. გაგაცნობთ ჩვენი ნაკრების შემადგენლობას: **გიორგი ლობჟანიძე, მამუკა ხოზრევანიძე, მიხეილ ზარქუა** (სამივე - 70), **გელა საღირაშვილი, მარად ზოიძე, რამინ ფევაძე** (სამივე - 80), **ბექა ჭელიძე, არჩილ ქიტიაშვილი, გიორგი მარსაგიშვილი** (სამივე - 90), **გიორგი საკანდელიძე, ლევან ბერიანიძე, გიორგი ნიკურაძე** (სამივე - +90).

ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქალებიც, თუმცა ჯერ გაურკვეველია, რამდენი მონაწილით გამოვალთ. საქმე ისაა, რომ უცხოელებს არც ქალთა გუნდები ჩამოუყვანიათ. ამიტომ იქმნება საშიშროება, რომ ბევრ წონაში მონაწილენი ვერ მოგროვდებიან. ამ შემთხვევაში არც ჩვენები გამოვლენ, ანუ იმ წონებში პირველობა საერთოდ არ გაიმართება. სადღეისოდ გარკვეული მხოლოდ ქალთა 60 კილოგრამის საკითხია, სადაც **შორენა შარაძე, დარინა აბულაძე** და **დარინა ცინცქილაძე** იჭიდავებენ. სხვა წონებში მწვრთნელებმა **მალვინა ლორთქიფანიძე** (70), **ირინა ლეონიძე** და **ლია გვიანიძე** (+70) შეარჩიეს, 20-წლამდელებში კი - **ცირა აბულაძე** (50), **სოფიო ბერიძე** და **ნათია დიასამიძე** (60).

შეჯიბრებები ბათუმის პლაჟზე 17 საათზე დაიწყება, 19-საათიდან კი ფინალური შეხვედრებია.

ირაკლი თავაძე

● ტყვიის სროლა. შეკრება ბაქოში.

ევროპისთვის ბაქოში მოემზადებიან

ქართველი ტყვიის მსროლელები - მსოფლიოსა და ოლიმპიური, ევროპის სამგზის ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე, ლევან ქადაგიძე** და მწვრთნელი **ვახტანგ სალუქვაძე** ხვალ ბაქოში მიდიან შეკრებაზე. მათთან ერთადვე გაემგზავრება მესტენდური **მაია გუბიევა,** ასევე შეკრების გასავლელად. მსროლელები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან, რომელსაც აგვისტოს პირველ ორ კვირაში ბელგრადი უმასპინძლებს. ოღონდ ის ტყვიის სროლაში მხოლოდ სპორტული პისტოლეტიდან ასპარეზობაში ტარდება, ვინაიდან პნევმატურში გაზაფხულზე იტალიურ ბრეშიაში უკვე გაიმართა ბელგრადში სპორტულში მხოლოდ ეს ორი მსროლელი გამოვა, ვინაიდან ამ დისციპლინის სპეციფიკიდან გამომდინარე, აქ ბევრი მოვარჯიშე არც გვყავს. რაც შეეხებათ მესტენდურებს, იქ გუბიევას გარდა (ის სასანგრეზე ისვრის), მრგვალ სტენდზე სროლაშიც გვეყოლებიან მონაწილეები - **დავით ქვათაძე** და მოსკოვში მცხოვრები **პავლე ლაკია.**

საქართველოში ღია სასროლეთის არარსებობის გამო სალუქვაძისთვის მთავარი მოსამზადებელი ბაზა ჯერ გერმანია იყო, ბოლო წლებში კი ასეთად სომხეთი იქცა. რამდენიმე წლის წინათ იქ ქვეყნის პრეზიდენტის განკარგულებით და მისივე ფონდიდან გამოყოფილი თანხებით ულტრათანამედროვე ტიპის ბაზა აშენდა სასროლეთით, სასტუმროთი, კვების ბლოკით, ძალების აღმდგენსამკურნალო-გამაჯანსაღებელი კომპლექსით. ცხადია, ინვენტარიც უახლესია - ელექტროფარებით აღჭურვილი და თავიდან ბოლომდე კომპიუტერიზებული. მაგალითად, იქ ყოველი გასროლის შედეგს შენსავე მაგიდასთან დამონტაჟებული კომპიუტერი მყისვე გიჩვენებს და თან ამ გასროლის მერე საერთო ცხრილში მომხდარ ცვლილებასაც გამოგიტანს ეკრანზე, ჩვენთან კი ჯერ ეს დონე არაა. ერთი სიტყვით, იქაურობა სავსებით მისაღები იყო ჩვენებისთვის - ბაზის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობითაც, საცხოვრებელი პირობებითაც და, რაც მთავარია, ფასით - სომხეთში გადასვლა, ცხადია, იაფი ჯდება გერმანიაში გადაფრენასთან შედარებით, მაგრამ ბოლო წლებში ეს იაფი სიამოვნებაც მოუწვდომელი გახდა. მიზეზი საკუთარივ სომხეთის ფედერაციაში შექმნილი არეულობაა, რის გამოც ელემენტარული ოფიციალური დოკუმენტების მოგვარება ვერ ხერხდება და ვერც ჩვენები ჩადიან შეკრებაზე. სანაცვლოდ მათ ახალი ობიექტი მოძებნეს - ბაქო, სადაც პნევმატურში გამართულ ევროპის პირველობამდეც გაიარეს შეკრება, ოღონდ მას შემდეგ აზერბაიჯანელებმა ახალი ბაზა ააშენეს და ჯერ ჩვენებმა არ იციან, როგორი პირობები დახვდებათ იქ. მაშინ მხოლოდ 10-მეტრიან დისტანციაზე სასროლი არენა ჰქონდათ, 25-იანისა კი ახლა დაამატეს. აზერბაიჯანმა სპორტული ბაზების მშენებლობის თვალსაზრისით შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია და იმედია, ეს ახალი სასროლეთიც იდეალური იქნება, რაც ჩვენებურებს ევროპის პირველობისთვის კარგად მომზადების საშუალებას მისცემს. რაც შეეხება მესტენდურებს, ბაქო მათთვის ნაცნობი ადგილია - იქ ხშირად დადიან შეკრებაზე.

ჩვენი სპორტსმენები 29 ივლისს დაბრუნდებიან თბილისში, მეორე დღეს კი ბელგრადში გადაფრინდებიან.

ირაკლი თავაძე

● ჭადრაკი

ქალთა სუპერგურნირი

ჩინეთში გუშინ გაიმართა ქალთა სუპერტურნირის მე-2 ტურის შეხვედრები: **ნანა ძაგნიძე-ძიუ ვენ ძიუნი** (ჩინეთი) 0:1, ანა ზატონსკიხი (აშშ)-ტატიანა კოსინცევა (რუსეთი) 0,5:0,5, ჟაო სიუ (ჩინეთი)-ჟუ ჩენი (ყატარი) 1:0, ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი)-ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი) 0,5:0,5, ჰოუ იფანი (ჩინეთი)-მარი სებაგი (საფრანგეთი) 1:0.

ორი ტურის შემდეგ: ვენ ძიუნი, ჟაო სიუ, ჰოუ იფანი-1,5-1,5, ზატონსკიხი, ტ. და ნ. კოსინცევები, დრონავალი-1-1, ძაგნიძე, ჟუ ჩენი, სებაგი-0,5-0,5 ქულა.

ვაჟა დანელია

ლიდერებში ორი ქართველია

ფოთში გრძელდება ნანა ალექსანდრიას თასის გათამაშება. ამ საერთაშორისო ტურნირის მე-5 ტურში გუშინ საქართველოს ნაკრების წევრმა **ლევან ფანცულაიამ** თეთრი ფიგურებით **ალექსანდრე ქაშაშვილი** დაამარცხა. წარმატებას მიაღწია **კონსტანტინე შანავამაც** — შავი ფიგურებით მან **ალექსანდრე ვახანიას** სძლია. დაზავდნენ: **დავით ზარქუა** და **ბაჩანა მორჩიაშვილი.** სომეხმა დავიდ კალაშიანმა **ირაკლი ბერაძეს** მოუგო, ხოლო მისმა თანამემამულემ დავიდ შაჰინიანმა **ივერი ჭილლაძეს** გააჩერებინა საათი.

ხუთი ტურის შემდეგ მთავარ ტურნირში 4,5-4-5 ქულით ფანცულაია, შანავა, კალაშიანი და შაჰინიანი მეწინავეობენ.

ვაჟა დანელია

● სუმო. ნაგოიას ბაშო. 10-24 ივლისი

სამი მარცხი



საბურნირო მდგომარეობა

გუშინ ნაგოიას ბაშოზე კიდევ ერთი უიღბლო დღე იყო ჩვენთვის - სამივე ქართველმა სუმოისტმა წააგო და ახლა დადებითი ბალანსი არც ერთ მათგანს აღარ შერჩა. განსაკუთრებით ცუდად ჩვენს ელიტელებს წაუვიდათ საქმე - ბაშოს მესამედზე მეტი მიილია და მათ 2-2 მოგებაზე მეტი არ აქვთ.

დასავლეთის კომუსუბი **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** ბულგარელ ჩემპიონ **კოტოოშუს** ხვდებოდა. გუშინ სლავმა ყველაფრით აჯობა ქართველს, მავაშიც დროულად მოიხელთა და ილეთიც ბრწყინვალედ განახორციელა. ლევანის 2-4 ბალანსი აქვს. მისი მთავარი ამოცანა ნაგოიაში ტიტულის შენარჩუნებაა. ეს მას გვარიანად გაუჭირდება, რადგან დღესაც ოძეკი ჰყავს მეტოქედ - ესტონელი **ბარუტო.** ტოჩინოშინი აქამდე ბარუტოს 8-ჯერ შეხვდა და მხოლოდ წინა ბაშოზე შეძლო მისი დამარცხება.

ნაგო **გაგამარუმაც (თეიმურაზ ჯუღელი)**, ვინც ვერას გახდა - მონღოლმა **ასასეკირუმ** უვატედაშინაგეს ილეთით დააგდო. გაგამარუ დღეს გამოცდილ **ვაკანოსატოს** შეხვდება. კარგი სტარტის შემდეგ ბალანსი გაიუარესა **კოკაიმ (ლევან ცაგურია)**, რომელმაც **ჰოჩიამასთან** წააგო. „შავ ზღვას“ ნულოვანი ბალანსი აქვს - 3-3. მისთვის ყველაფერი თავიდან იწყება ნაგოიაში.

VI დღე: ჰაკუჰო-გოეიდო (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-კიოკუტენჰო (ოშიდაში), კისენოსატო-კაიო (იორიკირი), კოტოოშუ-**ტოჩინოშინი** (უვატენაგე), ბარუტო-ტოიონოშიმა (იორიკირი), კაკურიუ-იოშიკაძე (იორიკირი), კოტოშოგიკუ-ამინიშიკი (კოტენაგე), ვაკაკოიუ-ოკინოუმი (სუკუინაგე), ტაკეკაძე-ტამავაში (ჰატაკიკომი), ვაკანოსატო -ტოკიტენკუ (უვატენაგე), კაისეი-ჰომაშო (ცუკიტაოში), არანი-ტოჩიოძანი (იორიკირი), ასასეკირიუ-**გაგამარუ** (უვატედაშინაგე), მიაბიამა-ტაკარაფუჯი (ჰიკიოტოში), ტოჩინოვაკა-კიტატაიკი (იორიკირი), ტაკაისუ-საგაცუკასა (ცუკიოტოში), ტოიოჰიბიკი -ტაკამისაკარი (ოშიდაში), ფუჯიაზუმა-დაიდო (ცუკიოტოში), კიმურაიამა-შოტენრო (ცუკიოტოში), ტამაასუკა-ტოჩინონადა (იორიკირი). ძურიო: ჰოჩიამა-**კოკაი** (ოშიდაში).

ნიკოლოზ ნეფარიძე

6-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა), ჰარუმაფუჯი (ოძეკი).

5-1: ბარუტო (ოძეკი), კოტოშოგიკუ (სეკივაკე), კაკურიუ (სეკივაკე), ტაკეკაძე (მაეგაშირა 4), ჰომაშო (მ 9), ტაკაიასუ (მ 11), ტოჩინოვაკა (მ 11), ფუჯიაზუმა (მ 15)... 2-4: **ტოჩინოშინი** (კომუსუბი), **გაგამარუ** (მ 7).

VII დღე: ჰაკუჰო-ვაკაკოიუ, კაიო-ამინიშიკი, კოტოოშუ-ტოიონოშიმა, ბარუტო-**ტოჩინოშინი**, ჰარუმაფუჯი-გოეიდო, კოტოშოგიკუ-იოშიკაძე, კისენოსატო-კაკურიუ, კიოკუტენჰო-ოკინოუმი, ტაკეკაძე-არანი, კაისეი-ტამავაში, ვაკანოსატო-**გაგამარუ**, ტოკიტენკუ-ტოჩიოძანი, მიაბიამა-ჰომაშო, ასასეკირიუ-დაიდო, კიტატაიკი-შოტენრო, ტაკარაფუჯი-ტოჩინონადა, ტაკაისუ-კიმურაიამა, ტოჩინოვაკა-ტოიოჰიბიკი, საგაცუკასა-ფუჯიაზუმა, ტაკამისაკარი-იოშიაზუმა. ძურიო: **კოკაი**-მასუნოიამა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● დევნილთა ძიუდო. ინტერვიუ ვალერი მელანაშვილთან

სამაჩაბლოელების შეუპოვრობა



ვალერი მელანაშვილი

2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების შედეგად იძულებით გადაადგილებული ლიახვისხეობელები სხვადასხვა რაიონში არიან დასახლებულნი. რამდენიმეგან სპორტული სექციებიც ფუნციონირებს, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ძიუდოს ჯგუფებია. სავარჯიშო პროცესის, მიღწევების და პრობლემების შესახებ ვესაუბრეთ მწვრთნელ **ვალერი მელანაშვილს.**

— 90-იანი წლების გარიჟრაჟზე სამაჩაბლოში განვითარებული მოვლენების მერე თითქმის 20 წელი ლიახვის ხეობაში მცხოვრები მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც სპორტით იყო გატაცებული - რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ხეობიდან ორიოდე კილომეტრში მდებარე ცხინვალის დარბაზები მიუწვდომელი გახდა, არც გორი იყო ისე ახლოს, რომ სავარჯიშოდ სისტემატურად გვევლო და ამიტომ 2007 წლის სექტემბერში აჩაბეთში აშენებულ კეთილმოწყობილ დარბაზში გახსნისთანავე ძიუდოს მონაყურებულმა ახალგაზრდობამ მოიყარა თავი. მეც სწორედ მაშინ დავიწყე მწვრთნელად მუშაობა. აჩაბეთში თავდაპირველად მხოლოდ ძიუდოს სექცია ფუნქციონირებდა და 150-მდე ბავშვს ვავარჯიშებდით. ცოტა ხანში თავისუფალი ჭიდაობის ჯგუფიც ამუშავდა. საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ მომდევნო წლის აგვისტოში, ომის გამო დარბაზის კი არა, მშობლიური კარის დატოვებამ მოგვიწია...

— დევნილობის მერე სხვადასხვა ადგილზე მოგიწიათ დასახლებამ და როგორღა შეიკრიბეთ ხელახლა?

— დიახ, სხვადასხვა რეგიონში ვართ დასახლებულები. შევძელით. ცხადია, ძველი კონტინგენტიც აღარაა ერთად. მე თბილისში ვარ და დედაქალაქში გადმოსული ჩემი 20-მდე მოსწავლეც შეძლებისდაგვარად შევკრიბე. თავდაპირველად გია თენაძის დახმარებით სპორტის აკადემიის დარბაზში მიგვიჩინეს ადგილი მწვრთნელ კახა მოცრაძეს ჯგუფთან ერთად, მერე ნაძალადევში გადავედით და ახლა ყოფილი შრომითი რეზერვების დარბაზში ვვარჯიშობთ. ძიუდოს სექციები ფუნქციონირებს წეროვანის დევნილთა დასახლების სპორტულ დარბაზში, ქვემო ქართლში (კოდა), კახეთში და ა.შ.

— საქართველოს პირველობებსა და ჩემპიონატებზე საასპარეზოდ სამაჩაბლოს გუნდი როგორი პრინციპით კომპლექტდება?

— რაიონებიდან, სადაც დევნილები ვართ დასახლებული, ჩამოგვყავს გუნდები ძირითადად წეროვანის დარბაზში და იქ ვატარებთ საუკეთესოთა გამოსავლენ ტურნირებს. ვინაიდან საქართველოს ჩემპიონატებზე სამაჩაბლოსთვის კვოტა თითოეულ წონაში ერთი ფალავნით განისაზღვრება, მხოლოდ ჩემპიონებით ვკრებთ გუნდს.

— შეგირდებიდან ამ ეტაპზე ყველაზე იმედისმომცემად ვის მიიჩნევთ?

— მეტად პერსპექტიული ჭაბუკები არიან თორნიკე ჭოველიძე, ცოტნე მეტრეველი, გიორგი ბლიაძე, ლაშა ქრისტესიაშვილი, ანდრო ბერუაშვილი. ჭოველიძე საქართველოს წლევანდელი მესამე პრიზიორია ძიუდოში და მეორე პრიზიორი ქართულ ჭიდაობაში. ერთი თვის წინათ სვანეთში ნესტორ ხერგიანისა და ლერი ნაკანის ტურნირებზე ჭაბუკთა შორის ქრისტესიაშვილმა და ჭოველიძემ პირველობა არავის დაუთმეს.

— სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ფარგლებში ფეხბურთის ფედერაცია რამდენიმე წელია ფუნქციონირებს, ძიუდოს ფედერაცია რატომ არაა?

— არაერთხელ ითქვა ამის თაობაზე, თუმცა, სამწუხაროდ, საკითხი ვერ მოგვარდა ფინანსური პრობლემების გამო.

— სხვა მხრივ ფინანსურად თუ გეხმარებათ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია?

— 2008 წლის შემოდგომაზე გადმოგვცეს ძიუდოს კიმონოები, სხვა მხრივ ერთი თეთრითაც არასდროს დაგვხმარებიან. ფეხბურთის გუნდების დაფინანსებისა, რა თქმა უნდა, ჩვენ არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო, მაგრამ სპორტი მხოლოდ ფეხბურთი ხომ არ არის? თანაც ჩვენ სამაჩაბლოელებს, ზოგადად ქართლელებს, მოგეხსენებათ, ტრადიციულად სისხლში გვაქვს გამჯდარი საჭიდაო სახეობებისადმი სიყვარული. გვყავს პერსპექტიული ფალავნები, მათთვის დახარჯული ფული, მერწმუნეთ, რომ წყალში გადაყრილი ნამდვილად არ იქნება. დღესდღეობით იმ დარბაზის ბიუჯეტით ვფინანსდებით, სადაც განთავსებულნი ვართ.

— უახლოესი გეგემები რა გაქვთ?

— მალე ზღვისპირეთში ჩავალთ ერთკვირიან სანვრთნელ შეკრებაზე, შემდეგ კი არდადეგებზე გავუშვებ შეგირდებს და სექტემბრიდან განახლებული ენერგიით შევუდგებით ძიუდოსა და ქართულ ჭიდაობაში მოახლოებული შეჯიბრებებისთვის სამზადისს.

ვასილ ბალახაძე

დავით ასპანიძის ფოტო

● ლელო წერდა, ივლისი, 1951 წ.

თბილისში დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა კრივში ჭაბუკთა შორის. თავიანთ წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ თ. ტატანაშვილი, პ. ლომიძე, გ. შამიროვი, თ. კუჭავა, რ. ციციაშვილი, გ. დარბაისელი, თ. მიქაელიანი, ნ. აუშტროვი და ფ. ეფრემაშვილი.

გუნდური პირველობა მოიგეს პროფკავშირის მოკრივეებმა.

■ ■ ■

1951 წლის 14 ივლისს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა მოზარდ ფეხბურთელთა თასის გათამაშების ფინალური შეხვედრა. 35-ე სკოლისა და სოხუმის ნაკრები გუნდების ამ მატჩში სოხუმელი კურტანიძის მიერ გატანილი გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა.

■ ■ ■

15 ივლისს დაიწყო ფეხბურთში საქართველოს თასის გათამაშება. პირველი ტურის მატჩები ასე დამთავრდა: გარდაბანი „დინამო“ (ფოთი) 1:7, „დინამო“ (გორი)-წალკა 2:0, „ლოკომოტივი“ (ხაშური)-„დინამო“ მახარაძე) 3:4, მაიაკოვსკი-გუჯანი 1:3, წითელი წყარო-დუშეთი 7:1, თბილისის ოფიცერთა სახლი-თბილისის 26 კომისრის რაიონი 6:0, საჩხერე-„დინამო“ (სოხუმი) 3:1.

■ ■ ■

16 ივლისს ქ. გორში ადგილობრივმა „ტორპედომ“ შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ 2:1 დაამარცხა თბილისის „დინამო“.

■ ■ ■

17 ივლისს მოსკოვში ადგილობრივმა „დინამომ“ თბილისის სპარტაკის ფეხბურთელებს უმასპინძლა. მატჩი მოიგეს მოსკოველებმა 3:1.

■ ■ ■

თბილისში 65 სპორტსმენის მონაწილეობით ჩატარდა დედაქალაქის პირველობა ფარიკაობაში. ქალთა შორის რაპირაში გაიმარჯვა ი. კმეცინსკაიამ, ვაჟებში — გ. აბრამოვმა, მანვე მოიგო ასპარეზობა ესპადრონში. დამნაში ყველას აჯობა რ. ცირეკიძემ, ელასტიური ხიშტით ბრძოლაში — შ. ენდელაძემ.

■ ■ ■

მოსკოვში გამართულ სტუდენტთა მეხუთე საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ მძლეოსნები ლ. სანაძე (100 მ) და ვ. შმაკოვი (შუბის ტყორცნა), ტანმოვარჯიშეები ვ. ციხითათრიშვილი და ვ. კულუმბეგაშვილი.

● კალათბურთი, საქართველოს ნაკრები

ნაკრების სახალისო შეკრება რუსთაველზე

საქართველოს ნაკრებმა გუშინ რესპუბლიკის მოედანზე აქციაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც კომპანია „ბორჯომის“ ინიციატივით გაიმართა.

საქართველოში მყოფმა საქართველოს ნაკრების კალათბურთელებმა გულშემატკივრებთან ერთად იხალისეს და ბურთიც გაათამაშეს.

აქციაში მონაწილეობდნენ **ნიკოლოზ ცქიტიშვილი, ვიქტორ სანიკიძე, გიორგი ცინცაძე, მანუჩარ მარკოიშვილი, გიორგი შარაბიძე, მიხეილ ბერიშვილი, ლაშა ფარღალავა, ლევან ფაცაცია, ლაშა გამყრელიძე, ანატოლი ბოისა, კოტე ტულუში, ნიკა მეტრეველი** და **გიორგი შერმადინი.**

ღონისძიების დასრულების შემდეგ ეროვნული ნაკრების კალათბურთელებმა ავტოგრაფები ჩამოარიგეს და ქომაგებთან სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს.

ვაჟა სიმონიშვილი

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

● საქართველოს კადეტთა ნაკრები

ფინელები ძლიერები ყოფილან

საქართველოს კადეტთა ნაკრებმა ფინეთში მეორე ამხანაგური მატჩი ჩაატარა და ამჯერადაც დამარცხდა - 60:84. ქართველებმა პირველი მეოთხედი თანაბარ ბრძოლაში გალიეს, თუმცა დიდი შესვენების წინ ფინელი 16-ნლამდელები 39:25 დაწინაურდნენ და მეორე ტაიმში ჩვენს კადეტებს თამაშის შემობრუნების შანსი აღარ ჰქონიათ.

გია კაზანჯიანის შეგირდთაგან ორმაგი დუბლი ორმა კალათბურთელმა შეასრულა: **უჩა გამრეკლიძემ** და **ბექა დარახველიძემ.** პირველმა 14 ქულა და 15 მოხსნა მოაგროვა, მეორემ - 10 ქულა და 12 მოხსნა.

ფინელთაგან ამჯერედაც **ანტონ ოდიბასი** გამოირჩა - 24 ქულა ჩააგდო.

ვაჟა სიმონიშვილი

● საქართველოს 18-ნლამდელთა ნაკრები

ბაჰრეინი, ყატარი, ეგვიპტე... და ვარნა

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა გუშინ, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წინ თბილისში ბოლო ვარჯიში ჩაატარა. ჟურნალისტებს საშუალება მოგვეცა გუნდის მზადებისთვის მიგვედევნებინა თვალი და მწვრთნელ-კალათბურთელებს გავსაუბრებოდით.

მოვუსმინოთ გუნდის თავკაც მიხეილ ბერუაშვილს.

- B დივიზიონის მატჩები 21 ივლისს ბულგარეთში დაიწყება. ქალაქ ვარნაში გადავალთ თურქეთიდან, სადაც სამ საკონტროლო მატჩს ჩავატარებთ აზიისა და აფრიკის გუნდებთან: ბაჰრეინთან, ეგვიპტესთან და ყატართან. შეხვედრებს 17, 18 და 19 ივლისს გავმართავთ. ვფიქრობ, ეს ტურნირი ოფიციალური მატჩების წინ გენერალური რეპეტიცია იქნება და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებს სათანადო ფორმაში შეეხვდებით.

- ჩვენს ჯგუფში წილისყრის შემდეგ გარკვეული ცვლილებები მოხდა...

- წილისყრამ მეტოქეებად ავსტრია, ბულგარეთი, უნგრეთი და ლუქსემბურგი გვარგუნა, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ - ბელარუსმა B დივიზიონში გამოსვლაზე უარი თქვა და ჩვენი ჯგუფის წარმომადგენელი ავსტრია C ჯგუფში გადაიყვანეს.

- შესაბამისად მოგვაკლდა მეორე ეტაპზე გასვლის ერთ-ერთი პრეტენდენტი, ავსტრია.

- რეალურად ასეა, მაგრამ ჩვენს ჯგუფში არანაკლებ კარგი გუნდები დარჩნენ. ვფიქრობ, მომდევნო ეტაპზე გასვლისთვის ჩვენ, უნგრეთი და ბულგარეთი ვიბრძოლებთ. ბულგარელები მასპინძლები არიან, თან, ყოველთვის ძლიერი ნაკრები ჰყავთ და, სავარაუდოდ, შეჯიბრების ფავორიტებიც იქნებიან. რაც შეეხება უნგრეთს, ამ გუნდს პირველივე ტურში ვხვდებით და ურთიერთშეხვედრა ბევრს გადაწყვეტს.

- ასე რომ, სადებიუტო მატჩს კარგად მომზადებულები უნდა შეხვდეთ...

- ვფიქრობ, ჩვენი ნაკრები შეხვედრებს სათანადო ფორმაში შეხვდება. ფსიქოლოგიურადაც კარგად ვემზადებით და ძალებს არ დავიშურებთ ჯგუფში საუკეთესო ორ გუნდს შორის მოსახვედრად. როგორც ყოველთვის, რთული იქნება პირველი მატჩი, რადგან მეტოქეს არ ვიცნობთ, თორემ მეორე ტურისთვის მეტოქეთა შეხვედრების ვიდეოფირების ხილვის საშუალება გვექნება და ბულგარეთსა და ლუქსემბურგს სათანადოდ შევისწავლით.

- შესარჩევ ტურნირზე თქვენი მთავარი მიზანი რა იქნება?

- პირველი ამოცანა ჯგუფიდან გასვლაა. საერთოდ კი ნებისმიერი ჭაბუკთა ნაკრების მიზანი პირველი ნაკრებისთვის კალათბურთელთა მომზადებაა.

- გუნდი რამდენად თანაბრადაა დაბალანსებული?

- 18 წლამდე ასაკის 40-მდე კალათბურთელი გავსინჯეთ და მათგან საუკეთესოები შევარჩიეთ. ვფიქრობ, ჭაბუკთა ნაკრები ყველა რგოლში თანაბრადაა დაბალანსებული. ვერ ვიტყვი, რომელიმე პოზიცია პრობლემატურია-მეთქი. დანარჩენს უშუალოდ თამაშები გვიჩვენებს.

ვაჟა სიმონიშვილი

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

● ნიჩბოსნობა

ლონდონის გზა ბაზალეთზე იწყება

ივნის-ივლისის მიჯნაზე ზაგრებმა (ხორვატია) ბაიდარასა და კანოეში იუნიორთა ევროპის პირველობას უმასპინძლა. შეჯიბრებაში საქართველოდან მცხეთელ **ზაზა ნადირაძესა** და დუშელ **ეკატერინე შაბურიშვილს** უნდა ესასპარეზათ, მაგრამ ტურნირზე ვერ გაემგზავრნენ, რადგან სკოლის დამთავრებასთან დაკავშირებით ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობდნენ. ამჟამად ქართველი ნიჩბოსნები ბაზალეთის ტბაზე **შალვა მუსოევის** ხელმძღვანელობით მონდომებით ემზადებიან თანატოლთა მსოფლიოს პირველობისთვის, რომელიც 3-5 აგვისტოს ბრანდენბურგში გაიმართება. ნადირაძე ერთადგილიანი კანოეთი 200 და 500 მეტრზე მოსინჯავს ძალებს. ამავე დისტანციებზე გამოვა შაბურიშვილიც, ოღონდ ერთადგილიანი ბაიდარათი. როგორც საქართველოს ნიჩბოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ვიტალი გრძელიშვილმა** გვითხრა, ორივე სპორტსმენი კარგად არის მომზადებული, რაც მათ ივნისში ფოთის საერთაშორისო ტურნირზეც დაამტკიცეს.

„ბრანდენბურგში დებიუტი ექნება 15 წლის დედაქალაქელ ბადრი ყაველაშვილს. მართალია, იგი შეჯიბრების მონაწილეებზე 2-3 წლით უმცროსი იქნება, მაგრამ ნიჭიერი ყმაწვილისთვის ეს დამაბრკოლებელი არ იქნება. მით უმეტეს, რომ მისგან ამ ეტაპზე განსაკუთრებულ შედეგებს არავინ ითხოვს, რაც ყაველაშვილს ფსიქოლოგიური წნეხისგან გაათავისუფლებს. მთავარია, მან საერთაშორისო ტურნირებში გამოსვლის გამოცდილება მიიღოს. ბადრის ბრანდენბურგში გასამგზავრებლად თბილისის მერია დააფინანსებს“, — გვითხრა ვიტალი გრძელიშვილმა.

ზაზა ნადირაძესა და ეკატერინე შაბურიშვილს მფარველად ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაცია მოევლინა. ქართველი სპორტსმენები სწორედ ფისას თანხებით გაემგზავრებიან ბრანდენბურგს 27 ივლისს. იქვე გაივლიან ერთკვირიან საწვრთნელ შეკრებას. 3-5 აგვისტოს ასპარეზობის დამთავრების შემდეგ ასევე საერთაშორისო ფედერაციის პატრონატით ზაზა და ეკატერინე უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გაივლიან საწვრთნელ შეკრებას და 22 აგვისტოდან მადიართა პატარა ქალაქ სეგედში სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატში ჩაებმებიან. იქ ბაიდარასა და კანოეში 18-18 საუკეთესო მიიღებს 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადის საგზურებს. ჩვენებურები რჩეულთა რიცხვში თუ ვერ მოხვდებიან, მაშინ გაისად მოუწევთ ბრიტანეთის დედაქალაქში გასამგზავრებელი ბილეთების დასაჯავშნავად ბრძოლა. ბრანდენბურგსა და სეგედში სპორტსმენებთან ერთად იქნება მათი მწვრთნელი შალვა მუსოევი. ხარჯების დასაფარავად მას ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი გაუწევს დახმარებას.

ქართველი სპორტსმენები ბაიდარასა და კანოეში მომავალი ბატალიებისთვის ჯერ კიდევ შინ თუ ემზადებიან, აკადემიურ ნიჩბოსნობაში საქართველოს ნაკრების წევრები მთავარი მწვრთნელის **დიმიტრი ლოლუას** ხელმძღვანელობით უკვე ამსტერდამში (ჰოლანდია) არიან და ევროპელი მწვრთნელების დახმარებით იუნიორთა მსოფლიოს პირველობისთვის 10-დღიან მზადებასაც შეუდგნენ. ამ საწვრთნელი შეკრების ხარჯებსაც საერთაშორისო ფედერაცია საკუთარ თავზე იღებს. შეჯიბრება 22-25 ივლისს ამსტერდამში გაიმართება. თანატოლებს ერთადგილიანი ნავით მცხეთელი **ლაშა მოთიაშვილი** გაუწევს მეტოქეობას. ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავით იასპარეზებენ მცხეთელები — **გიორგი მუხათგვერდელი** და **თემურ ნათელაშვილი,** ხოლო ორადგილიანი უმესაჭეო ნავით ქუთაისელები — **თორნიკე სინატაშვილი** და **ერეკლე უკლება** ცდიან ბედს. როგორც აღვნიშნეთ, ხუთივენი უკვე ჰოლანდიაში არიან ფისას დაფინანსებით და შეჯიბრებისწინა საწვრთნელ შეკრებას გადიან. სპორტსმენთა პირველობაზე გასამგზავრებელი გზის ხარჯები ქუთაისის მერიამ და მცხეთის მუნიციპალიტეტმა გაიღეს.

— ჩვენი ნიჩბოსნებისთვის ამსტერდამული პაექრობები ძალების მოსინჯვა და ერთგვარი რეპეტიცია იქნება ევროპის სალიცენზიო ჩემპიონატის წინ, რომელსაც სექტემბერში ბულგარული პლოვდივი უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებაში თითოეულ სახეობაში ლონდონის 12-12 საგზური გაიცემა“, — ამბობს ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი.

და კიდევ ერთი ასპარეზობის შესახებ, რომელიც ამ ზაფხულს არის დაგეგმილი: 3-7 აგვისტოს ლონდონში 18-წლამდელთა მსოფლიო პირველობაა აკადემიურ ნიჩბოსნობაში. ახალგაზრდები ერთ-ერთი პირველები გაავლებენ კვალს ახალ ოლიმპიურ არხზე. იქ ქართველთაგან დიმიტრი ლოლუას ხელმძღვანელობით ერთადგილიანი ნავით მცხეთელი **ნიკოლოზ კანდელაკი**, ხოლო ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავით **არჩილ ბაიაშვილი** (მცხეთა) და **ლევან ბირკაია** (ფოთი) გამოვლენ.

ვაჟა დანელია

სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ქალაქების და რაიონების საყურადღებოდ!

„ლელო“ ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.



1984 წელი. სარაევო, იუგოსლავია. ზამთრის XIV ოლიმპიური თამაშების ემბლემა და მედალი

● თარიღი 16-22 ივლისი

16. 1950 წ. ბრაზილიის ფეხბურთის „შავი დღე“ — მსოფლიოს IV ჩემპიონატის ფინალში ბრაზილიელებმა წააგეს „მარაკანაზე“ 200 ათასზე მეტი თანამემამულეთა თვალწინ ურუგვაის ნაკრებთან - 1:2.

17. 1989 წ. ბრაზილიის ნაკრებმა „კოპა ამერიკის“ ფინალში „მარაკანას“ სტადიონზე ურუგვაის ნაკრები დაამარცხა - 1:0.

17. 1944 წ. დაიბადა **კარლოს ალბერტო** — ფეხბურთი (ბრაზილია)

17. 1976 წ. მონრეალში დაიწყო ზაფხულის XXI ოლიმპიური თამაშები.

18. 1942 წ. დაიბადა **ჯიაცინტო ფალეტი** — ფეხბურთი (იტალია).

19. 1952 წ. ჰელსინკში გაიხსნა ზაფხულის XV ოლიმპიური თამაშები.

19. 1980 წ. მოსკოვში დაიწყო ზაფხულის XXI ოლიმპიური თამაშები.

19. 1996 წ. ატლანტაში გაიხსნა ზაფხულის XXVI ოლიმპიური თამაშები.

20. 1971 წ. დიდ ბრიტანეთში მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით ფეხბურთს ქვეყანაში ოფიციალურად მიენიჭა პროფესიის სტატუსი.

21. 1912 წ. ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ თასის გათამაშების მატჩების ფრედ დასრულების შემთხვევაში დამატებით 30 წუთი დააწესა.

21. 1974 წ. ბელგიელმა ველომრბოლმა **ედი მერქსმა** მეხუთედ მოიგო „ტურ დე ფრანსი“.

22. 1912 წ. სტოკჰოლმში (შვეცია) დამთავრდა ზაფხულის V ოლიმპიური თამაშები.

22. 1927 წ. შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „რომა“ (იტალია).

22. 1963 წ. დაიბადა **ემილიო ბუტრაგინიო** — ფეხბურთი (ესპანეთი).

● ვიქტორინა

1. ფეხბურთში მსოფლიოს რამდენ ჩემპიონატზე გათამაშდა ნიკეს ოქროს ქანდაკება, როგორც მთავარი ჯილდო?

ა — ოთხზე
ბ — ცხრაზე
გ — თორმეტზე

2. რომელი წლიდან ტარდება ჩოგბურთში „დევისის თასის“ გათამაშება?

ა — 1900 წლიდან
ბ — 1904 წლიდან
გ — 1921 წლიდან

3. ვინ იყო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პირველი პრეზიდენტი?

ა — პიერ დე კუბერტენი
ბ — ანრი ლატური
გ — დემეტრიოს ვიკელასი

4. აზიაში იშვა, ევროპაში გავრცელდა, სპორტის სახეობად ინგლისში ჩამოყალიბდა. სპორტის რომელ სახეობაზეა ლაპარაკი?

ა — ფეხბურთზე
ბ — მაგიდის ჩოგბურთზე
გ — რაგბიზე

5. სპორტის რომელი სახეობა იღებს სათავეს პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებიდან?

ა — ცურვა
ბ — ჭიდაობა
გ — მძლეოსნობა

პასუხები: 1-ბ, 2-ა, 3-გ, 4-გ, 5-ბ.

● სპორტის ახალი სახეობები

ველოტრიალი

ველოტრიალი (ველო + ინგლ. ტრიალ — ცდა, მცდელობა). ველოსიპედით რბოლისნაირსახეობა, ბუნებრივ და ხელოვნურ წინაღობათა გადალახვა. ველოტრიალის ისტორია XX საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყება. სპორტის ახალი სახეობა თითქმის ერთდროულად განვითარდა ესპანეთში, ინგლისსა და ამერიკაში. მის ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება ტეხასელი მოტომრბოლელი **ედი კესლერი,** რომელმაც თავის კოლეგებს მოტოსპორტში დაოსტატებისთვის პირველმა შესთავაზა ველოტრიალში ვარჯიში. 1981 წელს კესლერმა გამოაქვეყნა ველოტრიალის 12-გვერდიანი სახელმძღვანელო, ესპანელმა **პედრო პიმ** კი ერთი წლით ადრე შექმნა 20-დუიმიანი „მონტესა“ — პირველი ველოსიპედი ტრიალისთვის. იმავე 1980 წელს გაიმართა პირველი საერთაშორისო შეჯიბრება, 1982 წელს კი — ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები. დღეისათვის ველოტრიალი ექსტრემალური სპორტის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული სახეობაა.

● პირველი, პირველმა, პირველად...

პირველი წიგნი სპორტის თემაზე დაიბეჭდა 1509 წელს. ეს იყო უცნობი ავტორის ნაშრომი ჭიდაობის შესახებ.

■ ■ ■

პირველმა სამხრეთ აფრიკიდან ინგლისის მორაგბეთა ნაკრებში ადგილი დაიმკვიდრა **ვი ბი თომსონმა** 1892 წელს.

■ ■ ■

პირველად შავკანიანმა ჩოგბურთელმა უიმბლდონის ვაჟთა ტურნირი მოიგო 1975 წელს. ეს ჩოგბურთელი იყო ამერიკელი **არტურ ეში.**

კროსვორდი

თარაზულად: 3. ინგლისის საფეხბურთო კლუბი; 6. უკრაინელი პროფესიონალი მოკრივე ძმების გვარი; 7. ქართული საფეხბურთო ჟურნალი; 9. შეფასება ძიუდოში; 10. მადრიდის „რეალის“ მცველი ...; 11. ფეხბურთის ცნობილი მეკარე, სებასტიან ...; 14. ინგლისის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მეკარე; 15. უძველესი ქართული ცხენოსნური თამაში; 17. საფარიკაო იარაღი; 18. მწვერვალი მესტიაში; 19. ვეტერანი უკრაინელი ფეხბურთელი, ვიქტორ ...; 21. იხ. სურათი: მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ჭადრაკში მამაკაცთა შორის; 25. საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრებისა და “მანჩესტერ იუნაიტედის” მცველი; 26. საბჭოთა სიმაღლეზე მხტომელი, რობერტ შავლაყაძის მეტოქე რომის ოლიმპიადაზე; 28. საფრანგეთში მოთამაშე თბილისელი ფრენბურთელი; 31. წყვილი ერთიანი კამათელზე; 32. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 33. საშუალო რანგი სუმოში.

შვეულად: 1. მილანის” მთავარი მწვრთნელი; 2. მექსიკის საფეხბურთო ნაკრების მეკარე; 3. ფეხბურთელი, წარსულში თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთი კაპიტანი; 4. ცნობილი ვეტერანი ამერიკელი კალათბურთელი; 5. ფილიპო ინძაგის მეტსახელი; 6. არგენტინული საფეხბურთო კლუბი; 8. ამსტერდამის “აიაქსის” ყოფილი მეკარე; 12. ალპინისტების კაპიუშონიანი ქურთუკი; 13. ერთ-ერთი სასროლო სპორტული იარაღი; 14. ერთგვარი თამაში: მსუბუქი სალტეების სროლა სპეციალურ ჯოხებზე; 16. შოტლანდიის საფეხბურთო ნაკრებისა და “ლივერპულის” ცენტრალური ნახევარმცველი; 20. “მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი კაპიტანი; 22. ამერიკელი პოლიტიკოსი და ჩოგბურთელი, რომლის სახელსაც ატარებს მამაკაცთა შეჯიბრება ჩოგბურთში; 23. ბრაზილიის საფეხბურთო კლუბი; 24. დანიის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი; 27. ფრანგი ფეხბურთელი ... დესაი; 29. ჩილელი ფეხბურთელი ... სამორანო; 30. საფეხბურთო ტურნირი “... ამერიკა”.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მსოფლიოს თასი

თბილისური ეტაპი დამთავრდა, ახლა ფრანგული იწყება

საქართველოს ნაკრებმა დღეს ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასისთვის მზადების თბილისური ეტაპი დაასრულა. „ბორჯღალოსნებმა" გუშინ „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" ბოლო ვარჯიში ჩაატარეს, რომელსაც ავსტრალიელი ფიზმომზადების მწვრთნელი **გერეთ ადამსონი** ხელმძღვანელობდა. წვრთნას თვალ-ყურს ადევნებდა მთავარი მწვრთნელი **რიჩი დიქსონი.**

მანამდე კი საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" წარმომადგენელმა საქართველოს ნაკრების კაპიტან **ირაკლი აბუსერიძეს** სიმბოლურად, ბაზაზე ახლახან აშენებული სასტუმროს გასაღები გადასცა.

„შევარდენის სანვრთნელი ბაზის" სასტუმრო 48 კაცზეა გათვალისწინებული. შენობა ყველანაირად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. კვების ბლოკი, მოსასვენებელი დარბაზი, საცურაო აუზი, საცხოვრებელი ოთახები წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. გახსნის ცერემონიალზე ქართველმა მორაგბეებმა საცურაო აუზში ნაკრების მენეჯერი **ვასილ აბაშიძე** ჩააგდეს. ესეც სიმბოლური იყო.

მერე კი ყველაფრის მმართველი გერეთ ადამსონი გახდა. მან კულტურულად მოუწოდა ყველას, ვისაც ვარჯიშთან შეხება არ ჰქონდა, მოედანი დაეტოვებინა და ტრიბუნაზე გადაენაცვლა. რის შემდეგაც „ბორჯღალოსნები" ქანცის გაცლამდე ავარჯიშა.

მცირე, ტრადიციული მოთელვის შემდეგ, ადამსონმა გუნდი სამ ნაწილად დაყო. ერთნი პირობითად ლურჯები და ყვითლები მოედნის ცენტრში დაახლოებით ორმოცი მეტრის ფარგლებში ხელდახელ ბურთაობაში ვარჯიშობდნენ, მეორე და მესამე ჯგუფი ამ დროს მოედნის ორივე ბოლოში გაამწესა და ბოჭვაში ავარჯიშა, მერე ესენი ერთმანეთს ადგილებს უცვლიდნენ და ასე რამდენჯერმე.

ამის შემდეგ ძალისმიერი ვარჯიშის ჯერიც დადგა. მოედნის კიდესთან ახლოს რამდენიმე უზარმაზარი ბორბალი იყო. მორკინალები 150-კილოგრამიანი ბორბლის რამდენჯერმე აწევ-დაწევის შემდეგ მოკლე სპრინტებს ასრულებდნენ. იმავეს აკეთებდნენ უკანახაზელებიც, თუმცა მათი ბორბლები მორკინალებისაზე 50 კილოგრამით მსუბუქი იყო.

მცირე ტრავმები აწუხებდათ და მთელი დატვირთვით არ უვარჯიშიათ **გოდერძი შველიძესა** და **გივი ბერიშვილს,** კვლავ ინდივიდუალურად ივარჯიშა **მალხაზ ურჯუკაშვილმა.**

გიორგი ნიჟარაძე, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:

„სასტუმრო „შევარდენის სანაკრებო ბაზის" ბოლო სეგმენტი იყო, რომლის მშენებლობაც ახლახან დასრულდა. ცხადია, მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" მიმართ, რომელიც მსგავსი ტიპის ბაზებსა და მოედნებს გვიშენებს. ახლა სასტუმროში ავეჯის გარკვეული ნაწილიაა შესატანი და მალე ფუნქციონირებას დაიწყებს.

რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, მზადების თბილისური ეტაპი დასრულდა და ახლა გუნდი საფრანგეთში გაემგზავრება. იქ აგვისტოში რამდენიმე სანვრთნელ მატჩს გავმართავთ. ახალი ზელანდიისკენ კი გეზს 3 სექტემბერს ავიღებთ."

რიჩი დიქსონი: *„ვფიქრობ, გუნდმა თბილისში ორი კვირის განმავლობაში საკმაოდ ნაყოფიერად იმუშავა. მომავალი კვირიდან უკვე საფრანგეთში გადავბარგდებით და იქ, წინასწარ დაგეგმილი ერთი კვირის ნაცვლად, ფიზიკურ მომზადებას ორ კვირას დავუთმობთ. ეს აუცილებელია, რადგან თუ გვინდა ჩვენზე რეალურად ძლიერ მეტოქეებს სათანადო წინააღმდეგობა გავუწიოთ, მათზე ორჯერ უკეთესი ფიზიკური კონდიციები გვჭირდება. ამის მისაღწევად კი ბევრი ვარჯიშია საჭირო".*

ილია ზედგინიძე – ნაკრების მორაგბე:

„მსოფლიოს თასისთვის მზადება სამ ეტაპადაა დაყოფილი. პირველი ეტაპის საწყისი, ორკვირიანი ნაწილი თბილისში გავიარეთ. ახლა საფრანგეთში გავემგზავრებით და იქ კიდევ ორი კვირის განმავლობაში შევეცდებით ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებას.

მზადების მეორე ეტაპი 6 აგვისტოდან დაიწყება. აქ უკვე ბურთით წვრთნას და ტაქტიკური მონახაზების დამუშავებას დავუთმობთ მეტ დროს. მესამე და ბოლო ეტაპის კი უშუალოდ ახალ ზელანდიაში დაიწყება. იქ ჩვენ ხუთ სექტემბერს ჩავალთ და პირველ თამაშამდე ცხრა დღე სავარჯიშოდ კიდევ გვექნება.

ვარჯიშები დღითი დღე რთულდება, თუმცა ორგანიზმი დატვირთვებს ნელ-ნელა შეეჩვია და დავალების შესრულება უფრო გვიადვილდება. ადამსონი ძალიან მაღალი დონის სპეციალისტია, თითოეულ მორაგბეს ინდივიდუალურად უდგება. ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს სირბილისა და სიმძიმეებთან მუშაობის ტექნიკას. თავიდანვე გააკეთა აქცენტი სისწრაფის გაუმჯობესებაზე. ერთი სიტყვით, ყველნი თავდაუზოგავად ვშრომობთ და ამით რა შედეგს მივიღებთ, მომავალი გვიჩვენებს."

გუშინვე სასტუმრო „ქორთიად მერიოტში" საქართველოს რაგბის კავშირის სპონსომა, „ნატახტარი კასრის" ხელმძღვანელებმა, ეროვნულ ნაკრებს პრემიის სახით 50 ათასი აშშ დოლარის ჩეკი გადასცა.

საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: **დავით ხინჩაგიშვილი, ვასილ კაკოვინი (ორივე-ბრივი), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი), ჯაბა ბრეგვაძე (ყოჩები), გოდერძი შველიძე (მონპელიე), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი).**

მეორე ხაზი: **ლევან დათუნაშვილი (ორიაკი), ილია ზედგინიძე (კარკერენი), ვახტანგ მაისურაძე (ლა სეინი), გიორგი ნემსაძე (მონტობანი)**

მესამე ხაზი: **მამუკა გორგოძე, გიორგი ჩხაიძე (ორივე-მონპელიე), ზვიად მაისურაძე, გივი ბერიშვილი (ორივე-ლოკომოტივი), შალვა სუთიაშვილი (მასი), დიმიტრი ბასილაია (ობენა), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი).**

N:9: **ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), ბიძინა სამხარაძე (არმია), გიორგი ბეგაძე (ყოჩები)**

N:10: **მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟინიენი), ლაშა მალაღურაძე (ბეზიე), ლაშა ხმალაძე (ლელო)**

N:12-13: **დავით კაჭარავა (ნიცა), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), რეზო გიგაური (ფიჟაკი), ალექსანდრე თოდუა (ლელო)**

N:11-14: **ირაკლი მაჩხანელი (სენტ ეტიენი), ლექსო გუგავა (ლელო), ირაკლი ჩხიკვაძე (აია)**

N:15: **მალხაზ ურჯუკაშვილი (გურდო).**

მსოფლიოს თასი

B ჯგუფი

14 სექტემბერი

საქართველო-შოტლანდია

18 სექტემბერი

საქართველო-ინგლისი

28 სექტემბერი

საქართველო-რუმინეთი

2 ოქტომბერი

საქართველო-არგენტინა

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი

რონდო მოდის, მანუ მიდის



ვუიაჩიჩი ეფესში წავიდა

თურქული „ეფეს პილსენის“ ხელმძღვანელობამ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა სლოვენიელ მცველ **საშა ვუიაჩიჩთან**. ხელშეკრულება თანამშრომლობის კიდევ ერთი წლით გაგრძელების პერსპექტივას ითვალისწინებს.

27 წლის ვუიაჩიჩმა 2010-11 წლების სეზონი „ნიუ ჯერსის“ შემადგენლობაში დაასრულა. ამ გუნდში მან 56 თამაში ჩაატარა და საშუალოდ 11,4 ქულა და 2,3 შედეგიანი პასი დააგროვა. მანამდე ჩოგბურთელ **მარია შარაპოვას** ბოიფრენდი ექვსი სეზონი „ლოს ანჯელეს ლეიკერსში“ თამაშობდა და ორჯერ გახდა NBA-ის ჩემპიონი.

■ ■ ■

ევროპაში წამსვლელი NBA-ის კიდევ ერთი ვარსკვლავი გამოჩნდა. ამ ჯგუფს შეუერთდა „ბოსტონ სელტიქსის“ გამთამაშებელი **რაჟონ რონდო**.

„გავერკვევი ჩემს მცირე ტრავმებში და თუ ერთი თვის შემდეგ სიტუაცია არ გაუმჯობესდა, დავინყებ ვარიანტების განხილვას“, - დაიმუქრა ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი.

■ ■ ■

„გოლდენ სტეიტის“ ორმა მოთამაშემ გამოთქვა ლოკაუტის დროს ჩინეთის ლიგაში თამაშის სურვილი. ესენი არიან - **სტივენ კარი** და **დორელ რაიტი**. პირველმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია და მისი აგენტი „ვარიანტებს სწავლობს“, რაიტმა კი, რომელმაც ცოტა ხნის წინ სპორტული ეკიპირების მწარმოებელ ჩინურ კომპანიასთან გააფორმა კონტრაქტი, კონკრეტულად განაცხადა: *„ზუსტად ვიცი, რომ ჩინეთში წავალ სათამაშოდ“*.

■ ■ ■

„სან ანტონიო სპურსის“ არგენტინელმა ლეგიონერმა **მანუ ჯინობილიმ** ერთ-ერთ არგენტინულ გაზეთს განუცხადა, რომ კიდევ ორი წელი ითამაშებს დიდ კალათბურთს (მხოლოდ „სპურსის“ შემადგენლობაში) და შემდეგ დაასრულებს კარიერას.

ჯინობილის არ დაუზუსტებია, შედის თუ არა ამ ორ წელინადში უახლოესი სეზონი, რომელიც შეიძლება ლოკაუტის გამო ჩაიშალოს. თუ მანუ ამ წელსაც თვლის, მაშინ მისი ფანებისთვის ეს ცუდი ინფორმაციაა.

■ ■ ■

უფრო მეტად შესამჩნევია ასაკი მოთამაშეთა პროფკავშირის ლიდერის **დერეკ ფიშერისთვის**. აგვისტოში „ლოს ანჯელესის ლეიკერსის“ გამთამაშებელს 37 წელი უსრულდება და უკვე მისი უახლოესი მეგობრებიც არ ერიდებიან იმაზე ლაპარაკს, რომ ვეტერანს შემცველი სჭირდება.

„დერეკის მიმართ.ლრმა პატივისცემის მიუხედავად, უნდა ვაღიაროთ, რომ ის დაბერდა. კალიფორნიულ კლუბს სჭირდება გამთამაშებელი, რომელიც კარგ ორგანიზებას გაუკეთებს შეტევას, დაარიგებს შედეგიან გადაცემებს და საჭიროების შემთხვევაში კობი ბრაიანტს ეტყვის მტკიცე „არას“, — განაცხადა „ლოს ანჯელეს თაიმსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ფიშერისა და ბრაიანტის ყოფილმა თანაგუნდელმა **რობერტ ორიმ**.

■ ■ ■

„დეტროიტ პისტონზმა“ ორამდე დაიყვანა მთავარი მწვრთნელის პოსტზე კანდიდატთა რიცხვი. ESPN-ის ინფორმაციით ესენი არიან - **მაიკ ვუდსონი** და **ლოურენს ფრენკი**. პირველის სასარგებლოდ ლაპარაკობს კარგი ურთიერთობა კლუბის პრეზიდენტ **ჯო დუმარსთან**, აგრეთვე „პისტონზის“ საჩემპიონო გუნდში **ლარი ბრაუნის** ასისტენტად მუშაობის გამოცდილება. ფრენკის უპირატესობა ის არის, რომ მან კარგი შთაბეჭდილება დატოვა „დეტროიტის“ ახალ მფლობელ **ტომ გოურსზე**.

■ ■ ■

სასარგებლო საქმე იპოვა „მაიამი ჰიტის“ გამთამაშებელმა **მარიო ჩელმერსმა**. მოულოდნელად ბოძებულ თავისუფალ დროს ის მართლაც ღირსეულად ატარებს. მაიამელმა Lowrence Memorial-ის საავადმყოფოში გახსნა მაღაზია, რომელსაც კალათბურთელის სახელი ჰქვია. იქ ძალიან დაბალ ფასებში (ფაქტობრივად უფასოდ) გაიყიდება სპეციალური ნივთები კიბოთი დაავადებულთათვის. ჩალმერსმა განაცხადა, რომ ამით სურს პატივი მიაგოს თავისი ბავშვობის მეგობრის დედას, რომელიც სწორედ ამ საშინელი ავადმყოფობით გარდაიცვალა.

■ ■ ■

NBA-ის ყოფილმა მცველმა **კუტინო მობლიმ**, რომელმაც გულთან დაკავშირებული პრობლემების გამო კარიერა 2008 წელს დაასრულა, ისევ მოისურვა მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში ძალების მოსინჯვა.

ამ კალათბურთელმა ასოციაციაში 11 სეზონი ჩაატარა და იქ ოთხი კლუბის - „ჰიუსტონის“, „ორლანდოს“, „საკრამენტოსა“ და „ლოს ანჯელეს კლიპერსის“ ღირსებას იცავდა. 2008 წელს ექიმებმა მობლის გულის ავადმყოფობა დაუდგინეს და მცველი იძულებული გახდა კარიერა შეეწყვიტა.

მაიკლ ჯორდანი

ლოკაუტის 114 მსხვერპლი

როგორც იქნა, დაინიშნა შეხვედრა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციასა და მოთამაშეთა პროფკავშირს შორის. მხარეები 18 ივლისს პირველად შეხვდებიან ერთმანეთს მას შემდეგ, რაც პირველ ივლისს ოფიციალურად გამოცხადდა ლოკაუტი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეხვედრას არ დაესწრებიან ლიგის კომისარი **დევიდ სტერნი** და პროფკავშირის ხელმძღვანელი **ბილი ჰანტერი**, აგრეთვე კლუბების მფლობელები და მოთამაშეები. ორივე მხარე ლიგისა და პროფკავშირის შიდა პერსონალით იქნება წარმოდგენილი.

■ ■ ■

ამასობაში კი ლოკაუტის მსხვერპლთა რიცხვი 114-ით გაიზარდა. სწორედ ამდენი ადამიანით შეამცირა შტატები ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ. გარდა ამისა, შეწყვიტეს მუშაობა ტოკიოსა და პარიზის ოფისებმა და ნიუ იორკში საფირმო მაღაზიამ.

ამასთან, ასოციაციის წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ ასეთი ნაბიჯები ლოკაუტს არ უკავშირდება და უბრალოდ, თანხების ეკონომიით არის გამოწვეული.

■ ■ ■

ასევე შეიძლება დაზარალდეს „შარლოტ ბობკეტსის“ მფლობელი, ლეგენდარული **მაიკლ ჯორდანი**. NBA-ის ხელმძღვანელობამ ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელს გაფრთხილება მისცა - ის მილიონი დოლარით დაჯარიმდება იმ შემთხვევაში, თუ გოლფს ითამაშებს ასოციაციის რომელიმე მოქმედ კალათბურთელთან.

ვერ გეტყვით, რამ გამოიწვია ასეთი გაფრთხილება. როგორც ჩანს, მაიკლი შემჩნეული იყო ამ „მავნებლობაში“. შეგახსენებთ, რომ ლოკაუტის დროს კლუბების ხელმძღვანელებს ეკრძალებათ მოთამაშეებთან და მათ ნათესავებთან ურთიერთობა იქამდე, სანამ არ გაფორმდება ახალი კოლექტიური ხელშეკრულება.

საფრანგეთში დანაკლისია

ესპანეთის ნაკრებში სერჟ იბაკას თამაში გადაწყდა

საფრანგეთის ნაკრებთან ხუთწლიანი განშორების შემდეგ ევროპის ჩემპიონატისთვის მონდომებით ემზადებოდა NBA-ის ლეგიონერი **მიკაელ პიეტრუსი**. *„მართალია, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დიდი ხანია ვთამაშობ, მაგრამ მუდმივად თვალს ვადევნებ ევროპულ კალათბურთს. ვლაპარაკობ სერბულად, ბერძნულად და ლიტვურად. ხალხი „გუგლს“ მეძახის, რადგან ყველაფრის თარგმნა შემიძლია. და აუცილებლად ჩავალ ნაკრებში სათამაშოდ, ოღონდ არა მეექვსე-მეშვიდე ადგილის დასაკავებლად. ჩვენ ამ ჩემპიონატის მოგება გვაქვს დაგეგმილი“*, - ამბობდა პიეტრუსი.

მისასალმებელია კალათბურთელის პატრიოტიზმი და მონდომება, მაგრამ ყველაფერი ნყალში ჩაიყარა, რადგან პიეტრუსმა სამედიცინო შემოწმება ვერ გაიარა და ევრობასკეტზე არ გაემგზავრება. არაფერი უთქვამთ მიზეზის შესახებ, მაგრამ ეროვნული ფედერაცია მიკაელისთვის დაზღვევის გადახდას არ აპირებს.

■ ■ ■

კარგი ამბავი შეიტყვეს ევროპის მოქმედი ჩემპიონის - ესპანეთის ნაკრების გულშემატკივრებმა. „ოკლაჰომა-სიტის“ ფორვარდ-ცენტრმა, წარმოშობით კონგოელმა **სერჟ იბაკამ** ესპანეთის მოქალაქეობა მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ მას შეუძლია **სერჯო სკარიოლოს** გუნდს 2011 ნლის ევრობასკეტზე დაეხმაროს.

„ეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა ჩემთვის. ბედნიერი ვარ. ესპანეთმა ყველაფერი მომცა და ერთი სული მაქვს, როდის გადავუხდი ჩემი თამაშით ამ ქვეყანას მადლობას“, - განაცხადა იბაკამ.

მოქალაქეობის მიღების პროცედურა თითქმის ერთი წელი გაწელა და ჯერ არ დასრულებულა.

„ვამაყობთ იმით, რომ იბაკა ახლა ესპანელია. მან იცის ქვეყნის ენა, ისტორია და კულტურა და შეუძლია ნაკრების გაძლიერება. ახლა მხოლოდ FIBA-სგან ოფიციალურ დასტურს ველოდებით“, - ამბობს ესპანეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ხოსე ლუის საესი**.

იბაკა ნაკრებს 27 ივლისს შეუერთდება.

■ ■ ■

სანაკრებო თემას ამერიკული „დრიმ თიმითა“ გავაგრძელებთ. აშშ-ის ნაკრების გენერალურმა მენეჯერმა **ბრაიან კოლანჯელომ** მეტად მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა: *„რაღაცები შეიცვალა და პეკინის ოლიმპიადის ყველა მონანილე ლონდონში ვერ გაემგზავრება“*.

ჯერი ნაკრების დაკომპლექტებას მომავალ თვეში დაიწყებს, მანამდე კი ამ თემაზე შემდეგ კომენტარს აკეთებს:

„უბრალოდ მინდა ბიჭებს დაველაპარაკო, დავრწმუნდე, რომ მათ ნაკრებში თამაშის სურვილი აქვთ. და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება ოფიციალური მოლაპარაკებები ყველა კანდიდატთან და შემადგენლობის დაკომპლექტება“.

ადრე იბაკა კონგოში თამაშობდა

● ჰოკეი

კროსბიმ ვარჯიში დაიწყო



სიდნი კროსბი

კანადური ჰოკეის მთავარმა ვარსკვლავმა **სიდნი კროსბიმ** რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ პირველი ვარჯიში ჩაატარა ყინულზე. „პიტსბურგ პინგვინზის“ კაპიტანი, რომელმაც ტვინის შერყევის გამო 2010-11 წლების სეზონის მეორე ნახევარი გამოტოვა, თავის მშობლიურ ქალაქ ჰალიფაქსში ვარჯიშობს.

კროსბიმ ტვინის შერყევა 2011 ნლის პირველ იანვარს „ვაშინგტონის“ მცველ **დევიდ შტეკელთან** შეჯახებისას მიიღო, 5 იანვარს „ტამპა ბეისთან“ მატჩში კი ტრავმა გაიმიზეზა. სწორედ ამ დღის შემდეგ არ უთამაშია კროსბის არც ერთი ოფიციალური შეხვედრა.

აპრილში სიდნიმ გუნდთან ერთად ივარჯიშა და იმედი ჰქონდა, რომ პლეი ოფის მატჩებში დაეხმარებოდა „პინგვინებს“, მაგრამ თავის ტკივილის გამო იძულებული გახდა უარი ეთქვა ამ განზრახვაზე. მაშინ ექიმები იმასაც ამბობდნენ, რომ ტკივილები არა ტვინის შერყევით, არამედ ინფექციური დაავადებით იყო გამოწვეული.

ტრავმის მიღებამდე კროსბი ლიდერობდა რეგულარულ ჩემპიონატს ბომბარდირებსა და სნაიპერებს შორის. 41 მატჩში მის ანგარიშზე 66 ქულა (32+34) მოდიოდა.

● კრივი

კლიჩკოს წაართვეს და დაანინაურეს

ვლადიმერ კლიჩკო

მსოფლიოს საკრივო ასოციაციამ (WBA) ვაკანტურად გამოაცხადა საჩემპიონო ტიტული სუპერმძიმე წონაში, რომელიც 2 ივლისს უკრაინელმა **ვლადიმერ კლიჩკომ** ბრიტანელ **დევიდ ჰეის** ჩამოართვა. საქმე ისაა, რომ WBA-მ უმცროს კლიჩკოს „ერთიანი ჩემპიონის“ (Unified Champion) სტატუსი მიანიჭა. შეგახსენებთ, რომ ვლადიმერი პარალელურად ფლობს ოთხიდან ორი ძირითადი ორგანიზაციის - IBF-სა და WBO-ის საჩემპიონო ქამრებს.

ორ ივლისამდე WBA-ის ტიტულის მფლობელი დევიდ ჰეი იყო, მაგრამ ჰამბურგში გამართულ ბრძოლაში ქულებით დამარცხდა უკრაინელთან. ჩვეულებრივ, WBA სხვა ტიტულის მქონე მოკრივეებს „სუპერ-ჩემპიონის“ სტატუსს ანიჭებს, ხანდახან კი შემოაქვს „ერთიანი ჩემპიონის“ ცნება.

რაც შეეხება WBA-ის „ჩვეულებრივ ტიტულს“, ის უნდა გაითამაშონ უზბეკმა **რუსლან ჩაგაევმა** და რუსმა **ალექსანდრ პოვეტკინმა**. ამ ჩხუბის ჩატარებაზე შეთანხმება უკვე მიღწეულია, ოღონდ კონტრაქტი ჯერ არ არის გაფორმებული. ბრძოლა 27 აგვისტოს გერმანიის ქალაქ ერფურტში უნდა გაიმართოს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი

ჯური ახლა დაიწყო

პირენეებში პირველივე სამთო ეტაპმა სერიოზული გამოცდა მოუმზადა ტურ დე ფრანსის ფავორიტებს. თითქმის 200-კილომეტრიან დისტანციაზე იყო უმაღლესი და პირველი კატეგორიის სირთულის სამი მწვერვალი და სახელგანთქმული ტიურმალე - პირენეების უმაღლესი ნერტილი. პირველად ეს მთა ტურზე 1910 წელს გაჩნდა და მას შემდეგ ის ფრანგული ველომარათონის თითქმის ყველა მარშრუტშია შეტანილი. თუმცა ტიურმალეზე ფინიში აქამდე ორჯერ შედგა, მათ შორის, შარშან, როცა **ანდი შლეკმა** მოიგო ეტაპი, მაგრამ **ალბერტო კონტადორი** ვერ ჩამოიცილა. ტიურმალეს ბოლო დამპყრობი, ვინც საბოლოოდ გენერალური კლასიფიკაცია მოიგო, დიადი **ედი მერქსი** იყო 1969 წელს.



ტური მთებში ავიდა

ფინიში მეორე რთულ მთაზე - ლუს არდიდენზე იყო დაგეგმილი - ტურზე ბოლოს ასეთი რამ 2003 წელს მოხდა, როცა ფინიშზე პირველი მივიდა **ლენს არმსტრონგი** და საერთო ჩათვლაში ლიდერობა გაიყარა.

უკვე პირველივე კილომეტრებზე ლიდერთა სერიოზული ჯგუფი ჩამოყალიბდა, რომელშიც შედიოდნენ ესპანელი **ხოსე ივან გუტიერესი**, მისი თანამემამულე **რუბენ პერესი**, ბრიტანელი **ჯერაინტ ტომასი** და ფრანგები - **ჟერემი რუა, ბლელ კადრი** და **ლორან მანჟელი**. დისტანციის პირველ ნახევარზე მათ პელოტონთან უპირატესობა ცხრა წუთამდე გაზარდეს, მაგრამ მთებში ამ ჰანდიკაპმა კლება იწყო. მწვანე მაისურის მფლობელმა **მარკ კავენდიშმა** ეტაპზე თავისი ამოცანა პირნათლად შეასრულა - ძირითადი ჯგუფის პილოტებიდან პირველმა გადალახა საშუალედო ფინიში.

პირველი ათკილომეტრიანი აღმართის დაძლევისას გაქცეულებს თანდათან წამოეწია ძირითადი ჯგუფი. მწვერვალამდე სულ მცირე იყო დარჩენილი, როცა შეტევაზე გადავიდა სამი ველომრბოლისგან შემდგარი ჯგუფი: **ჯონი ჰოგერლანდი** „მთის მეფის“ მაისურის დაცვას ცდილობდა, **სილვენ შავანელი** და **რომან კროიციგერი** კი ეტაპის მოგებაზე ფიქრობდნენ. პირველი მწვერვალი დაიპყრო ლორან მანჟელმა, შავანელმა და კროიციგერმა კი ჰოგერლანდი ჩამოიცილეს და სერიოზულად დაშორდნენ პელოტონს.

დაშვებისას ველომრბოლებმა ძირითად ჯგუფში წაქცევა ვერ აიცილეს თავიდან. საერთო ჩათვლის ლიდერი **ტომას ვიოკლერი** სასწაულებრივ გადაურჩა დაცემას, თუმცა ველოსიპედის გამოცვლაში დრო დაკარგა. სამაგიეროდ, არ გაუმართლა „რედიოშეკის“ ოთხიდან ერთადერთ დარჩენილ ლიდერს **ანდრეას კლიოდენს** - ის ზურგით დაეცა ასფალტზე, თუმცა რბოლის გაგრძელება შეძლო.

ტიურმალეს ძირში წინ გავიდა ძმები **შლეკების** გუნდი „ლეოპარდი“, რომელიც თავისი სრული უპირატესობის დემონსტრირებას ახდენდა. მათ მიერ დანესებულ ტემპს სულ მალე ვერ გაუძღვეს **რობერტ გესინკმა** და **ტიჯეი ვანგარდერენმა**, მალე მათ **კრისტიან ვანდეველდეც** შეუერთდა. ასევე ჩამორჩა „რაბობანკის“ კიდევ ერთი წევრი **ლუის ლეონ სანჩესი**. ამასობაში, კროიციგერმა მოიშორა შავანელი და ლიდერებს მარტო გაეკიდა.

ტიუარმალეს მწვერვალზე რუამ ტომასს გაუსწრო და ამით „მთის მეფის“ მაისურა ჩამოართვა ჰუგერლანდს. დაშვებისას ძირითადი ჯგუფი გაიწელა, რითაც კარგად ისარგებლეს **სამუელ სანჩესმა** და **ფილიპ ჟილბერმა** - მათ დატოვეს პელოტონი და წინ გაიჭრნენ, თუმცა მეორე მთის დასაწყისისთვის ბელგიელი „გაჩერდა“, სანჩესმა კი შეძლო ბრძოლის გაგრძელება და ეტაპის მოგების კარგი შანსიც მიიღო. მას გვერდში ამოუდგა **იელე ვანენდერტი** „ლოტოდან“. ბელგიელი პატიოსნად ასრულებდა თავის მოვალეობას და უმსუბუქებდა საქმეს სანჩესს. ძირითად ჯგუფში კი 15 ველომრბოლი დარჩა, თუმცა მათ მალე გამოეყვნენ გენერალური კლასიფიკაციის მთავარი ლიდერები.

ყველაზე გასაკვირი ის იყო, რომ **ფრანკ შლეკის** შეტევებს უძლებდა ყვითელი მაისურის მფლობელი ტომას ვიოკლერი - ფრანგი ასე იოლად არ აპირებდა ლიდერობის დათმობას. უფროსმა შლეკმა იგრძნო, რომ **ალბერტო კონტადორი** ვერ იყო ფორმაში და საბოლოო შეტევაზე გადავიდა. ფავორიტთა ჯგუფიდან ამას ვერავინ გამოეკიდა. ბოლო კილომეტრზე უფროსი შლეკი მაქსიმალურად მიუახლოვდა ლიდერთა დუეტს და თითქოს ეტაპის მოგების შანსიც ჰქონდა, მაგრამ აქ თავისი საფირმო შეტევა განახორციელა სანჩესმა. „ეუსკატელ-ეუსკადის“ ლიდერმა იოლად მოიშორა ბელგიელი და უკეთესი ტაქტიკის წყალობით თავის გუნდს 2003 წლის შემდეგ ტურზე პირველი გამარჯვება მოუტანა.

შლეკი მესამე ადგილზე გავიდა, 20 წამის შემდეგ გადაკვეთეს ფინიშის ხაზი **ივან ბასომ, კეიდელ ევანსმა, ანდი შლეკმა** და **დამიანო კუნეგომ**. კონტადორი ამ ჯგუფში არ აღმოჩნდა - დიადმა ესპანელმა თავის კონკურენტებთან რამდენიმე წამი ნააგო და მეტად მტკივნეული მორალური დარტყმა მიიღო.

ყვითელი მაისურა შეინარჩუნა ვიოკლერმა, რომელმაც კონტადორის შემდეგ გადაკვეთა ფინიშის ხაზი, თუმცა ტურზე ვირტუალური ლიდერობა ფრანკ შლეკმა მოიპოვა. როგორც ჩანს, ის უფრო კარგად არის მზად ტურისთვის, ვიდრე მისი უმცროსი ძმა.

XII ეტაპი

1. **სამუელ სანჩესი** (ესპ, EUS) - 6.01,15; 2. **იელე ვანენდერტი** (ბელ, OLO) - +0,07; 3. **ფრანკ შლეკი** (ლუქ, LEO) - +0,10; 4. **ივან ბასო** (იტა, LIQ) - +0,30; 5. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - იგივე დრო; 6. **ანდი შლეკი** (ლუქ, LEO) - იგივე დრო; 7. **დამიანო კუნეგო** (იტა, LAM) - +0,35; 8. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, SBS) - +0,43; 9. **ტომას ვიოკლერი** (საფ, EUC) - +0,50... 14. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, RSH) - +1,25... 44. **ანდრეას კლიოდენი** (გერ, RSH) - +8,26... 48. **ტონი მარტინი** (გერ, THR) - +9,03...

საერთო ჩათვლა

1. **ტომას ვიოკლერი** (საფ, EUC) - 51.54,44; 2. **ფრანკ შლეკი** (ლუქ, LEO) - +1,49; 3. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - +2,06; 4. **ანდი შლეკი** (ლუქ, LEO) - +2,17; 5. **ივან ბასო** (იტა, LIQ) - +3,16; 6. **დამიანო კუნეგო** (იტა, LAM) - +3,22; 7. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, SBS) - +4,00; 8. **სამუელ სანჩესი** (ესპ, EUS) - +4,11... 17. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, RSH) - +7,51... 24. **ანდრეას კლიოდენი** (გერ, RSH) - +10,19... 26. **ტონი მარტინი** (გერ, THR) - +10,51...

ამბები

ფორმულა 1

უებერს ახალი კონტრაქტი ექნება

ავსტრალიელმა პილოტმა **მარკ უებერმა** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „რედ ბულთან“ კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს, მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთის გრანპრის დროს ავტომრბოლესა და საჯინიბოს ხელმძღვანელობას შორის უთანხმოება წარმოიშვა.

„ამჟამად მოლაპარაკებებს ვაწარმოებ „რედ ბულთან“ კონტრაქტის 2012 წლის ბოლომდე გასაგრძელებლად. ეს პროცესი წარმატებით მიმდინარეობს და მასზე გავლენა არ ჰქონია კვირის ინციდენტს“, - ამბობს უებერი.

მძლეოსნობა

ისინბაევას მძიმე გრაფიკი

ქოკით ხტომაში ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ელენა ისინბაევამ** მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად მჭიდრო გრაფიკი შეიმუშავა. ივლისის ბოლომდე რუსი მძლეოსანი ოთხ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

ჩემპიონი სეზონს დღეს ბელგიის ჰოისდენში გახსნის, 19 ივლისს ლივორნოში (იტალია) გამოვა, 21 ივლისს კი ლიუცერნში (შვეიცარია). ამის შემდეგ ისინბაევა მცირე პაუზას აიღებს და მოგვიანებით სეზონში პირველად გამოვა „ბრილიანტის ლიგის“ ეტაპზე“, რომელსაც 29 ივლისს სტოკჰოლმი უმასპინძლებს.

ოლიმპიზმი

ორი კორეა არ შეიძლება

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ჩრდილოეთ კორეას პიონჩანგში 2018 წლის ზამთრის თამაშების სამხრეთ კორეასთან ერთად ჩატარების უფლება არ მისცა. ამის შესახებ ტოკიოში განაცხადა სოკ-ის პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ**.

როგეს თქმით, ის მიესალმება ნებისმიერ „სიმბოლურ ჟესტს“ ამ ორი ქვეყნის დაახლოებისთვის, მაგრამ ჩრდილოეთ კორეას არ უნდა ჰქონდეს ოლიმპიადის სტარტების ორგანიზების იმედი.

„ოლიმპიურმა კომიტეტმა ერთი ქვეყნის ერთ ქალაქს მისცა ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება. - განაცხადა როგემ. - *თუ კორეის ნაკრებები ერთ გუნდად გამოვლენ გახსნის ცერემონიაზე, ამას მხოლოდ მივესალმებით, მაგრამ ოლიმპიური ქარტია არ ითვალისწინებს თამაშების ორ ქვეყანაში გამართვას“.*

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

კლუჟი-ფრაიბურგი	1:2
ჰოფენჰაიმი-ლეგია	1:1
პანათინაიკოსი-შივასი	0:0
სტანდარდი-ტვენტე	3:0
ისტრი-ნიცა	2:2
მარსელი-მონპელიე	0:1
კარდიფი-ჩარლტონი	1:0
ბერი-ევერტონი	1:4
დარლინგტონი-ნიუკასლი	0:2
პლიმუტი-ბრისტოლი	2:3
გიმარაეში-რიუ ავე	0:1
ბენფიკა-ჰსუ	3:1

გერმანია

II ბუნდესლიგა

კოტბუს-დინამო	2:1
ფრანკფურტი-უნიონი	1:1
ფიურტი-აინტრახტი	2:3

ნორვეგია

ოდ გრენლანდი-ლილესტრიომი	1:3

ფინეთი

ჰაკა-იუვიასკიულა	0:2

უკრაინა

კრივბასი-დნიპრო	0:2

ავსტრია

II დივიზიონი

აუსტრია (ლ)-ბლაუ ვაისი	1:0
ლინცერი-სტ. პოლტენი	2:0
ვენა-ლუუსტენაუ	4:2
სტ. ანდრა-გრიოდიგი	1:0
ჰარტბერგი-ალტახი	0:4

ჩინეთი

დეგრეცენი-ვაუაში	5:2

ირლანდია

ბრეი-დერი	1:2
დროგედა-შემროკი	0:1
დანდალკი-უნივერსიტი	2:0
გალვეი-სლიგო	0:8

II დივიზიონი

უოტერფორდი-უექსფორდი	0:1
მონეგანი-მერვუ	1:2

სლოვაკეთი

სლოვანი-ტრენჩინი	3:1

ჩოგბურთი

ATP. შუაგვარები

ჩერვანეკი-**დელ ბონისი**	1:6, 2:6
ფერერო-გრანოლერსი	6:4, 6:3
შტებე-**ანდუხარი**	2:6, 1:6
კუბოტი-ხირალდო	7:5, 5:7, 6:3

ATP. ბაშტადი

ალმაგრო-ოლასო	6:2, 6:3
ბერდიხი-კავჩიჩი	6:1, 6:4
სიოდერლინგი-სტარაჩე	6:3, 6:4
ალმაგრო-რიდერსტედტი	6:4, 7:6
ფერერი-ჰაიდერ მაურერი	6:1, 6:1

WTA. ბად გაშტეინი

ევტიმოვა-**მეირ ახლაიტნერი**	2:6, 2:6
მარტინეს სანჩესი-მოისბუგერი	7:6, 4:6, 6:3
სუარეს ნავარო-კ.ბონდარენკო	გადაიდო

WTA. პალერმო

ერანი-**ჩეტკოვსკა**	7:5, 3:6, 6:7
ჰერცოგი-ზაკოპალოვა	6:1, 6:1
მედინა გარიგესი-ბეგუ	6:2, 1:6, 6:0
პენეტა-პირონკოვა	6:2, 6:2

TV პროგრამა

16 ივლისი. შაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. ურუგვაი-მექსიკა. არგენტინა.
12:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:30 ტელეჟურნალი - მსოფლიო ფეხბურთი.
13:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ნიურნბერგი. გერმანია (LIVE).
17:00 ამხანაგური მატჩი. ტოტენჰემი-კაიზერ ჩიფსი (LIVE).
19:00 კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. პარაგვაი-ვენესუელა. არგენტინა.
21:00 კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-ეკვადორი. არგენტინა.
22:50 კოპა ამერიკა 2011. 1/4 ფინალი. კოლუმბია-პერუ. არგენტინა (LIVE).
01:00 ტელეჟურნალი - მსოფლიო ფეხბურთი.
01:30 კოპა ამერიკა 2011. მიმოხილვა.
02:05 კოპა ამერიკა 2011. 1/4 ფინალი. არგენტინა-ურუგვაი. არგენტინა (LIVE).

GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. სეზონის შეჯამება. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი.
11:30 ყოველკვირეული პროგრამა - მსოფლიო მძლეოსნობა.
12:00 ყოველკვირეული პროგრამა - გზა ლონდონისკენ.
12:30 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. აშშ-ჩინეთი. შვეიცარია.
15:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. შვედეთის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. ბაშტადი. შვედეთი (LIVE).
19:30 ცურვა. ხმელთაშუა ზღვის სერია (Mare Nostrum). III ეტაპი. მონაკო.
21:00 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. ჰოლანდია-კუბა. შვეიცარია.
22:30 კალათბურთი. NBA. ყველა ვარსკვლავის მატჩი. 2010.
00:45 ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
01:30 ფეხბურთი. ბრაზილის ჩემპიონატი. კურიტიბა-ფლუმინენსე (LIVE).

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

22:50 კოპა ამერიკა 2011. 1/4 ფინალი. კოლუმბია-პერუ. არგენტინა (LIVE).
02:05 კოპა ამერიკა 2011. 1/4 ფინალი. არგენტინა-ურუგვაი. არგენტინა (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

21:00 მძლეოსნობა. World Challenge League. ბელგია (LIVE).
05:00 პროფესიული კრივი. სატიტულო ბრძოლა. ხ.მარკესი-ლ.რამოსი. მექსიკა (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

01:25 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. კურიტიბა-ფლუმინენსე (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

13:00 WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ბად-გამტეინი. ავსტრია (LIVE).
16:30 ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ბაშტადი. შვედეთი (LIVE).
22:00 WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. პალერმო. იტალია (LIVE).

SPORT+

16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
22:50 კოპა ამერიკა 2011. 1/4 ფინალი. კოლუმბია-პერუ. არგენტინა (LIVE).

EUROSPORT

13:30 საწყლოსნო სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალში ხტომა. 3 მ. სინქრონული ხტომები. ქალები. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
14:10 ვოლოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XIV ეტაპი (LIVE).
21:45 მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (23-წლამდელები). II დღე. ოსტრავა. ჩეხეთი (LIVE).

EUROSPORT-2

14:00 სნუკერი. მსოფლიოს თასი. ბანგკოკი. ტაილანდი (LIVE).
17:00 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასი. კვალიფიკაცია. დონინგტონი. ბრიტანეთი (LIVE).
18:00 რაგბი 7. გრანპრის სერია. ბუქარესტი. რუმინეთი (LIVE).
20:00 სნუკერი. მსოფლიოს თასი. ბანგკოკი. ტაილანდი (LIVE).

17 ივლისი. კვირა

GMG-სპორტი

09:50 ფეხბურთი. სეზონის შეჯამება. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა.
11:20 ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
12:05 ცურვა. ხმელთაშუა ზღვის სერია (Mare Nostrum). III ეტაპი. მონაკო.
14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. შვედეთის ღია პირველობა. წყვილები. ფინალი. ბაშტადი. შვედეთი (LIVE).
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. შვედეთის ღია პირველობა. ფინალი. ბაშტადი. შვედეთი (LIVE).
18:30 კალათბურთი. NBA. ყველა ვარსკვლავის უიქენდი. ჩატენვების და სამქულიანების კონკურსი.
23:00 ფეხბურთი. ბრაზილის ჩემპიონატი. ბოტაფოგო-კორინთიანსი (LIVE).
00:45 ყოველკვირეული ჟურნალი - ემოციები.

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

22:50 კოპა ამერიკა 2011. 1/4 ფინალი. ბრაზილია-პარაგვაი. არგენტინა (LIVE).
02:05 კოპა ამერიკა 2011. 1/4 ფინალი. ჩილე-ვენესუელა. არგენტინა (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

18:00 გოლფი. ბრიტანეთის ღია პირველობა (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

14:00 WTA-ის ტური. ფინალი. ბად-ბაშტეინი. ავსტრია (LIVE).
16:00 ATP-ის ტური. ფინალი. ბაშტადი. შვედეთი (LIVE).
19:00 WTA-ის ტური. ფინალი. პალერმო. იტალია (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

00:00 WNBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ტულსა (LIVE).
04:30 WNBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლოს ანჯელესი-ეშინგტონი (LIVE).

SPORT+

18:00 ATP-ის ტური. ფინალი. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
22:55 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი (LIVE).

EUROSPORT

12:00 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასი. გასასურეფელი ნრე. დონინგტონი. ბრიტანეთი (LIVE).
14:45 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასი. დონინგტონი. ბრიტანეთი (LIVE).
15:45 ავტოსპორტი. გრანპრი. II რბოლა. დონინგტონი. ბრიტანეთი (LIVE).
16:25 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XV ეტაპი (LIVE).

EUROSPORT-2

14:00 სნუკერი. მსოფლიოს თასი. ბანგკოკი. ტაილანდი (LIVE).
13:30 ავტოსპორტი. გრანპრი. I რბოლა. დონინგტონი. ბრიტანეთი (LIVE).
15:00 რაგბი 7. გრანპრის სერია. ბუქარესტი. რუმინეთი (LIVE).
16:15 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. I რბოლა. ოლტონ პარკი. ბრიტანეთი (LIVE).
17:00 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასი. დონინგტონი. ბრიტანეთი (LIVE).
18:00 რაგბი 7. გრანპრის სერია. ბუქარესტი. რუმინეთი (LIVE).
19:15 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II რბოლა. ოლტონ პარკი. ბრიტანეთი (LIVE).
20:00 სნუკერი. მსოფლიოს თასი. ფინალი. ბანგკოკი. ტაილანდი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

სერენა უილიამსი

მარია შარაპოვა

ახალი სერენა

ლოსანჯელესში გამართულ ESPY Awards-ის ლაურეატებზე გუშინდელ ნომერში მოგიყევით, თუმცა ამ თემას დღეს დავუბრუნდებით იმ მიზეზით, რომ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო ქალებს შორის საუკეთესო ქალ ჩოგბურთელად აღიარებული **სერენა უილიამსის** ჩაცმულობამ. ამერიკელი საკმაოდ თამამ ვარდისფერ კაბაში გამოცხადდა.

ასეთი ჩაცმულობით უილიამსი ძალიან ეფექტურად გამოიყურებოდა და სალამოზე თვით **მარია შარაპოვაც** კი დაჩრდილა. როგორც იტყვიან, სერენას ყველაფერი თავის ადგილზე აქვს და საერთო აზრით, ახალი იმიჯი ძალიან უხდება. ადრე ჩოგბურთელი უფრო ფართო ტანსაცმელს ირჩევდა ზედმეტი წონის გამო. მაგრამ დიეტებისა და სპეციალური ვარჯიშების წყალობით სერენამ ფიგურა წესრიგში მოიყვანა.

„კარგია, როცა სხვებისგან განსხვავებული ხარ. ჩემი ფიგურის საყვარელი ნაწილია - ღიმილი. სწორედ ის „აკეთებს“ მთელ ჩემს სხეულს, - განაცხადა უმცროსმა უილიამსმა. - მინდა წონა დავიგდო. იოგას ილეთებს ვაკეთებ, მივირთმევ თევზს ან ქათმის ხორცს, ბოსტნეულს. უარი ვთქვი ნამცხვრებზე. უახლოესი ათი წლის განმავლობაში ასე იქნება“.

ლინდსი ვონი

დანიკა პატრიკი

რამდენ ხანს გაქაჩავს ნოვაკი?

ორი კვირაა გრძელდება **ნოვაკ ჯოკოვიჩის** პირველობა ATP-ის რეიტინგში. სერბმა უკვე გაუსწრო ავსტრალიელ **პატრიკ რაფტერს** და იმ ჩოგბურთელებს, რომელთა ლიდერობა მხოლოდ რამდენიმე დღე გრძელდებოდა და გაუთანაბრდა ესპანელ **კარლოს მოიას**, ვინც 1999 წელს ორი კვირა დაყო კლასიფიკაციის სათავეში.

ამჟამად ნოვაკს კომფორტული, 1885-ქულიანი უპირატესობა აქვს **რაფაელ ნადალზე**, 3925 ქულით უსწრებს **როჯერ ფედერერს** და თითქმის ორჯერ მეტი ქულა აქვს, ვიდრე მეოთხე ადგილზე მყოფ **ენდი მიურეის**. უახლოეს თვეებში სერბს დასაცავი აქვს 1200 ქულა ამერიკის ღია პირველობაზე, 400 - წლის შემაჯამებელ ტურნირზე და ჯამში კიდევ 990 ქულა სეზონის ბოლომდე დარჩენილ ოთხ მასტერსზე.

შედარებისთვის, ნადალს უწევს შესაბამისად 2000, 1000 და 630 ქულის დაცვა. თუ ჯოკოვიჩი ასეთ დონეზე გააგრძელებს თამაშს, ის კიდევ უფრო გაზრდის რეიტინგში საკუთარ მონაგარს. თუმცა რთული დასაჯერებელია, რომ „ნოლე“ სეზონის ბოლომდე შეინარჩუნებს ამ დონეს და თავიდან აიცილებს ერთ-ორ ჩავარდნას. მიუხედავად იმისა, რომ ნოვაკს არც ისე ბევრი ქულა აქვს დასაცავი, ის ბოლომდე მობილიზებული უნდა იყოს, რათა მინიმუმ შეინარჩუნოს ჰანდიკაპი ჩოგბურთის ორ ცოცხალ ლეგენდასთან.

ამ სხვაობის შენარჩუნებასა და გაზრდაზე ზრუნვა აქედანვე საჭიროა, რადგან 2012 წელს ნოვაკს ურთულესი ამოცანა აქვს - დაიცვას ქულების არანორმალურად დიდი რაოდენობა, რომელიც ამ სეზონში მოიპოვა. ამიტომაც ძალიან რთულია იმის წინასწარმეტყველება, რა დროს დაყოფს ჯოკოვიჩი ATP-ის რეიტინგის მწვერვალზე. შეიძლება თუ არა იმის წინასწარმეტყველება, რომ კარიერის ბოლოს მას ლიდერის რანგში უფრო მეტი კვირა ექნება გატარებული, ვიდრე ნადალს? რაფას ახლა ასეთი 102 კვირა დაუგროვდა, ასე რომ, ჯოკოვიჩმა კიდევ 100 კვირა, ანუ ორი წელი უნდა გაძლოს.

ამ გეგმის ასრულებისთვის ჯოკოვიჩს გზად ორი პრობლემა ელოდება. პირველი - მომავალ წელს დაგროვილი ქულათა მარაგის დაცვა. მეორე - თავისი თამაშით ნოვაკი აიძულებს რაფასა და როჯერს პროგრესზე იფიქრონ, თუ მათ სურთ, რომ დაეწიონ და გადაასწრონ სერბს. ასე რომ, მომავალ წელს ძალიან საინტერესო სეზონი გველის. ამიტომაც ღირს გავიხსენოთ, რა შედეგით სრულდებოდა წარსულში ასეთი ტიპის სეზონები.

■ ■ ■

ATP-ის რეიტინგის შემოღების მომენტიდან შეიძლება გავიხსენოთ 12 ისეთი „სუპერსეზონი“, როცა ერთმა მოთამაშემ უდიდესი უპირატესობა მოიპოვა კონკურენტებზე. თუმცა ჩვენ უფრო გვაინტერესებს არა ამ სეზონების მსვლელობა, არამედ მათი შედეგი მოთამაშეებისთვის. აქ შეიძლება სამი კატეგორია გამოვყოთ.

პირველს უნდა მივაკუთვნოთ მოთამაშეები, რომლებმაც „სუპერსეზონის“ შემდეგ არ დაკარგეს პირველი პოზიცია კლასიფიკაციაში და გააგრძელეს ტურში დომინირება. ამ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ **ჯიმი კონორსი, ივან ლენდლი** და როჯერ ფედერერი. ამასთან, თუ ჩეხი და შვეიცარიელი, უბრალოდ, ერთი თავით მაღლა იდგნენ მაშინდელ ოპონენტებზე, კონორსმა 1975 წელს ზუსტად ერთი ნაბიჯით დაიხია უკან - „დიდი სლემის“ ტურნირების ყველა ფინალში წააგო, რომლებშიც წინა წელს იმარჯვებდა. მას მხოლოდ იმან უშველა, რომ **ილიე ნასტასე, არტურ ეში, ჯონ ნიუკომბი** და **ვიტას გერულაიტისი** არა მხოლოდ კონორსს, არამედ ერთმანეთსაც ამარცხებდნენ: რამდენიმე წელიწადში **ბიორნ ბორგიც** გაიზარდა და ჯიმბოს ერთპიროვნულ მმართველობას წერტილი დაესვა.

თავად ბორგი **ჯონ მაკინროისთან** და **პიტ სამპარსთან** ერთად მეორე ჯგუფში მოხვდა. ეს მოთამაშეები „სუპერსეზონის“ დროსაც პერიოდულად კარგავდნენ ადგილს რეიტინგის უმაღლეს საფეხურზე. საინტერესოა, რომ ბრწყინვალე 1978 წელს, როცა ბორგმა „დიდი სლემის“ ტურნირების სამ ფინალში ითამაშა და ორი მოიგო, მაინც ვერ მიაღწია რეიტინგში ლიდერობას, რომელიც მყარად ეპყრა ხელთ მაკინროის. ამ უკანასკნელმა კი 1984 წელს გაიმეორა ბორგის მაჩვენებლები, მაგრამ მთელი სეზონის განმავლობაში ადგილს უცვლიდა ლენდლს. დაბოლოს, სამპრასი 1995 წელს მეტ-ნაკლები წარმატებით ებრძოდა **ანდრე აგასის**, ორი თვის შემდეგ კი საერთოდ დაუთმო ლიდერობა **ტომას მუსტერს**.


გაისად დიდი ბრძოლა იქნება

და მესამე კატეგორია, სადაც შეიძლება შევიყვანოთ **მატს ვილანდერი** და რაფაელ ნადალი. ეს მოთამაშეები „სუპერსეზონის“ (თითოეულმა მოიგო „დიდი სლემის“ სამი ტურნირი და მეოთხეში მეოთხედფინალიდან გავარდა) შემდეგ ვერ იცავდნენ მიღწეულს და პირველ ადგილს თმობდნენ. განსაკუთრებით მტკივნეული იყო შვედის დაცემა, რომელმაც უკვე შემდეგი წლის იანვარში დაკარგა პირველობა, სეზონი კი საერთოდ ტოპ-ათეულის მიღმა დაასრულა.

რომელ კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ ჯოკოვიჩი? მას რომ არ ჰყავდეს ისეთი ძლიერი მეტოქეები, როგორებიც არიან ფედერერი და ნადალი, რა თქმა უნდა, სერბს პირველ ჯგუფში შევიყვანდით. მაგრამ დიდი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნოვაკი ვერ შეძლებს აბსოლუტურად ყველა ქულის დაცვას და მომავალი სეზონის შუაში დაკარგავს პირველ ადგილს. ამის შემდეგ დაიწყება მისი პაექრობა ნადალთან, ამჯერად „სუფთა ფურცლიდან“, აბსოლუტურად თანაბარ პირობებში. აი, ასეთი ბრძოლა, წარსულის დიადი დაპირისპირებების საუკეთესო ტრადიციებით, ძალიან საინტერესო უნდა გამოვიდეს. ასე რომ, 2012 წლის სეზონს უკვე აქვს საკმაოდ საინტერესო ინტრიგა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ივანოვიჩი: კარგი გუნდი მყავს

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **ანა ივანოვიჩმა** თანამშრომლობის განახლება გადაწყვიტა მწვრთნელ **სკოტ ბერნსთან**. ავსტრალიელი სპეციალისტი სერბ ჩოგბურთელთან ფიტნესის მწვრთნელის რანგში მუშაობდა 2006 წლის ივლისიდან 2009 წლის ივლისამდე. ასევე ბერნსი ცნობილია **მარია შარაპოვასთან, ვერა ზვონარევასთან** და **ვიქტორია აზარენკასთან** მუშაობით.

„მოხარული ვარ, რომ ამ გუნდში ვბრუნდები, - ასეთი კომენტარი გაუკეთა ბერნსმა თავის გადაწყვეტილებას. - ქალთა პროფესიულ ტურში დაუმთავრებელი საქმეები დაგვრჩა“.

„ნაიჯელთან მწვრთნელის და სკოტთან ფიტნესის სპეციალისტის რანგში ვგრძნობ, რომ შესანიშნავი გუნდი შეიკრიბა, ამიტომაც მომავალს ოპტიმიზმით ვუყურებ“, - აღნიშნა თავის მხრივ ივანოვიჩმა.

ანა ივანოვიჩი

კვირის ბოლოს

გოლი გაიტანა ზეზვამ (დმანისი)

ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი